ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

11 აპრილიდან!
„ახალ თაობასთან“
ერთად
„რჩეული ქართული ზღაპრების“
პირველი ტომი
3 ლარად




ოთხშაბათი, 10 აპრილი, 2013 №84 (6085) ფასი: 30 თეთრი

# დავით ბაქრაძე: „თეა წულუკიანს მიხეილ სააკაშვილს არ დავაკითხვინებთ!“

„2008 წელთან დაკავშირებით გამოძიება ჩაატარა ქართულმა მხარემ, რომელზეც ყველამ თქვა, რომ ეს არის ადეკვატური და სამართლიანი. ამის ფონზე ვერ ვხედავ, რას ემსახურება აღნიშნული პროცესების ხელახლა გამოძიება, თუ ჩვენი ამოცანაა, მაინცდამაინც დავამტკიცოთ, რომ ომი დავიწყეთ ქართველებმა, ტერორისტებს ვამზადებთ ქართველები, რომ ჩვენ ვართ მართლა ისეთი ცუდები, როგორიც ზოგიერთი რუსი თანამდებობის პირი ამტკიცებს, მაშინ გასაგებია, მაგრამ მე ნამდვილად არ მინდა ვიფიქრო, რომ ეს დგას იუსტიციის მინისტრის განცხადების უკან და იმედს ვიტოვებ, რომ ეს იყო, უბრალოდ, უპასუხისმგებლო განცხადება. ქალბატონი წულუკიანი პოლიტიკური ბრძოლის ფარგლებში გადავიდა იმ ზღვარს, რომლის იქითაც უკვე სახელმწიფო ზიანდება, ამიტომ იმედს ვიტოვებ, რომ ეს განცხადება დარჩება განცხადებად, მაშინ როცა მთელი მსოფლიო აღიარებს და ენდობა გამოძიებას, რომელიც პაიდი ტალიავინიმ ჩაატარა, სრულიად გაუგებარია, რას უნდა ემსახურებოდეს ხელახალი გამოძიების დაწყება."


გვ.3

## ჩიორა თაქთაქიშვილი: „ფეისბუქის ჩემს გვერდს აკონტროლებენ“

გვ. 3



## ახალი პოლიტიკური სამიზნე — ირაკლი ღარიბაშვილი


გვ.36

## ვანო მერაბიშვილი დიპლომატებთან ჩივის


გვ.3

## „9 აპრილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეა“


გვ.4

## ნაციონალებმა რეგიონებში ხალხის მობილიზება დაიწყეს

გვ.7



წლევანდელი 9 აპრილი წინა წლებისგან განსხვავებულია

გვ.6

„ქართველი ხალხის გადასაწყვეტია, რა შეფასებას მისცემს აგვისტოს ომს“


გვ.2

2 აპრილიდან!
„ახალი თაობა“
+
ილია II
ოქროს ხანა
სამტომეულის მესამე ტომი
8 ლარი




**2** აჭარის ადმინისტრაციული აჟიოტაჟი

**6** დაზარალებული მენაშენეები დღეს მთავარ პროკურატურასთან კარვების გაშლას აპირებენ

**2** ფრანგმა სამართალდამცველებმა წითელი ცირკულარით ძებნილი საქართველოს მოქალაქე დააკავეს

**7** ჯუმბერ თავართქილაძე: „ბუნებაში იდეალური მთავრობა არ არსებობს“

ISSN 1987-9385
9 771987 938006

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# „ქართველი ხალხის გადასაწყვეტია, რა შეფასებას მისცემს აგვისტოს ომს“

ნათია ხურცილავა

საგარეო საქმეთა მინისტრი, იუსტიციის მინისტრის განცხადებას გამოეხმაურა, რომლის მიხედვითაც აგვისტოს ომის გამოძიება საქართველოში უნდა მოხდეს.

მაია ფანჯიკიძის განცხადებით, გასულ წლებში აგვისტოს ომთან ერთად ბევრი ისეთი მოვლენა იყო, რომელიც გამოსაკვლევია.

თეა წულუკიანმა აგვისტოს ომის გამოძიების ფარგლებში პრეზიდენტის და სხვა მაღალჩინოსნების დაკითხვის შესაძლებლობა არ გამორიცხა.

— ეს ძალიან კომპლექსური საკითხია, რომელზეც ასე მარტივად ვერ გიპასუხებთ. ერთ რამეს კი ვეთანხმები, რომ ნებისმიერი ქვეყნისა და ერისთვის მნიშვნელოვანია მსგავსი სავალალო და ტრაგიკული ომი იქნას გამოძიებული. ის საქართველოს უახლოესი წარსულის შემადგენელი ნაწილია, რომელმაც ძალიან ცუდი შედეგები მოიტანა. ჩემი აზრით, საქართველოს და მისი მოსახლეობისთვის აუცილებელია იცოდეს, თუ რა მოხდა რეალურად, მაგრამ ეს არ არის ერთადერთი ისტორიული მოვლენა გასული წლების განმავლობაში, რომელიც გასარკვევია. საკუთარი ისტორიის ცოდნა აუცილებელია და გარკვეული პერიოდის შემდეგ კვლევა უნდა დაიწყოს იმის შედეგებზე, ესა თუ ის მოვლენა რამ გამოიწვია, — განაცხადა ფანჯიკიძემ.

ცნობილი გახდა, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრომ ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტ თეოდორეს თხოვნა იშხნის მონასტრის რეაბილიტაციის დროებით შეჩერებასთან დაკავშირებით თურქულ მხარეს ოფიციალურად გადასცა.

— ეს თემა ორ ნაწილადაა გაყოფილი — პირველი, ეს არის წმინდა ექსპერტული საკითხები, რომელიც ამა თუ იმ ძეგლის რეკონსტრუქციას, მის მექანიზმებს ეხება. ამაზე ექსპერტებმა, არქეოლოგებმა და სხვებმა უნდა იმუშაონ. ჩვენ ვართ მხოლოდ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებები. აღნიშნული თხოვნით მართლაც მოგვმართეს, რადგან მათი ინფორმაციით, იშხნის მონასტრის რეაბილიტაციის დროს დარღვეულია კონსერვირების გარკვეული ელემენტები. ჩვენ ამ საკითხებში ღრმად არ ჩავეძიებით, მაგრამ თხოვნა რა თქმა უნდა, თურქულ მხარეს ჩვენი საელჩოს მეშვეობით ოფიციალურად გავუგზავნეთ, თუმცა პასუხი არ მიგვიღია ამ დრომდე. როგორც კი თურქული მხარე რაიმეს გვიპასუხებს, ჩვენ ამას კულტურის სამინისტროს გადავცემთ, — განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.



საქართველოში ოფიციალური ვიზიტით შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მეორე მოადგილე ერიკ რუბინი იმყოფება.

ერიკ რუბინის განცხადებით, ქართველი ხალხის გადასაწყვეტია, თუ რა შეფასებას მისცემს აგვისტოს ომს.

— ვფიქრობ, რომ არ გახლავართ შესაბამისი პირი, რომელმაც ამ საკითხზე კომენტარი უნდა გააკეთოს, თუმცა ჩვენი ხედვები 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით ცნობილია და ქართველი ხალხის გადასაწყვეტია, თუ რა შეფასებას მისცემს ამ მოვლენას. ეს ზოგადად, ქვეყნის შიდა პოლიტიკური საქმეა და ქართველმა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს, თუ ვის დაუსვამს კითხვებს, — განაცხადა რუბინმა.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ 15 აპრილს ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს ელჩი არჩილ გეგეშიძე ამერიკის პრეზიდენტ ბარაკ ობამას რწმუნებათა სიგელებს გადასცემს.

აღნიშნული განცხადება საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილესთან ერიკ რუბინთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა.

ფანჯიკიძის განცხადებით, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელთან შეხვედრაზე ყველა ის საკითხი განიხილეს, რაც საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის აქტუალურია.

— სიახლეა ის, რომ 15 აპრილს საქართველოს ახალი ელჩი აშშ-ში არჩილ გეგეშიძე ბარაკ ობამას რწმუნებათა სიგელებს გადასცემს. ამ მოვლენის ასე სწრაფად ორგანიზებაში ჩვენ დაგვეხმარა აშშ-ის საელჩო და ბატონი რუბინი. გარდა ამისა, ჩვენ ვისაუბრეთ ჟენევის მოლაპარაკებების საკითხზე. მოგეხსენებათ, ერიკ რუბინი ამ ფორმატში აშშ-ის წარმომადგენელია. ვისაუბრეთ, თუ როგორ ჩატარდა წინა რაუნდი და როგორი უნდა იყოს — მომდევნო. მას აქვს კიდევ დიდი პროგრამა და ხვალ გვექნება შეხვედრა პოლიტიკური დირექტორების ფორმატში, რომელშიც ევროპული ქვეყნების წარმომადგენლები მონაწილეობენ, — განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ.

შეხვედრის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ პრემიერ-მინისტრ ივანიშვილის ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტი, სავარაუდოდ, მიმდინარე წელს განხორციელდება, მაგრამ ზუსტი თარიღი ამ დროისთვის ცნობილი არაა.

კიდევ ერთი ოფიციალური შეხვედრა გაიმართა საგარეო უწყებაში.

საქართველოში ოფიციალური ვიზიტით ჩეხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კარლ შვარცენბერგი იმყოფება. ჩეხეთის პირველი დიპლომატი უკვე შეხვდა თავის ქართველ კოლეგას მაია ფანჯიკიძეს და პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს.

შეხვედრის შემდეგ მინისტრებმა პრესისთვის ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს.

ჩეხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის კარლ შვარცენბერგის განცხადებით, რუსეთი პატივს სცემს მხოლოდ იმ სახელმწიფოებს, რომლებიც მასზე დიდია.

ასეთი განცხადება შვარცენბერგმა ერთობლივ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტის კითხვის საპასუხოდ გააკეთა.

— შეუძლია თუ არა ჩეხეთს, შეასრულოს მედიატორის როლი საქართველოსა და რუსეთს შორის კონფლიქტის დარეგულირებაში?

— არა, ჩვენ ვართ ძალიან პატარა ქვეყანა იმისთვის, რომ ვიშუამავლოთ საქართველოსა და რუსეთს შორის ან ნებისმიერ სხვა სახელმწიფოებს შორის. რუსები პატივს სცემენ მარტო იმ სახელმწიფოებს, რომლებიც იმათზე უფრო დიდია, — განაცხადა კარლ შვარცენბერგმა და დასძინა, რომ ჩვენ ყველას გვახსოვს 2008 წელი.

ჩეხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ოკუპირებულ ტერიტორიებზე ისაუბრა და ქართველ ხალხს რამდენიმე რჩევა მისცა.

— შეინარჩუნეთ რაც შეიძლება მჭიდრო კონტაქტები ოკუპირებულ ტერიტორიებთან, გქონდეთ ნორმალური ურთიერთობები, იქნება ეს კერძო ბიზნეს სექტორში თუ სადაც შესაძლებელია, არ დაგავიწყდეთ ოკუპირებული ტერიტორიები. საჭიროა იყოთ მომთმენნი, ტოლერანტული, მაგრამ არასდროს დაყაროთ ფარ-ხმალი. ნამდვილად რთულია, როდესაც ქვეყნის ტერიტორიები არის ოკუპირებული, მაგრამ როგორც ვიცით, საქართველო 200 წელზე მეტი იყო ოკუპირებული და ახლა ხართ თავისუფალი. ზოგჯერ უნდა ელოდოთ წლები და შესაძლოა, ათწლეულები მანამ, სანამ გაიხსნება შესაძლებლობათა ფანჯარა. არ ვიცი როდის, მაგრამ დადგება დღე, როდესაც ეს შესაძლებლობები გაიხსნება. მე როდესაც სკოლაში წავედი, მაშინ სამყარო დაყოფილი იყო, თუ შეხედავდით რუკას, იქ იყო ბრიტანეთის კოლონიები, ასევე საფრანგეთის და საბჭოთა კავშირის. საფრანგეთისა და ბრიტანეთის კოლონიები რუკიდან გაქრა და რუსეთთან დაკავშირებით მდგომარეობა შეიცვალა, ამიტომ უნდა ვიყოთ მომთმენნი და არ დავყაროთ ფარ-ხმალი, — განაცხადა შვარცენბერგმა.

## ფრანგმა სამართალდამცველებმა წითელი ცირკულარით ძებნილი საქართველოს მოქალაქე დააკავეს

ინტერპოლის თბილისის ბიუროდან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, საფრანგეთის სამართალდამცავმა ორგანოებმა, საქართველოს მიერ წითელი ცირკულარით ძებნილი, 1968 წელს დაბადებული გრიგოლ წილოსანი დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, აღნიშნული პიროვნება სსსკ-ს 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება ან გამოყენება) 2009 წლიდან იძებნებოდა. ბაღდათის რაიონული სასამართლოს 2010 წლის განაჩენით, სსსკ-ს 182-ე მუხლის მე-3 ნაწილით (მითვისება ან გაფლანგვა) წილოსანს 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

2008 წელს ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებელ დავით გუმბერიძეს და



შპს „მაგი“-ს დირექტორ გრიგოლ წილოსანს შორის გაფორმდა ხელშეკრულება ქ. ბაღდათის 2 საჯარო სკოლის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების შესრულებაზე,

რომლის ღირებულება 90 800 ლარს შეადგენდა. გრიგოლ წილოსანმა თანხის მითვისების მიზნით შეასრულა მხოლოდ 49 020 ლარის სამუშაოები, ხოლო დანარჩენი თანხა – 41 780 ლარი მიითვისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ობიექტზე სამუშაოთა წარმოება არ დაასრულა, რითაც სახელმწიფოს მიაყენა დიდი ოდენობით ზიანი.

ამჟამად გრიგოლ წილოსანი საფრანგეთში წინასწარი დაკავების იზოლატორშია მოთავსებული და მის მიმართ წინასაექსტრადიციო პროცედურები მიმდინარეობს.

**ნიუსპრესი**

# აჭარის ადმინისტრაციული აჯაფსანდალი

როლანდ ხოჯანაშვილი

საქართველოს მოსახლეობას ნამდვილად აქვს იმის საფუძველი, რომ უკმაყოფილო იყოს წინა ხელისუფლებასა და მის ყველა წარმომადგენელზე, რომლებმაც მონაწილეობა ირიბად თუ პირდაპირ მიიღეს მონაწილეობა იმაზე, რასაც ქვემოთ ჩამოვთვლი. ,,ვარდოსნებმა“ 9 წლის განმავლობაში 274 ათასზე მეტ ადამიანს ახეხინეს ვირის აბანო, 70 ათასამდე ადამიანმა საპროცესო შეთანხმებით მოიპოვეს თავისუფლება, 188 ათასამდე პრობაციონერი თვეში 2-4-ჯერ მაინც შსს-ს რაიონულ განყოფილებას აკითხავდა, ადმინისტრაციული პატიმრობა ჰქონდა მისჯილი 28 ათასამდე ადამიანს, 615 პატიმარი გარდაიცვალა ციხეებში, 108 ადამიანი მოკლეს სპეცოპერაციების დროს, 1,5 მილიონ კაცზე მეტი სილატაკეში ცხოვრობდა, უმუშევრობის მაჩვენებელი 60-65% იყო და სკოლამდელი ასაკის ბავშვების სიკვდილიანობის მაჩვენებლით ევროპულ 47 ქვეყანას შორის პირველ ადგილზე ვიყავით. საპროცესო გარიგებათა საშუალებით ბიუჯეტში ყოველწლიურად შედიოდა 100 მილიონ ლარზე მეტი და უმეტესად ერთ სულ მოსახლეზე 5 ლარზე ნაკლები იყო დღიური შემოსავალი.

ვინ არის ამ ყველაფერში დამნაშავე? ქართველი ზარმაცია თუ ბუნებით კრიმინალი? რასაკვირველია, არცერთი! ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსაო,–უთქვამს რუსთაველს და ,,ნაციონალური მოძრაობის“ სტრატეგია იყო ასეთი: ადვილად სამართავია ადამიანი, რომელიც ციხეშია და ცოცხის გაჩრით არის დაშინებული, ხოლო ყოველდღიურობაზე ორიენტირებული დამშეული მოქალაქე პროტესტის გრძნობით ნაკლებად არის შეპყრობილი.

,,ახალ თაობის“ მკითხველი დამიკავშირდა ბათუმიდან და გულისტკივილით მითხრა, რომ ის ადამიანები, რომლებიც წლობით ქმნიდნენ საშინელ სისტემას აჭარაში, სწრაფად გაიძრეს ,,ნაციონალური“ ტყავი და ,,გაოცნებდნენ“. თითქმის უცვლელად გთავაზობთ რესპოდენტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას: ,,აჭარაში არიან თანამდებობებზე ადამიანები, რომლებიც ემსახურებოდნენ ნაციონალური მოძრაობის რეჟიმის განმტკიცებასა და ხალხის დათრგუნვას. მოგაწვდით მათ ვინაობისა და თანამდებობების შესახებ ინფორმაციას: შარაბაძე-ბათუმის საზღვაო აკადემიის რექტორი (ნაცების დროს ყალბი პასპორტების დამამზადებელი);

ნათია სირაბიძე– ხაბაძის პრესსპიკერი (უმაღლესი საბჭოს ყოფილი პრესმდივანი);

ირაკლი ჭეიშვილი-აჭარის მთავრობის აპარატის უფროსი (ყოფილი ნაციონალი და მერე თავისუფალ დემოკრატებში გადავიდა, ვარშალომიძემ რომ მიჟეჟა კარგად); ახლა ხაბაძე ჰყავს „მეშოკში“ და ატრიალებს თავის ჭკუაზე, ანუ რასაც მე აქ გეუბნებით, ჩათვალეთ, რომ ამ ირაკლის ნაჩალიჩარია და ალასანიას პარტიას უმაგრებს ფესვებს აჭარაში... ოცნების ხალხს ბლოკავს ყველას...

შაშიკაძე-გზების დეპარტამენტის უფროსი (ქდმ-ს დეპუტატობის კანდიდატის ძმა);

წულაძე-ეკოლოგიის სამსახურის უფროსი (ტყე-პარკების ყოფილი უფროსი, რომელმაც გაანადგურა „მტირალას პარკის“ ხეები);

დემურ დიასამიძე-ახალგაზრდული დეპარტამენტის უფროსი (ლიბერთი ბანკში მუშაობდა ნაცების დროს, ყოფილი ნაციონალია);

ბალაძე-ფინანსთა მინისტრი (2011-2012 წლებში „ანაგის“ ფინანსური მენეჯერი); ბალაძეზე მთელი ისტორია მაქვს და აქ ვერ მოგწერ.

ნუგზარ მგელაძე--ხაბაძის თანაშემწე (შვილი ჰყავდა და ჰყავს კუდის თანამშრომელი, ანუ ნაცია); ალექსანდრე ინწკირველი-სარფის საბაჟოს საპატრულოს უფროსი (ცნობილი ნარკო რეალიზატორი); აჭარის მუსლიმთა კავშირის მუფტი-ხაბაძის მრჩეველი (ადრე მწარედ მოყვარული ნაციონალების, ახლაც აქვს მისი სახლის კედელს და ჭიშკარს შემორჩენილი სააკოვის პლაკატები); კობა ჩხეიძე--მონიტორინგის სამსახურის უფროსი; ნოდარ თურმანიძე-ასრულებს ხელვაჩაურის გამგებლის მოვალეობას, ოცნებისტ ლევან ლორთქიფანიძის უკანონოდ დაკავების და გათავისუფლების შემდეგ...(კამაზის მძროლია ისე, პროფესიით)

ცინცქილაძე-არქივის უფროსის მოადგილე (რადგან ხაბაძე და ჭეიშვილი უდგას პროტეჟედ, ვერ მოიშორეს ყოფილი ნაგავი და ახლა არქივში მოადგილეა უფროსის)

ყურშუბაძე– სამი რაიონის სამმართველოს უფროსია (კუდის ყოფილი უფროსი, რომელიც მე თვითონ მყავს ნანახი ბეშუმში ნაცების მაიკაში გამოწყობილი, ხელჩართულ ბრძოლაში იყო ჩართული ,,ოცნებელების“ წინააღმდეგ. ბიძინა ძლივს გამოიყვანეს იმ არეულობიდან დაცვამ. მეც იქ ვიყავი და თავად გამოვცადე ნაცების გინება და დევნა მაგ კაცის ხელმძღვანელობით. ხაბაძე არც ყოფილა იქ და არც აქციებს ესწრებოდა. თბილ კაბინეტში მოთავსებული ციფრებს ჩაჰკირკიტებდა მუდამ. ჭეიშვილმა გამოიჭირა და აბლუყუნებს თავის ჭკუაზე)

ცინცაძე-ყურშუბაძის მოადგილე (ეგეც კუდის ყოფილი უფროსი);

ლევან გორგილაძე--ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე (ყოფილი და მგონი ახლაც მოქმედი ნაცი, რომელსაც მიშამ ღირსების ორდენი დაკიდა არჩევნებამდე, 20 სექტემბერს, რატომ დაინიშნა მინისტრის მოადგილედ, ეს გასარკვევია (ნარკოლოგიურ ცენტრში მუშაობდა ადრე).“

თელიას ინციდენტი და კიდევ აჭარის პროკურატურის შესახებ ატეხილი აჟიოტაჟი ცალკე საკითხია. სამწუხარო კიდევ ის გახლავთ, რომ მხოლოდ აჭარის პრობლემა არ არის ასეთი ხასიათის. შსს-ს რაიონულ ორგანიზაციებში, პროკურატურაში კვლავ ძველნაცური ,,სასტავები“ გრიალებენ და ბოლომდე აწუხებენ ადამიანთა იმ კატეგორიას, რომლებიც ასე თუ ისე ხმას იღებდნენ ,,ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ. სამსახურებრივი გულგრილობა თუ მიზანმიმართული კრიმინალური ქმედებები?! ამ კითხვას კიდევ უფრო ეძლევა ელფერი იმ ფონზე, რაც 19 აპრილიდან გამომდინარეობს: ძველ ხელისუფლებაზე ტრფიალად ქცეულ ადამიანებს ნაციონალების რესტავრაციის მოლოდინი აქვთ და ამბობენ, რომ ,, თავისი ხალხი ყველგან ჰყავთ.“

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ვანო მერაბიშვილი დიპლომატებთან ჩივის

შორენა მარსაგიშვილი

ნაციონალური მოძრაობის გენერალურმა მდივანმა ვანო მერაბიშვილმა პარტიისთვისაც მოიცალა. წინა კვირაში ის რაბათის საქმეებით იყო დაკავებული და ახალი ხელისუფლება გააფრთხილა, ჩემს აშენებულ რაბათს არაფერი დაუშავოთ, თორემ აქ საშინელებებს დავატრიალებო.

მეოცნებეებმა, როგორც ჩანს, კოპაბიტაციას გაუწიეს ანგარიში და რაბათის ციხეს ცოტა ხნით შეეშვნენ. ვანომაც ოდნავ ამოისუნთქა და 19 აპრილის აქციისთვის დაიწყო სამზადისი. მაგრამ ეს მეოცნებეები გაცლიან რამეს? როგორც საპარლამენტო ოპოზიცია იუწყება, მათი აქტივისტების დაწიოკება ისევ გრძელდება.

ნაციონალების შევიწროებაზე ვანო მერაბიშვილმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. მან ახალ ხელისუფლებას სთხოვა, ჩემიანებს შეეშვით და მე დამკითხეთო.

ცოტა ხნის წინ მეოცნებეებმა პირობა დადეს, შუალედურ არჩევნებამდე ნაციონალებს არ დავკითხავთო. მერაბიშვილმა მათ სწორედ ეს დაპირება შეახსენა. პოლიტიკური რეპრესიების დიდი შემოქმედი ახლა თავად ჩივის რეპრესიების გამო.



— საქართველოში 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ დაიწყო და, სამწუხაროდ, დღესაც გრძელდება ნაციონალური მოძრაობის წევრთა დაშინება, დევნა და დაპატიმრება. ამ პერიოდში 2000-ზე მეტი აქტივისტი იქნა დაკითხული. 27 აპრილს საქართველოს 3 რაიონში ტარდება შუალედური არჩევნები. ხელისუფლებამ დადო პირობა, რომ ამ არჩევნებამდე არ მოხდებოდა ჩვენი მომხრეების დაკითხვა. დანაპირები არ შესრულდა, მათზე ზეწოლა გრძელდება, — აღნიშნა პარტიის გენმდივანმა.

ახალი ხელისუფლების მიერ 2000 ნაციონალის დაკითხვამ ვანო მერაბიშვილს გული აუჩუყა. მან გუშინ დაკითხულებს მადლობა გადაუხადა და გვაუწყა, ყველა მათგანს საგანგებო უსტარს გავუგზავნიო.

— ყველა მათგანს გავუგზავნი წერილს, გადავუხდი მადლობას და ვთხოვ, დარჩნენ საქართველოს სამსახურში. არც ერთმა მათგანმა გული არ უნდა გაიტეხოს, — აღნიშნა ყოფილმა შს მინისტრმა.

მისთვის წარმოუდგენელია, რომ ხელისუფლება ოპონენტებს პოლიტიკური ნიშნით დაკითხვაზე იბარებს. ისე, ეს, წესით, ვანო მერაბიშვილს ნამდვილად უნდა გაუკვირდეს. მისი მინისტრობის პერიოდში პოლიტიკურ ოპონენტებს ყოველგვარი სამხილების გარეშე ციხეში უშვებდნენ.

ამის გახსენება ახლა მერაბიშვილს, ცხადია, არ სურს. ის და მისი გუნდი ამტკიცებენ, რომ მათ დროს პოლიტიკურ დევნას ადგილი არ ჰქონია.

მეოცნებეების ქმედებით შეძრწუნებული მერაბიშვილი ხელისუფლებას ახალი ინიციატივით მიმართავს.

— რასაც ნაციონალური მოძრაობის წევრები აკეთებდნენ და აკეთებენ, ყველაფრის საქმის კურსში ვარ და ვიყავი. ამიტომ მათ თავი დაანებეთ და მე დამკითხეთ, — იხვეწება ხერხემალყოფილი.

წესით, მერაბიშვილს ამ მხრივ სახვეწრად არ უნდა ჰქონდეს საქმე. მის დაკითხვას ხელისუფლება ისედაც აპირებს. მერაბიშვილთან ძალიან ბევრი კითხვა არსებობს. ვანო კი ამ კითხვებზე პასუხების გაცემის გუნებაზე არ არის.

სამაგიეროდ, ის ნაციონალების დევნაზე გაავრცელებს ცნობებს და მიმართვას გაუგზავნის როგორც საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატებს, ასევე უწყებათაშორის კომისიას.

იმ შემთხვევაში, თუ ვანო მერაბიშვილი უწყებათაშორის კომისიას მიმართავს, კომისია კონკრეტულ ფაქტებს შეისწავლის და შესაბამის რეაგირებას მოახდენს. ასე ეხმიანებიან უწყებათაშორის კომისიაში „ნაციონალური მოძრაობის" გენერალური მდივნის განცხადებას, რომლის მიხედვითაც, მიუხედავად მოახლოებული შუალედური არჩევნებისა, „ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტების დაკითხვაზე მასობრივი დაბარება არ წყდება.

უწყებათაშორისი კომისიის წარმომადგენელთა განცხადებით, წინათ კონკრეტულ დარღვევებსა და ზეწოლის ფაქტებს ადგილი ჰქონდა და მათზე შესაბამისი რეაგირებაც მოხდა.

— 30 მარტს უწყებათაშორისმა კომისიამ გამოსცა რეკომენდაცია, სადაც საგამოძიებო ორგანოებს მოუწოდა, რომ წინასაარჩევნო პერიოდში გადაევადებინა ისეთი საქმეების გამოძიება, რომელიც ძველ საქმეებს უკავშირდებოდა, რათა საარჩევნო გარემოზე ამას ნეგატიურად არ ემოქმედა. ეს პოზიცია გაიზიარა იუსტიციის სამინისტრომაც. ჩვენ შევისწავლით ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივნის განცხადების და, საჭიროების შემთხვევაში, მოვახდენთ რეაგირებას, — განაცხადა თამარ კინწურაშვილმა.

# დავით ბაქრაძე: „თეა წულუკიანს მიხეილ სააკაშვილს არ დავაკითხვინებთ!"

შორენა მარსაგიშვილი

აგვისტოს ომის თემას ნაციონალები ძალიან მტკივნეულად განიცდიან. 2008 წლის 12 აგვისტოს, როცა ჩვენი ბიჭების ცხედრები ჯერ კიდევ არ იყო გაციებული, გამოგვიცხადეს, ომი მოვიგეთო და ტაშ-ფანდური გამართეს. ნათქვამია, გამარჯვებულებს არ ასამართლებენო. სააკაშვილს ეს ომი მართლა რომ მოეგო, მაშინ მის შესაძლო გასამართლებაზე არავინ ალაპარაკდებოდა, მაგრამ ომი წაგებულია და ახალი ხელისუფლება ამ ავანტიურის გამოძიებას აპირებს.

იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა 8 აპრილს მედიასთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ აგვისტოს ომის საქმის გამოძიების პროცესში, სავარაუდოდ, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც დაიკითხება.

საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს ქვეყნის ნაციონალური ინტერესების საწინააღმდეგო განცხადებების გაკეთებაში ადანაშაულებს.

მისი თქმით, საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის შესაძლო დაკითხვაზე იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის განცხადება პოლიტიკურ ბოდვა და უპასუხისმგებლობაა.

— ქალბატონი წულუკიანისგან ჩვენ მოვისმინეთ მორიგი, ოღონდ ამჯერად მსხვილი კალიბრის უპასუხისმგებლო და ჩვენი ქვეყნის ნაციონალური ინტერესების საწინააღმდეგო განცხადებები. ერთადერთი შეფასება, რაც მომდის თავში, არის ის, რომ ეს არის პოლიტიკური ბოდვა. სხვა შეფასება, სამწუხაროდ, არ არსებობს. იგივე შეფასება ვრცელდება ბარათებთან დაკავშირებით. ეს სამოქალაქო სახელმწიფოს ფუნდამენტური პრინციპების საწინააღმდეგო განცხადება იყო, — აღნიშნა უშიშროების საბჭოს მდივანმა.

მისი პათოსი სხვა ნაციონალებმაც გაიზიარეს. პარლამენტის ვიცე-სპიკერ გიორგი ბარამიძის აზრით, აგვისტოს ომთან დაკავშირებით იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის განცხადება რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს.

— ბუნებრივია, ეს განცხადება მხოლოდ რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს და ეს ყველას კარგად ესმის. რაც შეეხება საკითხის სამართლებრივ მხარეს, დარწმუნებული ვარ, ამას არანაირი შედეგი არ მოჰყვება. როცა პოლიტიკური ფიგურები ასეთ განცხადებებს აკეთებენ, ეს მხოლოდ რუსულ ინტერესებს ემსახურება. საკითხი კარგადაა შესწავლილი. არსებობს ტალიავინის დასკვნა, სადაც ნათლად წერია, თუ რა გააკეთა რუსეთმა და რა — საქართველომ. თუ ვინმე ცდილობს, რომ პუტინს სისხლიანი ხელები დაბანოს, ეს, ალბათ, მხოლოდ მისი პრობლემაა და ეს საქართველოს პრობლემა არაა. საქართველოს მთავრობა კარგად უნდა დაფიქრდეს და თავის წევრს მოუწოდოს, იმოქმედოს საქართველოს ინტერესების სასარგებლოდ და არა მის საზიანოდ, — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ბარამიძემ.



საპარლამენტო უმცირესობის ლიდერისა და პარლამენტის ყოფილი სპიკერის დავით ბაქრაძის განცხადებით, წულუკიანი პოლიტიკური ბრძოლის ფარგლებში გადავიდა იმ ზღვარს, რომლის იქითაც უკვე სახელმწიფო ზიანდება.

— 2008 წელთან დაკავშირებით გამოძიება ჩაატარა ქართულმა მხარემ. გახსოვთ მაშინ, რომ იყო აბსოლუტურად ღია და გამჭვირვალე პროცესი და პრეზიდენტიც იყო მისული პარლამენტში საპარლამენტო კომისიის წინაშე. გარდა ამისა, ევროკავშირმა შექმნა ვრცელი საგამოძიებო სტრუქტურა, რომელსაც ქალბატონი ტალიავინი ხელმძღვანელობდა, რომელმაც რამდენიმე თვე იმუშავა, შეხვდა ყველა მხარეს და ამის შემდეგ დადო დასკვნა, რომელზეც ყველამ თქვა, რომ ეს არის ადეკვატური და სამართლიანი. ამის ფონზე ვერ ვხედავ, რას ემსახურება აღნიშნული პროცესების ხელახლა გამოძიება, თუ ჩვენი ამოცანაა, მაინცდამაინც დავამტკიცოთ, რომ ომი დავიწყეთ ქართველებმა, ტერორისტებს ვამზადებთ ქართველები, რომ ჩვენ ვართ მართლა ისეთი ცუდები, როგორც ზოგიერთი რუსი თანამდებობის პირი ამტკიცებს, მაშინ გასაგებია, მაგრამ მე ნამდვილად არ მინდა ვიფიქრო, რომ ეს დგას იუსტიციის მინისტრის განცხადების უკან და იმედს ვიტოვებ, რომ ეს იყო, უბრალოდ, უპასუხისმგებლო განცხადება. ქალბატონი წულუკიანი პოლიტიკური ბრძოლის ფარგლებში გადავიდა იმ ზღვარს, რომლის იქითაც უკვე სახელმწიფო ზიანდება, ამიტომ იმედს ვიტოვებ, რომ ეს განცხადება დარჩება განცხადებად, მაშინ როცა მთელი მსოფლიო აღიარებს და ენდობა გამოძიებას, რომელიც ჰაიდი ტალიავინიმ ჩაატარა, სრულიად გაუგებარია, რას უნდა ემსახურებოდეს ხელახალი გამოძიების დაწყება, — განაცხადა ბაქრაძემ.

უმცირესობის ლიდერმა ჟურნალისტებს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" კანონზეც შესჩივლა. მისი თქმით, ეს ის საკითხია, სადაც დათმობის რესურსი, პრაქტიკულად, არ არსებობს.

— თუ თქვენ გადაკვეთთ რუსეთ-საქართველოს საზღვარს ლარსზე, ესაა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, ხოლო თუ გადაკვეთთ ფსოუზე, არის ადმინისტრაციული ჯარიმა, როგორც, მაგალითად, მანქანის ნასვამ მდგომარეობაში ტარების დროს. ეს ნიშნავს იმას, რომ რუსეთ-საქართველოს საზღვრის ფსოუსა და როკის გვირაბის მონაკვეთი ნაკლებღირებულია, ვიდრე ლარსის. მე მესმის არგუმენტები, რომლითაც ვითომ ამართლებენ უმრავლესობის წევრები ამ კანონს, მაგრამ მიმაჩნია, რომ ამით ვუშვებთ ძალიან საშიშ პრეცედენტს, — განაცხადა ბაქრაძემ.

ნაციონალებისგან განსხვავებით, კანონსა და აგვისტოს ომს სხვა თვალით უყურებენ მეოცნებეები და არანაციონალი პოლიტიკოსები.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე მიიჩნევს, რომ აგვისტოს ომი გამოძიებულ უნდა იქნეს. ის პაატა დავითაიას კომისიის დასკვნასაც გამოეხმაურა. ეს კომისია პარლამენტში 2008 წლის შემოდგომაზე შეიქმნა. საგანელიძის განცხადებით, აგვისტოს ომთან დაკავშირებით წინა ხელისუფლების მიერ დადებული დასკვნა საზოგადოების შეცდომაში შეყვანა იყო.

— მიმაჩნია, რომ აგვისტოს ომი გამოძიებულ უნდა იქნეს, რადგან, თუ ვინმეს ჰგონია, რომ აგვისტოს მოვლენები გამოძიებულია, ეს ასე არ არის. იმ დოკუმენტით, რომელიც მაშინდელმა ხელისუფლებამ დადო, რომ თითქოს ყველაფერი შესწავლილია და გამოძიებული. საზოგადოება შეცდომაში შეიყვანეს, — აღნიშნა საგანელიძემ.

აგვისტოს ომის გამოძიების აუცილებლობაზე საუბრობს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეც. მისი განცხადებით, აუცილებელია, ახალმა ხელისუფლებამ წინა ხელისუფლების მიერ ჩადენილი დანაშაულები გამოიძიოს, მათ შორის 26 მაისისა და აგვისტოს ომის მოვლენებიც.

— 26 მაისი, ისევე, როგორც 9 აპრილი, იყო ნიმუში იმისა, რომ ადამიანების მცირე ჯგუფს, მცირე ნაწილს, შეუძლია დაანახვოს დანარჩენ საქართველოს, რომ არ ეგუება უსამართლობას და შეუპოვრად იბრძვის საკუთარი და სამშობლოს ღირსებისთვის. მე იმედი მაქვს, რომ ჩვენი ქვეყანა გახდება ისეთი, როგორიც 9 აპრილისა და 26 მაისის მონაწილეებს უნდოდათ. 2008 წლის 8 აგვისტო ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში ყველაზე ტრაგიკული და მძიმე დღე იყო. აუცილებელია, ეს მოვლენები, ასევე წინა ხელისუფლების მიერ ჩადენილი სხვა დანაშაულები, მათ შორის 26 მაისიც ახალი ხელისუფლების მხრიდან გამოძიებულ იქნეს. ქვეყნისთვის ყოველთვის კარგია, როდესაც სიმართლეს ფარდა ეხდება. ხმამაღლა უნდა ვილაპარაკოთ ყველა იმ შეცდომაზე, რომელიც დაუშვა ხელისუფალმაც და თითოეულმა ჩვენგანმაც და ეს შეცდომები არასოდეს აღარ უნდა გავიმეოროთ, — აღნიშნა ნინო ბურჯანაძემ.

# ჩიორა თაქთაქიშვილი: „ფეისბუქის ჩემს გვერდს აკონტროლებენ"

შორენა მარსაგიშვილი

ამ დღეებში ნაციონალებმა განგაში ატეხეს, შსს „ფეისბუქს" აკონტროლებსო. ამის გამო საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა ჩიორა თაქთაქიშვილმაც დაიჩივლა.

თაქთაქიშვილის განცხადებით, მის „ფეისბუქის" გვერდზე დაწესებული კონტროლის გამო მოქალაქეები ტერორის მსხვერპლნი ხდებიან.

მისი თქმით, რამდენიმე დღის წინ მას სოციალური ქსელის საშუალებით დაუკავშირდა ზუგდიდელი მოქალაქე მაკა კოდუა, რომელმაც ერთ-ერთ ეთერში გენერალ გიგი კალანდაძის გამოსვლის შემდეგ გადაწყვიტა, სამხედრო პოლიციის მაღალჩინოსან სერგო ჩაჩიბაიას შესახებ მისთვის ინფორმაცია მიეწოდებინა.

— საქმე ეხება სამხედრო პოლიციის უფროსის მოადგილე სერგო ჩაჩიბაიას წინა ნასამართლეობას. ჩაჩიბაია გასამართლებულ იქნა არასრულწლოვანის წამებისთვის. საუბარი იყო იმაზე, რომ კოდუას უნდოდა, ინფორმაცია მოეწოდებინა ჩემთვის სამხედრო პოლიციის უკანონოდ გათავისუფლებული მაღალჩინოსნების გამო. მეორე დღეს, 23:00 საათზე, მაკა კოდუას სახლში შეიჭრა 5 პიკაპი, რომელშიც იყვნენ ავტომატებით შეიარაღებული სამართალდამცველები, ვითომდა გადაუდებელი ჩხრეკის ჩასატარებლად. მათ გადაჩხრიკეს მთელი სახლი, ფსიქოლოგიური ტერორი მოუწყვეს ოჯახის წევრებს. ერთ-ერთს, რომელიც მეთაურობდა ამ ოპერაციას, წამოსცდა, რომ ამ ყველაფრის მიზეზი იყო მაკა კოდუა, რომელიც განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა. მათ თან წაიღეს მხოლოდ კოდუას ერთ-ერთი ბიძაშვილის ფოტო. როგორც მოგვიანებით გავარკვიეთ, ჩხრეკა ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს იყო მოკლებული. ვეჭვობ, რომ აღნიშნული ფაქტი კოდუას მიერ ჩემთან დამყარებულ ვირტუალურ კომუნიკაციას უკავშირდება. მაკა კოდუას სურვილი იყო, 19 აპრილის აქციისთვის ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერების თბილისში ჩამოყვანისთვის ორგანიზება გაეწია. აქედან გამომდინარე, დეპუტატი ეჭვობს, რომ, შესაძლოა, ჩხრეკა ამ ფაქტსაც უკავშირდებოდეს. სკანდალურია, რომ პარლამენტის წევრის „ფეისბუქის" გვერდზე დაწესებულია იმგვარი კონტროლი, რომ საქართველოს მოქალაქეები მასთან ვირტუალური კონტაქტისას ტერორის ობიექტები ხდებიან. მე არ მივატოვებ ამ ფაქტს, არ მოვეშვები, ვაპირებ, პირადად შევხვდე მაკა კოდუას და მისგან მოვისმინო ყველაფერი, ამასთან, მოვუწოდებ სამართალდამცველებს, დაიწყონ გამოძიება და დაადგინონ, რა სახის კავშირი იყო ჩემთან კომუნიკაციასა და კოდუას სახლში ჩატარებულ ჩხრეკას შორის, — განაცხადა თაქთაქიშვილმა.

დეპუტატმა 19 აპრილის აქციაზეც ისაუბრა და დაგვპირდა, რომ ეს აქცია აუცილებლად გაიმართება. თაქთაქიშვილი დარწმუნებულია, რომ ამ აქციას საქართველოს პრეზიდენტიც დაესწრება.

8 აპრილს საქართველოს პრეზიდენტი თურქეთში ავარიაში მოყვა. ამბობენ, რომ ის ველოსიპედით ტრაილერს დაეჯახა. გავრცელებული ინფორმაციით, მან მხარი მოიტეხა და გადაუდებელი ოპერაცია დასჭირდა.



საზოგადოებაში გაჩნდა ვერსიები, რომ ის 19 აპრილის აქციაზე დასწრებას ვერ შეძლებს. თაქთაქიშვილი დარწმუნებულია, რომ 19 აპრილს სააკაშვილი აქციაზე მისვლას შეძლებს.

ქვეყნის პირველი პირი გუშინ თავის თურქ კოლეგას შეხვდა. აბდულა გიულისთან შეხვედრაზე ის ხელებს საკმაოდ კარგად იქნევდა. შესაბამისად, არც 9 დღის შემდეგ უნდა გაუჭირდეს აქციაზე გამოსვლა.

# ტარიელ ფუტკარაძე: „9 აპრილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეა“

გულიკო ბალაძე

**1989 წლის მთავრობის სახლის წინ საბჭოთა ჯარების მიერ მშვიდობიანი მომიტინგეების სასტიკი დარბევიდან 24 წელი გავიდა, 1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენიდან კი – 22 წელი და დღემდე ვმსჯელობთ იმაზე და ვერ შევთანხმებულვართ, 9 აპრილია ქვეყნის დამოუკიდებლობის დღე თუ 26 მაისი.**



9 აპრილი შევარდნაძემ გლოვის დღედ გამოაცხადა, სააკაშვილი კი მისი მემკვიდრეობის კარგი გამგრძელებელი აღმოჩნდა. შევარდნაძეც და სააკაშვილიც საქართველოს დამოუკიდებლობის დღედ 26 მაისს აღიარებდნენ და მას აღნიშნავდნენ.

– 9 აპრილი გლოვის დღეა თუ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე? – ამ კითხვას სვამს უზენაესი საბჭოს დეპუტატი ტარიელ ფუტკარაძე და თავის არგუმენტებს გვაცნობს, თუმცა ამ კითხვას ყველაზე კარგად მან 1991 წლის 9 აპრილს უზენაეს საბჭოში წარმოთქმული სიტყვით უპასუხა.

– სიმბოლურია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება 9 აპრილს, ვინაიდან ამ დღეს გადაწყდა საქართველოს ბედი. 9 აპრილს წამებულთა სულები დაგვცქერიან ჩვენ და ხარობენ ზეციურ ნათელში, რამეთუ აღსრულდა ნება მათი, აღსრულდა ნება ქართველი ერისა. გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! გვფარავდეს ღმერთი!

ამ სიტყვებით ზვიად გამსახურდიამ დიდი პატივი მიაგო 9 აპრილს დაღუპულებსაც და საკადრისი პასუხიც გასცა 1989 წლის 9 აპრილის საშინელი ტრაგედიის ორგანიზატორებსაც, რომლებისთვისაც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება იმპერიულ გულში ლახვრის ჩაცემა იყო.

1991 წლის შემდეგ საქართველო სულ სხვა გზით წაიყვანეს და ის, რასაც მიაღწია ეროვნულმა ხელისუფლებამ, სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა შემდგომი ხელისუფლებებისთვის.

– 9 აპრილი არის დამოუკიდებლობისთვის ქართველი ერის ღირსეული ბრძოლისა და ამ ბრძოლაში გამარჯვების დღე. დიდგორშიც დაიღუპნენ ქართველები, მაგრამ ჩვენს წინაპრებს ეს დღე არ გამოუცხადებიათ გლოვის დღედ. სისხლიან ბრძოლაში ნებისმიერი გამარჯვება სევდიანიც არის გმირთა დაღუპვის გამო, მაგრამ გამარჯვებას მაინც ზეიმობენ, – აცხადებს ტარიელ ფუტკარაძე.

ტარიელ ფუტკარაძეს მიაჩნია, რომ 26 მაისის დამოუკიდებლობის დღედ დაფიქსირება გაუმართლებლად ამოკლებს საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიას:

– 1918 წლის 26 მაისს არ გამოცხადებულა საქართველოს დამოუკიდებლობა. ამ დღესაც აღდგა საქართველოს მრავალსაუკუნოვანი დამოუკიდებლობა.

საქართველოს დამოუკიდებლობა ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულიდან იწყება (აიეტი, აფსირტე...), დოკუმენტური ისტორია კი ფარნავაზისა და ქუჯის დროიდან გვაქვს. თანამედროვე მსოფლიომ საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტით, – აღნიშნავს დეპუტატი.

ტარიელ ფუტკარაძეს თავისი პოზიციის დასამტკიცებლად გარკვეული არგუმენტებიც მოჰყავს. კერძოდ, ის აცხადებს:

– 9 აპრილის გლოვის დღედ გამოცხადებით გააზრებულად იჩქმალება საბჭოთა ოკუპაციის დანაშაულებრივი ხასიათი: 26 მაისს აღდგენილი დამოუკიდებლობა რუსეთის კომუნისტურმა იმპერიამ 3 წელიწადში დაამხო და საქართველოს 70-წლიანი სისხლიანი ოკუპაციისა და ანექსიის პერიოდი მოუვლინა.

1989 წლის 9 აპრილის გმირული ღამით იწყება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შეუქცევადი პროცესი, რომელიც დე იურე დამთავრდა 1991 წლის 9 აპრილს, ხოლო დე ფაქტო – დღემდე გრძელდება.

9 აპრილის გლოვის დღედ, ხოლო 26 მაისის დამოუკიდებლობის დღედ აღიარებით მიზანმიმართულად იჩქმალება პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას, 9 აპრილს დაღუპულ გმირთა, ამ პერიოდის ქართველთა გმირული სულისკვეთება და მთლიანად, საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად, მათ მიერ 31 მარტის რეფერენდუმით გამოხატული მტკიცე ნება საქართველოს დამოუკიდებლობისა.

ტარიელ ფუტკარაძე იმ პერიოდს ასე იხსენებს:

– მე, როგორც 9 აპრილის ბრძოლის მონაწილემ და 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერმა, ასე შემიძლია გავიხსენო 1989 წლის 8 და 9 აპრილი: იმპერიის ხელისუფლებამ 8 აპრილს დილით მომიტინგეთა და მოშიმშილეთა შორის სამხედრო მანქანები გაატარა; ამ ფაქტმა ერთიორად გაზარდა მომიტინგეთა რაოდენობა. 8 აპრილს ყველამ ვიცოდით, რომ ჩვენი მხრიდან უიარაღო, ზნეობრივ ბრძოლაში იმპერია ჩვენს სისხლს დაღვრიდა. პირადად მე სახლში მივედი რამდენიმე წუთით და ჩემიანებს გამოვემშვიდობე.

9 აპრილს, მიტინგის დარბევის წინ, მოგვმართა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ და გვითხრა: იმპერიის ხელისუფლებისგან საფრთხე რეალურია, თქვენი სისხლი დაიღვრება, ეკლესიაში გადავიდეთ, რომ საფრთხე ავიცილოთო. ჩვენ ვუთხარით, დიდი მადლობა, პატრიარქო, ვიცით, რომ ჩვენი სისხლი დაიღვრება, მაგრამ მზად ვართ, საქართველოსთვის ბრძოლაში დავიღუპოთ. პატრიარქმა გვიპასუხა: მაშინ მეც თქვენთან ერთად დავრჩები მტერთან ბრძოლაშიო და დარჩა პატრიარქი ჩვენთან.

მერაბ კოსტავამ სწორედ მაშინ თქვა: ეს დიდებულია წამია, ქართველი ერის გმირული შემართების წამი.

საქართველომ უნდა იზეიმოს 9 აპრილი, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობისთვის გმირული ბრძოლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე, – ასკვნის ტარიელ ფუტკარაძე.

– ბატონო ტარიელ, რატომ ფიქრობთ, რომ 9 აპრილის იგნორირებით ხდება ოკუპაციის მიჩქმალვა?

– მსოფლიოში, როგორც წესი, სახელმწიფოების დამოუკიდებლობის დღედ მიიჩნევა ან სახელმწიფოს დაფუძნების დღე, როგორც აშშ-ის შემთხვევაშია, ან დამოუკიდებლობის აღდგენის დღე. 26 მაისი არ არის არც საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაფუძნების დღე, იმიტომ რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობა დაფუძნდა 20-30 საუკუნის წინ და არც დამოუკიდებლობის აღდგენის ბოლო დღე, ვინაიდან ბოლოს დამოუკიდებლობა აღდგა 9 აპრილს და მსოფლიომ ჩვენ გვცნო 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის საფუძველზე. 26 მაისი ისტორიული თარიღია, მაგრამ ეს არ არის ქვეყნის დამოუკიდებლობის დღე, ვინაიდან მას შემდეგ ჩვენ გვქონდა 70-წლიანი სისხლიანი რეპრესიული რეჟიმის მიერ ოკუპირებული საქართველო. თუ 26 მაისს ვიზეიმებთ, როგორც დამოუკიდებლობის დღეს, ეს არის სრული ნონსენსი, რადგან ეს თარიღი არ არის საქართველოს სახელმწიფოს დაფუძნების დღე. თუ ვილაც მეტყვის, კი ბატონო, 26 მაისი არ არის სახელმწიფოს დაფუძნების დღე, მაგრამ სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღეაო, მაშინ ის პირდაპირ თუ ირიბად ჩქმალავს და აუფერულებს იმას, რომ საქართველო 70 წლის განმავლობაში იყო ოკუპირებული სისხლიანი იმპერიის მიერ. ის ადამიანები, რომლებიც ამბობენ, რომ 26 მაისი არის საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, ნებით თუ უნებურად ჩქმალავენ იმ ფაქტს, რომ 26 მაისის შემდეგ იყო 25 თებერვალი, როცა საქართველო დაიპყრო რუსეთის კომუნისტურმა იმპერიამ და მოახდინა საქართველოს ოკუპაცია-ანექსია და როგორ იყო დამოუკიდებელი ქვეყანა? ანუ, თუ ადამიანი ამბობს, რომ 26 მაისი დამოუკიდებლობის დღეა და მას შემდეგ დამოუკიდებელი ვართ, ის მალავს კომუნისტური იმპერიის მიერ საქართველოს 70-წლიანი ოკუპაციის ფაქტს. როგორ არის 26 მაისი დამოუკიდებლობის დღე, როდესაც იმ დროს არ დაფუძნებულა არც ქართული სახელმწიფოს სახელმწიფოებრიობა და ამ დღეს აღდგენილმა დამოუკიდებლობამაც მხოლოდ 3 წელი იარსება? შესაბამისად, ლოგიკურია, რომ საქართველომ დამოუკიდებლობა იზეიმოს ისეთ დღეს, როდესაც დაფუძნდა სახელმწიფოებრიობა – გავარკვიოთ, როდის დააფუძნა ქართული სახელმწიფო აიეტმა, ქუჯიმ თუ ფარნავაზმა და, თუ ამას ვერ გავარკვევთ, მაშინ ვიზეიმოთ 9 აპრილს, როცა ბოლოს აღდგა საქართველოს დამოუკიდებლობა, რაც ჩაწერილია ჩვენს კონსტიტუციაში და აღიარებულია მსოფლიოს მიერ.

– თუმცა, 26 მაისის მოზეიმეთა მხრიდან არგუმენტი მომისმენია, რომ 31 მარტს ჩატარდა რეფერენდუმი კითხვით, 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე გსურთ თუ არა დამოუკიდებლობის აღდგენა და 9 აპრილს 26 მაისის აქტის საფუძველზე აღდგა საქართველოს დამოუკიდებლობაო.

– იმ პერიოდში, როდესაც ტარდებოდა რეფერენდუმი, მე ვიყავი, ფაქტობრივად, აჭარის ხელმძღვანელი და თვითონ ჩემი ორგანიზებულია აჭარაში რეფერენდუმი. ამიტომ კარგად ვიცი, რა როგორ იყო. ზვიადის პოლიტიკური განჭვრეტა იყო ის, რომ მან ამით აღადგინა სამართალმემკვიდრეობითი ხაზი, რომელიც გაწყვეტილი იყო საბჭოთა ოკუპაციის შედეგად. მოგეხსენებათ, 26 მაისის დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებას სამართალმემკვიდრეობა არავისთვის გადაუცია. ამ პერიოდში ის ხელისუფლება აღარ არსებობდა. შესაბამისად, რეფერენდუმის გზით მოხდა სამართალმემკვიდრეობის აღდგენა, მაგრამ დამოუკიდებლობის დღე, რეალურად, არის 9 აპრილი, ვინაიდან მსოფლიომ ჩვენ გვცნო 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე და არა 26 მაისის აქტის საფუძველზე.

საქართველოში 1 ოქტომბერს ხელისუფლება შეიცვალა, დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა კი კვლავ 26 მაისსაა გადაწყვეტილი, თუმცა 9 აპრილს საპატრიარქოს უნივერსიტეტში ამ თარიღის საზეიმო აღნიშვნა მოხდა, როგორც დამოუკიდებლობის დღისა. 9 აპრილს, დღის 3 საათისთვის კი პარლამენტის თბილისის შენობაში, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების ორგანიზებით, მოეწყო მიღება, სადაც მიწვეული იყვნენ უზენაესი საბჭოს დეპუტატები, ადამიანები, რომლებმაც ხელი მოაწერეს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს და ამ დღის შემოქმედნი არიან.

## მიხეილ სააკაშვილი თურქეთის პრეზიდენტს შეხვდა



საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, გუშინ, თავის თურქ კოლეგას აბდულა გიულს, ჩანკაიას საპრეზიდენტო სასახლეში პირისპირ შეხვდა.

პრეზიდენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, საუბრის მთავარი თემა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა და სამომავლო თანამშრომლობა იყო.

„შეხვედრისას, კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ თურქეთი საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია და სრულად უჭერს მხარს ჩვენი ქვეყნის ნატოში ინტეგრაციას. ორი ქვეყნის ლიდერებმა იმ მნიშვნელოვან პროექტებზე გაამახვილეს ყურადღება, რომლებსაც საქართველო და თურქეთი ერთობლივად ახორციელებს“ – ნათქვამია ოფიციალურ ინფორმაციაში.

ოფიციალური ინფორმაციის თანახმადვე, საუბარი ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებსაც შეეხო.

მიხეილ სააკაშვილსა და აბდულა გიულს შორის შეხვედრა დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა. შეხვედრის შემდეგ ჩანკაიას საპრეზიდენტო სასახლეში სამუშაო სადილი გაიმართა, რომელსაც ორივე მხარის წარმომადგენლები, გაფართოებული შემადგენლობებით დაესწრნენ.

ნიუსპრესი

## გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ მიზანმიმართული კამპანია მიმდინარეობს

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესის“ მიერ, მიმდინარე წლის 2 აპრილიდან 9 აპრილამდე საანალიზო პერიოდში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, გამოკითხვაში მონაწილეთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ მიზანმიმართული კამპანია მიმდინარეობს.

კითხვაზე – „ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ შინაგან საქმეთა მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მიმართ მიზანმიმართული კამპანია მიმდინარეობს,“ გამოკითხვაში მონაწილეთა 76,9 პროცენტმა დადებითად უპასუხა, 7,7 პროცენტი კი საწინააღმდეგო მოსაზრებას აფიქსირებს.

ამასთან, დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა გამოკითხვაში მონაწილეთა 15,4 პროცენტს გაუჭირდა.

ნიუსპრესი

## ირაკლი ღარიბაშვილმა 9 აპრილის მემორიალი გვირგვინით შეამკო

შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გუშინ, 9 აპრილის მემორიალი გვირგვინით შეამკო და 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების დროს დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგო.

„9 აპრილი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში არის მნიშვნელოვანი თარიღი. ეს დღე ქართველი ხალხის ტკივილი და ტრაგედიაა, თუმცა, ამავდროულად, 9 აპრილის აქციის მონაწილეებმა ჩვენი ქვეყნისა და თავისუფლების სიყვარულის შესანიშნავი მაგალითი მოგვცეს „– განაცხადა ღარიბაშვილმა.

ნიუსპრესი

## ირაკლი ალასანიამ 9 აპრილის მემორიალი გვირგვინით შეამკო



საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ, 9 აპრილის მემორიალთან გუშინ, 24 წლის წინ დაღუპულ გმირთა ხსოვნას პატივი მიაგო.

„9 აპრილი ჩემთვის არა მხოლოდ ის დღეა, როდესაც პატივს მივაგებთ იმ გმირებს, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობას გაწირეს თავი. ჩემთვის ეს დღე ქართველი ერის ძალიან დიდი ერთსულოვნების დღეც არის, რომელიც მენატრება. ვისურვებდი, რომ ტრაგედიის გარეშე ჩვენი ერი ასეთი ერთსულოვანი იყოს, როგორიც 9 აპრილს იყო „ – განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

თავდაცვის მინისტრთან ერთად, 9 აპრილის მემორიალი გვირგვინით საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსმა, პოლკოვნიკმა ირაკლი ძნელაძემ, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა და ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა კახა კალაძემ შეამკეს.

ნიუსპრესი

## ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტი თურქეთის ელჩს მიმართავს

ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტი, მეუფე თეოდორე, ტაო-კლარჯეთში ქართული ისტორიული ძეგლების მდგომარეობასთან დაკავშირებით, საქართველოში თურქეთის ელჩს, ელევენთ მურათ ბურჰანს მიმართავს:

„მიმდინარე წლის 7-8 აპრილს მე, მცირე დელეგაციასთან ერთად ვიმოგზაურე თურქეთის რესპუბლიკაში, სადაც მოვინახულე ქართული ტაძრები და მონასტრები. სამწუხაროდ, ძალიან მძიმე მდგომარეობაში დაგვხვდა იშხანის მონასტერი, სადაც დაწყებულია ტაძრის გაწმენდითი სამუშაოები, გამოტანილია დიდი რაოდენობით მიწა და ქვები, რომლებიც გარეთ უწესრიგოდ არის მიმოფანტული. სამუშაოებს სამწუხაროდ, არ ესწრებიან ქართველი არქეოლოგები და ხელოვნებათმცოდნეები, რაც ჩვენი სიტყვიერი შეთანხმებიდან გამომდინარე სრულიად მიუღებელია. ასევე გაუგებარია, რამ დააჩქარა სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარება საბოლოო შეთანხმების მიღებამდე.

ვიმედოვნებთ, გულისხმიერად მოეკიდებით აღნიშნულს და მიიღებთ ზომებს, რათა დროებით შეჩერდეს სამუშაოები და უზრუნველყოფილ იქნას ქართველი სპეციალისტების მონაწილეობა შემდგომ საქმიანობაში“ – ნათქვამია მეუფეს მიმართვაში.

მეუფე თეოდორემ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რეაგირების თხოვნით, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრსა და საქართველოს კულტურის მინისტრსაც მიმართა.

ნიუსპრესი

# “ახალგაზრდა ადვოკატები“ – ანაბრების სამართლებრივი პრობლემის კვლევა მაისში გამოქვეყნდება

არასამთავრობო უფლებადაცვითი ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები” საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ქართული ანაბრის სამართლებრივი პრობლემის გადაჭრის მიზნით, კვლევის პრეზენტაციისთვის ემზადება. ორგანიზაციამ პრობლემის სამართლებრივი გადაჭრის გზებზე მუშაობა 2013 წლის თებერვალში დაიწყო. როგორც ორგანიზაციაში აცხადებენ, უკვე 20 წელზე მეტია, დაზარალებული საბჭოთა მეანაბრეები, კომპენსაციას ელოდებიან. იცვლება მთავრობა და პოლიტიკური სპექტრი, მიდგომები კი უცვლელია. “ახალგაზრდა ადვოკატების” პოზიციით, საკითხის სამართლიანი გადაწყვეტის ნაცვლად, ჩანს დემაგოგია და ფუჭი დაპირებები. ასეთი მიდგომები არანაირად არ უწყობს ხელს საკითხის მოგვარებას და ემსახურება საზოგადოების დეორიენტაციას და პრობლემიდან ყურადღების გადატანას.

„ახალგაზრდა ადვოკატების” კვლევის მიზანია დაიძლიოს არსებული პრაქტიკა, შეჯამდეს საკითხის გამოსაკვლევად დღემდე ჩატარებული მუშაობის შედეგები, შეფასდეს სახელმწიფო დონეზე მიღებული გადაწყვეტილებები და საქმეში ჩახედულ ექსპერტებთან და საზოგადოებასთან ერთად, სხვა ქვეყნების გამოცილებათა შესწავლის საფუძველზე, შემუშავდეს დაზარალებულებისთვის ღირსეული კონპენსაციის მოდელი და შესაბამისი კანონმდებლობა. ამიტომაც, ორგანიზაციის მიზანია დეტალურად შეისწავლოს აღნიშნული საკითხი და 2013 წლის მაისში გამოაქვეყნოს შესაბამისი ანგარიში, რომელიც იქნება პირველი მცდელობა პრობლემის მოგვარების მიმართულებით.

ორგანიზაციამ კვლევის პროცესში მიიღო უმნიშვნელოვანესი მასალა, რომელიც ასახვას პოვებს ანგარიშში. ამასთან, ხაზგასასმელია ყოფილ საბჭოთა ქვეყნების წარმომადგენელთა გამოხმაურება, რომელიც, მთლიანად, ახლებურად წარმოაჩენს საკითხს. კვლევა „ახალგაზრდა ადვოკატების“ რესურსების გამოყენებით ტარდება. ორგანიზაცია დასკვნასთან ერთად, საქართველოს ხელისუფლებას პრობლემის გადაჭრის სარეკომენდაციო პაკეტს შესთავაზებს. შექმნილია საბჭოთა ანაბრების შემსწავლელი ცენტრიც, რომლის ცხელ ხაზზე: 5790 109019 მოქალაქეებს შეუძლიათ ცენტრს მიაწოდონ ღირებული ინფორმაცია, დოკუმენტები, სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლის კვლევაში გამოყენებას, გადაწყვეტს ცენტრის წარმომადგენლები. ამასთან, მოქალაქეებს საშუალება აქვთ „ახალგაზრადა ადვოკატების” საქმიანობა შეაფასონ ოფიციალურ გვერდზე: www.barristers.ge გამოქვეყნებული სიახლეებით, ასევე, ორგანიზაციის Facebook-ის ოფიციალურ გვერდზე.

# საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ქართული ანაბარი



„ახალგაზრდა ადვოკატების“ ორგანიზებით, 2013 წლის 30 მარტს, ექსპერტთა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით, კონფერნცია „საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ქართული ანაბარი“, ჩატარდა. შეხვედრას არასამთავრობო ორგანიზაციები, ექსპერტი მომხსენებლები და საკითხთან კავშირში მყოფი საჯარო უწყების წარმომადგენელიც ესწრებოდა. დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს 2004 წელს, ანაბრების საკითხებზე საპარლამენტო მომხსენებელთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, ვასილ მაღლაფერიძემ, უფლებადამცველმა ლია მუხაშავრიამ, ეკონომიკის ექსპერტმა ირაკლი ლექვინაძემ და სხვა მოწვეულმა სტუმრებმა. კონფერენციას ასევე ესწრებოდა წარმომადგენლები პარლამენტიდან და სახალხო დამცველის აპარატიდან. ბოლოს, მონაწილეთა შორის, გაიმართება დისკუსია. ამასთან, კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის, ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის, ადამიანის უფლებათა პრიორიტეტის, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, საზოგადოებრივი დამცველის, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის, უფლებადამცველთა გაერთიანების, სამოქალაქო განვითარების სააგენტოს (სიდა), „ახალგაზრდები სამართლიანობისთვის — საქართველოს“ და ევროპელი დემოკრატების, სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების წარმომადგენლებმა. კონფერენციას ესწრებოდნენ დაზარალებული მეანაბრეებიც.

**ვასილ მაღლაფერიძე:** თუ რატომ გაქრა ანაბრები, არსებობს ობიექტური და სუბიექტური მიზეზები. ობიექტური მიზეზია მომხდარი ინფლაცია და საბჭოთა კავშირის ნგრევა, რომელსაც ჩვენ ვერ შევაჩერებდით, თუმცა სახელმწიფოები ვალდებულია საკუთარი მოსახლეობისთვის გათვალოს და ადვილად გადასატანი გახადოს მოსალოდნელი შედეგები. საქართველოში საწინააღმდეგო მოხდა. შერბილების ნაცვლად, გაიძარცვა მოსახლეობა. როგორ მოხდა პოლიტიკური ცვალებადობის პირობებში კატაკლიზმები, უნდა შეისწავლონ ფინანსისტებმა და იურისტებმა. სპეციალისტებმა უნდა იფიქრონ, როგორ მოხდეს კონპენსირება და დაანგარიშება. მართალია, კონპენსირება, ალბათ, მთლიანობაში, სრულად ვერ მოხდება, მაგრამ გარკვეულწილად ეს შესაძლებელია. ეს მოემსახურება საკითხის მიმართ სამართლიანობის აღდგენას, თუმცა პროცესის განვითარებისთვის, საჭიროა პოლიტიკური ნება, ხელისუფლების სურვილი. ფინანსისტებმა და იურისტებმა პოლიტიკის გარეშე უნდა მიუდგნენ საქმეს, თუმცა შედეგები, მაინც, საბოლოოდ, პოლიტიკურ გადაწყვეტილებამდე მიგვიყვანს. პარლამენტში, 2004 წელს, ჩვენ დავდეთ იმ 500 ფირმის სახელი, რომლის მიმართაც, წესით, შესაბამისს სტრუქტურებს კითხვები უნდა დაესვათ, რადგანაც ყველა აღიარებდა, რომ მომხდარი იყო დანაშაული, თუმცა პასუხისმგებლობის საკითხის დასმა გასულ ხელისუფლებაში არ უცდიათ. საკითხს ჰყავდა თავისი იდეოლოგიური დამცველები. ასეთი მიდგომებით ახალი კაპიტალიზმის ჩამოყალიბების მცდელობებს ავლენდნენ. დარწმუნებული ვარ, გაიხსნება ამ ხუთასი ფირმის გვარები და ყველაფერი გახდება ნათელი. „ნაციონალური მოძრაობა” ამბობდა, რომ ანაბრების გაცემის ვალდებულება მათი ტვირთი არ იყო, მაგრამ აღიარება მაინც მოხდა, რომ კოლექტიული დანაშაული იქნა მომხდარი. „ნაცმოძრაობამ” მიაღწია, რომ არ მომხდარიყო ძიება და არ დასახელებულიყო გვარები. დღეს უნდა ვიცოდეთ, რომ შიდა ვალი შეიძლება იყოს სამიდღემშიო. მისი დაბრუნდება პოლიტიკური საკითხია. ყველა არჩევნების წინ ეს საკითხი მომგებიანი თემა იყო. ხელისუფლებას ურჩევნია, ანაბრების გაცემაზე ფიქრს, მაგალითად, პრიორიტეტი სამედიცინო დაზღვევას, სოფლის მეურნეობას, სხვა პროექტებს მიაქციოს. ამით უფრო მოიგებს ამომრჩევლის გულს. შესაბამისად, ანაბრების გაცემა ხელისუფლების კეთილი ნების საკითხია.

**ირაკლი ლექვინაძე:** ჰიპერ-ინფლაცია არის პროცესი, რომელიც მაშინ განვითარდა და ინფლაცია გამომდინარეობდა სხვადასხვა ფაქტორიდან, რამაც ერთიანად დააზარალა იმ პირთა წრე, რომელიც მთელი საქართველო იყო. ინფლაცია იყო მაშინდელი ეკონომიკური გუნდის არასათანადო გამოცდილებისა და დაბალი კვალიფიკაციის შედეგი. მაშინ ვთქვით, რომ გვინდოდა დამოუკიდებლობა და „ბორჯომით” გავიტანთ თავს. ამან გამოიწვია ის, რომ დავტოვეთ სამანეთო ზონა და არავინ არ გათვალა, რა შეიძლება მოჰყოლოდა ამას. ქვეყანას გააჩნდა ვალდებულებები, სჭირდებოდა ფული და ეს ფული ფიზიკურად არ გაგვაჩნდა. ალბათ, არავინ დავობს იმაზე, რომ ინფლაციის შესახებ მაშინდელ მოქმედ ასზე მეტ კერძო კომპანიას ჰქონდა ინფორმაცია. ბუნებრივია, ვისაც ინფორმაცია გააჩნია, ის უფრო მეტ სარგებელს იღებდა. 1990-ანი წლების დასაწყისში, ჩვენ დავრჩით ფულის გარეშე და ქვეყანაც აწარმოებდა ორ ომს. საქართველო ყოფილი საბჭოეთიდან ყველაზე მეტად დაზარალებული აღმოჩნდა, ომის თვალსაზრისითაც, ტერიტორიების დაკარგვითაც და ეკონომიკური შედეგებითაც. შესაბამისად, სადღეისოდ, საინტერესოა საზოგადოებამ იცოდეს ხელისუფლების პოზიცია, თუ რა ფორმით შეძლებს სახელმწიფო ანაბრების, როგორც შიდა ვალის გასტუმრებას. საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ჯერ კიდევ ბევრი კითხვა არსებობს საკითხის მოუგვარებლობაზე. ამასთან, მნიშვნელოვანია, ამ თემას ჩამოვაცილოთ პოლიტიკური ნაწილი. თუ ეს გახდა პოლიტიკური თემა, ვერასდროს ვერ დავიბრუნებთ ანაბრებს და ვერც დაიწყება ჯანსაღი პროცესი. იმასაც არავინ უნდა ელოდეს, რომ პრობლემის გადაჭრა მოხდება უსწრაფესად. პროცესი გრძელვადიანია და შესაძლებელია 10 წლის განმავლობაში გაგრძელდეს. უნდა შემუშავდეს ახალი მეთოდოლოგია, დაანგარიშება, მაგრამ ისტორიულ სიღრმეებში წასვლა არ იქნება მომგებიანი. შესამუშავებელია მოდელი და ოპტიმალური პოზიციის დაჭერა.

**ლია მუხაშავრია:** ანაბრების დაბრუნების შესახებ საქართველოშიც და ევროსასამართლოშიც შეტანილ იყო სარჩელები, მაგრამ წარუმატებლად, თუმცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ ეთხოვოს პარლამენტს მთავრობასთან ერთად, გონივრულ ვადაში შეიმუშაოს ან მიიღოს სათანადო საკანონმდებლო აქტები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობისათვის ყოფილ სახელმწიფო კომერციულ ბანკებში ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების სამართლიანად დაბრუნებაო. ეს გადაწყვეტილება ძალაშია, არავის გაუუქმებია, გადაწყვეტილება საბოლოოა და გადასინჯვას ან გასაჩივრებას არ ექვემდებარება. ამიტომ ვფიქრობ, რომ ძალიან მნიშვნელივანია მოვიფიქროთ, რა შეიძლება იყოს გადაწყვეტის გზა. ეს არ არის წმინდა სამართლებრივი საკითხი, მაგრამ სამართლებრივი საკითხები შეიძლება გახდეს სერიოზული პოლიტიკური საკითხი, თუკი საზოგადოებას ექნება დაკვეთა და პოლიტიკოსებს ექნებათ კონკრეტული დღის წესრიგი, რომელზეც მათ პასუხი უნდა გასცენ. ქვეყანაში, რომ დაგროვდა უსამართლობა და სამართლიანობის აღდგენას კი დაგვპირდნენ, ამაზე საზოგადოებას ექნება რეაქცია და ანაბრების თემა ძალიან ბევრს აწუხებს. თუკი ბუნებაში ატომი და მოლეკულა არ იკარგება, ამდენი უბედურება, ეს ამდენი ფინანსური რესურსი და ეს ამდენი ტრაგედია, ცხადია, ასე არ ჩაივლის. მართალია, დრო გავიდა, მაგრამ ჯერჯერობით, ახალი პოლიტიკური ხელისუფლება ამაზე დუმს. სწორედ ახლა გაჩნდა ქვეყანაში ის განცდა, რომ ეს ჩვენი სახელმწიფოა, ჩვენი ბიუჯეტია, ჩემი ხაზინაა. ამიტომაც ანაბრების საკითხი უცილობლად საჭიროებს დარეგულირებას და ვფიქრობ, რომ ჩვენი შემდგომი საუბარი იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ მოვიფიქროთ გამოსავალი ისე, რომ ჩვენი ბიუჯეტი არ დავანგრიოთ. არსებობს მოსაზრება, რომ ბოლო ხუთი წლის მანძილზე საპროცესო შეთანხმებებით ბიუჯეტში შეტანილი 140 მილიონ ლარზე მეტი უნდა დაბრუნდეს, ჯერ კიდევ არის დარჩენილი ე.წ. სახელმწიფო ქონება, რომლის პრივატიზაციაც არ მომხდარა, სახელმწიფოს არ მოუხდენია ამ ქონების აქციებად გამოცემა. შესაძლებელია, მთავრობამ ანაბრების კონპენსირების ნაწილში, ამ შესაძლებლობების გამოყენებაზეც იფიქროს. იქნებ აქციების სახით აუნაზღაუროს მეანაბრებს მიყენებული ზიანი, ხოლო თუ ეს არ იქნება საკმარისი და ალბათ არ იქნება, მაშინ სახელმწიფომ, შესაძლებელია იფიქროს წიაღისეულის და ბუნებრივი სიმდიდრის ბრუნვაში გაშვებაზეც ანუ მისი ყიდვა-გაყიდვა, ვიცით, არ შეილება, სახელმწიფოს მისი მხოლოდ სარგებლობის უფლების გაცემის უფლება გააჩნია, ლიცენზიებს გასცემს სარგებლობაში. ამიტომაც, თუკი წიაღისეული და ბუნებრივი სიმდიდრე აქციების სახით გამოვა, გავა ბრუნვაში და დაურიგდება ყოფილ მეანაბრეებს, მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება, თუმცა ყველაფერი მოსაფიქრებელია, ყველა აზრს და ხედვას უნდა მივცეთ არსებობის უფლება. საკითხი უნდა შეისწავლონ ეკონომისტებმა და იურისტებმა. ჩვენ უნდა დავარწმუნოთ სასამართლოებიც, რომ შეცვალონ ანაბრების კონპენსაციის საკითხისადმი მიდგომა და პრაქტიკა.

# სასამართლომ ეროვნული ბანკის წინააღმდეგ სასამართლო პროცესი დანიშნა



„ახალგაზრდა ადვოკატების“ სარჩელზე საქართველოს ეროვნული ბანკის წინააღმდეგ, თბილისის საქალაქო სასამართლომ პროცესის გამართვის თარიღი გამოაცხადა. სხდომა 2013 წლის 24 აპრილს, 11:30 საათზე გაიმართება. სასამართლო დღემდე გაურკვეველი მიზეზით პროცესის გამართვის კონკრეტულ თარიღს არ ასახელებდა. სასამართლოს, სარჩელის შეტანიდან 40 დღე დასჭირდა, რათა სასამართლო პროცესის თარიღი გამოეცხადებინა. სხდომის დროულად ჩატარებას ორგანიზაციის მიერ დაწყებული საბჭოური ანაბრის კვლევის შედეგებისთვის მნიშვნელობა გააჩნია. „ახალგაზრდა ადვოკატები“ გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ სასამართლო სხდომის გამოუცხადებლობა მიზანმიმართული მოქმედება იყო. ორგანიზაცია ეროვნული ბანკის წინააღმდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოში „ახალგაზრდა ფინასისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის — აფბას“ ინტერესებს წარმოადგენს. სასამართლო დავა ეროვნული ბანკის მხრიდან გასაიდუმლოებულ ინფორმაციას შეეხება, რომელიც ორგანიზაციების შეფასებით, საჯარო ინფორმაციაა და საჯარო უწყებას მისი ორგანიზაციისთვის მიწოდება დადგენილი 10 კალენდარული დღის მანძილზე უნდა უზრუნველეყო. საქმე ეხება „ახალგაზრდა ფინანსისტების“ 2013 წლის 4 თებერვლის მიმართვას ეროვნული ბანკის პრეზიდენტ გიორგი ქადაგიძის სახელზე, რათა საჯარო დაწესებულებას გაეცა ინფორმაცია 1992—93 წლებში ეროვნული ბანკის მიერ 500—ზე მეტ ორგანიზაციაზე, ჯამში 854 მილიარდი მანეთის და კუპონის გაცემა რომელ ორგანიზაციებზე მოხდა, ამასთან, რა მოცულობის თანხები იქნა გაცემული აღნიშნულ ორგანიზაციებზე სესხად და ვინ იყვნენ მაშინდელი ორგანიზაციის მეპატრონეები. მოთხოვნას ბანკმა უარით უპასუხა და მიუთითა, რომ „ცნობები იურიდიული და ფიზიკური პირების ანგარიშების ან/და ოპერაციების შესახებ შეიძლება გაიცეს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.“

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შეფასებით, საქართველოს ეროვნული ბანკის უარი საჯარო ინფორმაციის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა, რადგანაც საჯარო უწყებიდან მოთხოვნილ ინფორმაციას „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ კანონის თანახმად, ასეთი გრიფირება არ ადევს. „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ განმარტეს, რომ ეროვნული ბანკიდან მოთხოვნილი ინფორმაცია არც კომერციული საიდუმლოების მატარებელია, რადგანაც მისი გამჟღავნება ვერავითარ ზიანს მიაყენებს პირთა კონკურენტუნარიანობას, რადგანაც ორგანიზაციები, რომლებზედაც ეროვნულმა ბანკმა 90—იან წლებში სესხი გასცა, დღეს არ საქმიანობენ. ამასთან, არც ერთი დოკუმენტით არ დასტურდება „ახალგაზრდა ფინანსისტების“ მხრიდან მოთხოვნილი ინფორმაციის კონფიდენციალობის ფაქტი. საქმეს მოსამართლე ნათია ბუსკაძე განიხილავს.

# მიმართვა 14 ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს და უზენაესი სასამართლოს





„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ ყოფილი საბჭოთა კავშირის მოკავშირე 14 რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს და უზენაესი სასამართლოს ხელმძღვანელებს სამართლებრივი დახმარების შესახებ მიმართეს. ორგანიზაციის მიზანს წარმოადგენს ინფორმაცია, კერძოდ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, დამოუკიდებელმა სახელმწიფოებმა აღიარეს თუ არა ქვეყნის მოქალაქეთა კუთვნილი საბჭოური ანაბრები საშინაო ვალად და რა ფორმით გადაიჭრა აღნიშნულ ქვეყანაში საბჭოთა ანაბრების გაცემის საკითხი. ამასთან, ორგანიზაცია მიმართავს ქვეყნების უზნესაეს სასამართლოებს და მოითხოვს საბჭოთა ანაბრების კონპენსაციის საქმეებთან დაკავშირებით სტატისტიკას, ასევე სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილების თუ დაუკმაყოფილებლობის დროს, სასამართლოები რა სამართლებრივ აქტების დასაბუთებას დაეყრდნო.

ორგანიზაცია კვლევის მიმდინარეობის მანძილზე მნიშვნელობას ანიჭებს საკითხის ირგვლივ საჯარო ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობას. ამ კუთხით, არაერთი წერილი მომზადდა: საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა შტოს და უწყების მიმართ და საბჭოთა ანაბრების საკითხთან კავშირში მყოფი საზოგადოებრივი და ექსპერტული ჯგუფების მიმართ. „ახალგაზრდა ადვოკატები“ საბჭოური ანაბრის მდგომარეობას საქართველოს მაგალითზეც სწავლობს. ორგანიზაციამ საკითხთან მიმართებით, უკვე მიმართა სხვასდასხვა სამთავრობო უწყებას, სასამართლოებს და საკანონმდებლო ორგანოს. არსებული მონაცემით, საზოგადოება მნიშვნელოვან მასალას გაეცნობა, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებდიან, ასევე საქართველოს სხვადასხვა უწყებებიდან.

# ახალი პოლიტიკური სამიზნე — ირაკლი ღარიბაშვილი

ბოლო პერიოდში ხელისუფლების გადაბარების მეტნაკლებად მშვიდი პროცესის შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, ყოფილი ხელისუფლების წერტილოვანი დარტყმების სამიზნეები ის პოლიტიკური მოღვაწეები გახდნენ, რომლებიც ახალი ხელისუფლების ბირთვად და ახალი ხელისუფალის ყველაზე საიმედო დასაყრდენად მოიაზრებიან.



დარტყმის სამიზნე, როგორც ასევე მოსალოდნელი იყო, ქვეყნის სქოლიოზ შეყრილი ხერხემლის, თანამდებობრივი მემკვიდრე ირაკლი ღარიბაშვილი აღმოჩნდა, ვინაიდან სწორედ ეს პიროვნება მოიაზრება პრემიერ-მინისტრის ერთ-ერთ უერთგულეს კადრად, რომლის ერთგულებაც ბიძინა ივანიშვილმა არა მხოლოდ მშვიდობიანობის პერიოდში, არამედ იმ დროსაც ბოლომდე გამოსცადა, როცა მას პოლიტიკურად ყველაზე მეტად უჭირდა.

იერიში ირაკლი ღარიბაშვილის მიმართ სავარაუდოდ კიდევ უფრო გაძლიერდება, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ეს ყველაფერი წინასწარ განწირულია, ვინაიდან როგორც ქვეყნის მდგომარეობის ანალიზიდან, ასევე მისი წინამორბედების მოქმედებებიდან გამომდინარე, საზოგადოებას ღარიბაშვილთან პრეტენზია ჯერჯერობით ნაკლებად აქვს და სავარაუდოდ ეს განწყობა კარგა ხანს არ შეიცვლება, რადგან მისი მინისტრობის პერიოდში, მედიაც და საზოგადოებაც ელირსა იმას, რის შესახებაც თუნდაც ერთი წლის წინ ვერც კი იოცნებებდა. ეს არის გამჭვირვალობა და საჯაროობა იმ სრუქტურისა, რომელიც წლების განმავლობაში სრულიად საქართველოს აულებელ ციტადელად მიაჩნდა და საიდანაც ინფორმაციის გამოტანა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამით ხელისუფლების ფავორიტი მედიასაშუალებები იყვნენ დაინტერესებულნი, - ფაქტიურად შეუძლებელი იყო, ხოლო იმ ფაქტორების ჩამონათვალი, რის გამოც ირაკლი ღარიბაშვილისა და ვანო მერაბიშვილის პოლიციის შედარება არც კი შეიძლება, უსასრულობამდე შეიძლება გაგრძელდეს.

პირველი, რაც ახალმა მინისტრმა თანამდებობის დაკავებისთანავე გააკეთა, ეს შინაგან საქმეთა ორგანოების პოლიტიკური წნეხისგან გათავისუფლებისკენ გადადგმული ნაბიჯები იყო.

საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთ უშავეს ლაქად დარჩება 2009 წლის 6 მაისი, როცა შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის სამმართველოს ეზოდან „მიშა“- „მიშას“ სკანდირებით, ნიღბოსანმა სპეცრაზმელებმა საპროტესტოდ შეკრებილ ქართველ ხალხს ფეთქებადი ტყვიებით ცეცხლი გაუხსნეს და ათობით ადამიანი დაასახიჩრეს, მათგან ორმა კი თვალის ჩინი დაკარგა.

საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთ უშავეს ლაქად დარჩება აგრეთვე 2007 წლის 7 ნოემბერი, როცა მხოლოდ ერთი ადამიანის ახირების გამო, დაშლის პირას მყოფი საპროტესტო აქცია უსასტიკესად დაარბიეს.

აღარაფერს ვამბობ 2011 წლის 26 მაისზე, რომელიც საკუთარ ხალხზე შურისძიების კლასიკურ მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ და რომელზეც, საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში მთელი მსოფლიოს მასშტაბით, როგორც იურიდიულ მეცნიერებაში, ასევე პოლიტოლოგიაში, - დისერტაციებს დაიცავენ.

ვანო მერაბიშვილის დროს, პოლიცია იყო სტრუქტურა, რომელიც პოლიტიკური რეპრესიების შემოქმედ ძალად ჩამოყალიბდა, ხოლო ირაკლი ღარიბაშვილის დროს პოლიცია რეალურ სამართალდაცვით უწყებად ჩამოყალიბების გზაზე დგას.

შინაგან საქმეთა დღევანდელმა მინისტრმა, დღიდან თანამდებობის დაკავებისა, განაცხადა, რომ მის ხელში პოლიცია პოლიტიკური ჟანდარმერიის ფუნქციას დათმობდა და რეალური სამართალდამცველის ფუნქციას შეიძენდა. ეს პროცესი დღეს რეალურად მიმდინარეობს, რაც გახდა იმის საფუძველი, რომ სწორედ ღარიბაშვილი აღმოჩნდა ყოფილი ხელისუფლების და მის მიერ მართული ძალების სამიზნე.

კიდევ ერთი ფაქტორი, რის გამოც ღარიბაშვილი და მისი უწყება ყოფილი ხელისუფლების სამიზნე გახდა, ეს მისი პრინციპულობა და ამავე დროს ცივ გონზე მიღებული გადაწყვეტილებებია. მინისტრობის არცთუ ხანგრძლივი კარიერის ანალიზიდან გამომდინარე, უკვე აშკარად ჩანს, რომ ღარიბაშვილი მოვლენებს ყოველთვის გარე თვალის პოზიციიდან აკვირდება, გადაწყვეტილებებს კი ამის შემდეგ იღებს.

და ყველაზე მთავარი: ამ პიროვნებამ შეძლო და რამდენიმე ათეულ ათასიანი კოლექტივის კეთილგანწყობა უმცირეს ვადებში შემოაბრუნა, ვინაიდან პოლიციის სწორედ იმ თანამშრომლებს, რომლებიც თავად იყვნენ შეწუხებულნი წინა რეჟიმის ზეწოლით, მან თავისუფლად მოქმედების და კანონის დაცვის ფუნქცია დაუბრუნა, იმ თანამშრომელთა უმრავლესობა კი, ვინც ავტორიტარულ რეჟიმს დღემდე მისტირიან, სამინისტროში აღარ არიან.

სიტყვამ მოიტანა და ორი სიტყვა იმ საკადრო ცვლილებებზეც უნდა ითქვას, რას შინაგან საქმეთა სამინისტროში განხორციელდა.

პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ ეს ცვლილებები, სააკაშვილის ხელისუფლების მიერ დანერგილი ფორმულით - „ძველი ხელისუფლების დროინდელი თანამშრომელი ჩვენი მტერია,“ არ განხორციელებულა და არც სპონტანურად, მასიურად შედგენილი სიებით გაუშვიათ თანამშრომლები. გარე თვალისთვისაც კარგად ჩანს, რომ საკადრო ცვლილებებს სამინისტროში, წინ საკმაოდ ხანგრძლივი სადამკვირვებლო პერიოდი უძღვის.

ამასთან, ირაკლი ღარიბაშვილი ნამდვილად ვერ დაეყრდნობა და არც უნდა დაეყრდნოს იმ კადრებს, უფრო მეტიც მათგან სრულად უნდა გაასუფთავოს სამინისტრო, რომლებიც თავიანთ სამსახურსა და მოვალეობებს, მიშას ერთგულებაში ურევდნენ და ამ „ერთგულების“ სანაცვლოდ, ხშირად კანონდარღვევაზე თავადვე მიდიოდნენ.

ირაკლი ღარიბაშვილმა აუცილებლად უნდა გაწმინდოს სამინისტრო იმ კადრებისგან, ვინც 2011 წლის 26 მაისის სისხლიან სპეცოპერაციაში იღებდა მონაწილეობას, ვინაიდან პოლიციელები, რომლებსაც შეუძლიათ საკუთარი ხალხი უმიზეზოდ დახოცოს და დახოცილთა გვამები მაღაზიის სახურავებზე შემოაწყოს, - არც ირაკლი ღარიბაშვილს, არც შინაგან საქმეთა სამინისტროს და არც საქართველოს, არაფერში არ სჭირდება.

უფრო მეტიც, არავისთვის არაა საიდუმლო, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობდნენ კადრები, რომლებიც პარტიული ბრძანების საფუძველზე თავად არღვევდნენ კანონს და დაუსჯელობის სინდრომჩამოყალიბებულები ყველაფრისთვის მზად იყვნენ.

ასეთი ადამიანებისგან სწორედაც რომ უნდა გათავისუფლდეს შინაგან საქმეთა სამინისტრო და ამ ქმედებებში ირაკლი ღარიბაშვილს, გვერდით სრულიად საქართველო უდგას. ასე რომ, ზოგიერთების საგანგაშო წიოკი, რომ პოლიციაში უკანონო დათხოვნები მიმდინარეობს და პოლიცია ადამიანის უფლებებს უხეშად არღვევს, ნამდვილად უშედეგოა.

რაც შეხება ადამიანის უფლებათა დარღვევას, სასაცილოა, რომ ამაზე ლაპარაკობენ ის ადამიანები ან მოპოლიტიკანო ელემენტები, რომლებიც ვანო მერაბიშვილს გუნდრუკს უკმევდნენ, ხოლო მერაბიშვილის სისხლისმსმელების მიერ ადამიანების ქუჩაში დახოცვას, ლამის „დემოკრატიული დახოცვის“ კლასიკურ მაგალითად ნათლავდნენ.

გარდა იმისა, რომ ასეთ ადამიანთა ფაფხური მეტისმეტად სასაცილოა, შეურაცხმყოფელიც არის, ვინაიდან საზოგადოებას მასიური სკლეროზი არ დაწყებია და მას ძალიან კარგად ახსოვს ვანო მერაბიშვილის დროინდელი პოლიცია.

რაც შეეხება ბრძოლას ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ის კიდევ უფრო გაძლიერდება და გამორიცხული არ არის ბრძოლის მეთოდებიც დაიხვეწოს, რადგან იაფფასიანი, ნაცადი ტრიუკებით, ყოფილმა ხელისუფლებამ და მისმა გულშემატკივრებმა, ღარიბაშვილს და მისი უწყების ავტორიტეტს ჯერჯერობით ვერაფერი ვერ დააკლეს.

**ალეკო ჩუბინიძე**
**საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“**

# წლევანდელი 9 აპრილი წინა წლებისგან განსხვავებულია

**ნათია ხურცილავა**

პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ 9 აპრილის მემორიალთან 9 აპრილისა და 26 მაისის მოვლენებზე ისაუბრა.

„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის განცხადებით, 26 მაისი, ისევე, როგორც 9 აპრილი, იყო ნიმუში იმისა, რომ ადამიანების მცირე ჯგუფს შეუძლია ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის იბრძოლოს.

— 24 წელი კი არა, რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, 9 აპრილის შეფასება უცვლელი იქნება. ეს არის დღე, როდესაც ქართველმა ხალხმა კიდევ ერთხელ დაანახა მსოფლიოს, რომ შეუძლია იბრძოლოს აღმატებულ ძალასთან და არ ეშინია. დაანახა ის, რომ მზად არიან საკუთარი სამშობლოსთვის თავიც გაწირონ. მეამაყება, რომ დღეს აქ ვარ. ნამდვილად წლევანდელი 9 აპრილი განსხვავებულია წინა წლებისგან. შარშან ელიზბარ ჯაველიძეს, ირაკლი ბათიაშვილს, გია ბურჯანაძეს, ნონა გაფრინდაშვილს, ჩვენ, „დემოკრატიული მოძრაობის“ ხალხს, პრაქტიკულად არ მოგვცეს საშუალება, არ მიგვიშვეს 9 აპრილის მემორიალთან. ამ ძალადობის განმახორციელებელი იყო „მასტერა“, შემოქმედი კი წინა ხელისუფლება. დღეს ამ მიმართულებით თავისუფლებაა. ასე რომ, 26 მაისი, ისევე, როგორც 9 აპრილი, არის ნიმუში იმისა, რომ ადამიანების მცირე ჯგუფს შეუძლია ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის, დემოკრატიისთვის და ღირსეული ცხოვრებისთვის იბრძოლოს, — განაცხადა ბურჯანაძემ.

ბურჯანაძემ ასევე იმედი გამოთქვა, რომ ჩვენი ქვეყანა მალე ისეთი გახდება, როგორიც 1989 წლის 9 აპრილის მონაწილეებს სურდათ.

პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ასევე გამოეხმაურა იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის განცხადებას, რომელიც მან აგვისტოს ომის გამოძიებასა და პრეზიდენტ სააკაშვილის შესაძლო დაკითხვაზე გააკეთა.



„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, აგვისტოს ომის გამოძიება აუცილებელია, რადგან ყველა შეცდომა უნდა გამოაშკარავდეს.

— აგვისტოს ომი აუცილებლად უნდა იქნეს გამოძიებული, ისევე, როგორც 26 მაისი და სხვა რეზონანსული საქმეები. 9 აპრილი გამოძიებული იქნა საბჭოთა კავშირის დროს, მაშინ, როცა წარმოუდგენელი იყო იმის გაფიქრებაც კი, რომ შესაძლებელი გახდებოდა დამოუკიდებელი და ობიექტური გამოძიების ჩატარება. ქვეყნისთვის ყოველთვის კარგია, როდესაც სიმართლეს ფარდა აეხდება. აუცილებელია ვისაუბროთ იმ შეცდომებზე, რომელიც ხელისუფლებამ და, შესაძლოა, ყველა ჩვენგანმა დაუშვა. ამ შეცდომებზე უნდა ვისწავლოთ, რომ მერე იგივე არ გავიმეოროთ, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

## ვახტანგ ყოლბაია: „აფხაზეთის მთავრობის სტრუქტურები ხალხს უფრო მეტად უნდა დაუახლოვდნენ“

აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ვახტანგ ყოლბაიას განცხადებით, აფხაზეთის მთავრობის სტრუქტურები ხალხს უფრო მეტად უნდა დაუახლოვდნენ.

როგორც გუშინ გაზეთ პრაიმ-ტაიმში გამართულ პრესკონფერენციაზე ვახტანგ ყოლბაიამ განაცხადა, ,ბევრს მიაჩნია, რომ აფხაზეთის მთავრობის შიდა სტრუქტურები განზე დარჩნენ იმ პრობლემებისგან, რაც საზოგადოებას, კერძოდ აფხაზეთიდან დევნილებს აწუხებთ. მაგალითად, დევნილთა გამოსახლებების დროს აფხაზეთის მთავრობა გულხელდაკრეფილი იჯდა. „აფხაზეთის მთავრობის სტრუქტურებს არ აქვთ დიდი ბერკეტი, არც პოლიტიკური და არც ფინანსური. ამის მიუხედავად, ისინი ხალხს უფრო მეტად უნდა დაუახლოვდნენ, რათა ხალხმა მათი განწყობა და შრომა იგრძნოს. ამისათვის დახვეწილი მენეჯმენტი და გადაწყვეტილებების მობილიზაციაა საჭირო. რაც იყო, ეს წესიერად არ მუშაობს და სწორედ ამიტომაა ჩვენი სტრუქტურების მიმართ უნდობლობა“, — -აცხადებს ყოლბაია.

მისი თქმით, აფხაზეთის მთავრობაში რეორგანიზაცია საჭიროა და ეს განხორციელდება, თუმცა რაიმე დიდ ცვლილებეას არ გეგმავს.

ყოლბაიას განცხადებით, ის ფაქტი, რომ პარალელურად ,,დემოკრატიული მოძრაობის“ წევრია რაიმე დაბრკოლებას არ ქმნის და ამის გამო, მას არც არანაირი დისკონფორტი არ უგრძვნია.

**მედიანიუსი**

## დაზარალებული მენაშენეები დღეს მთავარ პროკურატურასთან კარვების გაშლას აპირებენ

სამშენებლო კომპანია ,,ცენტრ პოინტთან“ დაპირისპირებული მენაშენეები საპროტესტო აქციას დღეს, 13:00 საათზე მთავარ პროკურატურასთან გამართავენ.

აქციის მონაწილეები მთავარი პროკურორის, არჩილ კბილაშვილის გადადგომის მოთხოვნით უვადო შიმშილობასა და კარვების გაშლას გეგმავენ. აქციის მონაწილეები მთავარ პროკურორს საქმის გამოძიებაში ხელის არ შეწყობაში ადანაშაულებენ.

შეგახსენებთ, რომ დაზარალებულ მენაშენეებმა საპროტესტო აქცია 2 აპრილს, ცენტრ პოინტის ცენტრალურ ოფისთან გამართეს. აქციაზე ისინი კომპანიის ერთ-ერთი დამფუძნებლის მაია რჩეულიშვილთან შეხვედრას ითხოვდნენ. მოგვიანებით მათ კომპანიის წარმოამდგენელი შეხვდა და საცხოვრებელი ფართების დაკანონებას დაპირდა.

**მედიანიუსი**

# „ჩვენი მწერლობის“ დარბაზში ლია კუხიანიძის წიგნის განხილვა გაიმართა

„ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ დარბაზში ლია კუხიანიძის ლიტერატურული წერილების, ესეების, ნარკვევებისა და პორტრეტების კრებულის — „ძახილი ნისლში“ — განხილვა გაიმართა. წიგნის ავტორი შეხვედრაზე დასაწრებად ქუთაისიდან საგანგებოდ ჩამოვიდა.

„როგორც „ჩვენი მწერლობის“ მთავარმა რედაქტორმა როსტომ ჩხეიძემ განაცხადა, წიგნში წლების განმავლობაში დაბეჭდილი წერილები არის გაერთიანებული.

„არ დარჩენილა ბოლო წლების არცერთი მტკივნეული მოვლენა, რომელსაც ლია კუხიანიძე არ გამოხმაურებოდეს. ყველა წერილსა და ნარკვევს ეროვნული სულისკვეთება და ავტორის დაუცხრომლობა და უკომპრომისობა აერთიანებს. ლია კუხიანიძე ხელოვნურად არცერთ ციტატას არ მოიხმობს. ყველაფერი ძალდაუტანებლად არის დამოწმებული და ავტორის დიდი ერუდიცია თავისთავად ჩანს. მისთვის მთავარია არამარტო ის, თუ რას ამბობს, არამედ ისიც, თუ როგორ ამბობს. ლია კუხიანიძის წერილებსაც ისეთივე ანალიზი სჭირდება, როგორც ლიტერატურულ თუ საზოგადოებრივ მოვლენებს თვითონვე აანალიზებს“, - — აღნიშნა როსტომ ჩხეიძემ და დასძინა, რომ ლია კუხიანიძის წიგნი ბევრი მსჯელობის საშუალებას იძლევა.

როგორც მომხსენებელმა ელგუჯა თავბერიძემ განაცხადა, წიგნში 20-25 წლის წინათ გამოქვეყნებული წერილებია შესული, რომელთაც აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავთ და მათი ხელახლა წაკითხვის სურვილი არასდროს გტოვებს.

ელგუჯა თავბერიძემ ლია კუხიანიძის რეპორტაჟები, თანამედროვე ლიტერატურული პროცესებისა და ქართული ლიტერატურის კლასიკოსის ოთარ ჩხეიძისადმი მიძღვნილი წერილები გამოჰყო და აღნიშნა, რომ მას სქემატურად წერა არ შეუძლია. მომხსენებელმა აღნიშნა ისიც, რომ ლია კუხიანიძე მოწოდებით პედაგოგია.

როგორც სალომე კაპანაძემ განაცხადა, ლია კუხიანიძის შემოქმედებისათვის ეროვნული იდენტობისა და ზნეობრივ ღირებულებათა სადარაჯოზე დგომა არის დამახასიათებელი და ქვეყნის ფეხზე წამოდგომის სურვილი გასდევს. ეს კი მეტად მნიშვნელოვანია სიცრუით აბრჭყვიალებულ გარემოში, რომელშიც ვცხოვრობთ.

სიცოცხლე იმიტომ უნდა გიხაროდეს, რომ გაზაფხული მოდის და სამშობლოს სულში დამტევი ადამიანები არ გვტოვებენ“, -— დასძინა სალომე კაპანაძემ.

იოსებ ჭუმბურიძემ კი დამსწრეებს წაუკითხა ამონარიდი ოთარ ჩხეიძის ჩანაწერიდან, რომელიც სწორედ ლია კუხიანიძეს ეხება.

„ამ ჩანაწერიდან ორი რამ მეხარბება: როცა ოთარ ჩხეიძე ლია კუხიანიძეზე წერს, ,,კეთილსინდისიერია და კარგადა წერსო“, -— აღნიშნა იოსებ ჭუმბურიძემ და დასძინა, რომ ლია კუხიანიძემ თავისი საქმიანობით გასალღვიძებელი უნდა გაალღვიძოს და გაღვიძებული ბრძოლის ჟინით აღავსოს.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ: გიორგი გოგოლაშვილი, ნინო ვახანია, მაკა ჯოხაძე, ლალი მიქაძე (ქუთაისიდან), ლალი მიქაძე (თბილისიდან), ნანა კუცია, დარინა ყურუა, ივლიანე ნაჭყებია, შოთა ბოსტანაშვილი, ვახტანგ ბახტაძე.

**მედიანიუსი**

# ნაციონალებმა რეგიონებში ხალხის მობილიზება დაიწყეს

თამარ ნინიძე

ნაცმოძრაობის მიერ დაანონსებული აქცია 19 აპრილს ტესტია როგორც მისთვის, ისე მოქმედი ხელისუფლებისთვის. 19 აპრილი უბრალოდ იმის დაფიქსირება არ არის, რომ ნაციონალები დასავლურ კურსს და დემოკრატიას უჭერენ მხარს, ეს არის მათთვის ბოლო შანსი, საზოგადოებას გააგებინონ, რომ პოლიტიკური გვამები კი არ არიან, არამედ ოპოზიციონერები, რომლებიც ნებისმიერ შესაფერის დროს ეცდებიან, კვლავ დაიბრუნონ ძალაუფლება.

რა იყო ვანო მერაბიშვილის ჩანაფიქრი? პოლიტიკოსების და ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ ყველაზე დიდი პროვოკატორი ნაცმოძრაობაში ვანოა. 8 თებერვალს ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ყოფილ პოლიტპატიმრებსა და ნაცმოძრაობის წევრ-მხარდამჭერთა შორის მომხდარი მუშტი-კრივის დროს პროვოკატორობა გიგი უგულავას დაბრალდა. მერაბიშვილმა 19 აპრილი საყოველთაო ნაცმობილიზაციად გამოაცხადა.

ზუსტად ათი დღის შემდეგ ნაცმოძრაობა და საზოგადოების დანარჩენი ნაწილი ჩააბარებს ან არ ჩააბარებს გამოცდას, ძალადობის შემთხვევაში გაირკვევა, რომ კოჰაბიტაცია არ არსებობს, ხოლო თუ აქცია მშვიდობიანად დასრულდება, ეს ქულებს ჩაუწერს მოქმედ ხელისუფლებას.

ნაციონალების მიმართ ყველაზე შეურიგებელი და რადიკალურად განწყობილი სახალხო კრების წევრი ირაკლი ბათიაშვილი და „პატრიოტთა ალიანსის" ლიდერი სოსო მანჯავიძე ერთ პოზიციაზე არიან – 19 აპრილს ნაციონალების მიმართ ძალადობა რომ განხორციელდეს, ისინი მთელი მსოფლიოს წინაშე იტყვიან, რომ ახალი ხელისუფლება მათი სახით პოლიტიკურ ოპონენტებს დევნის და სასტიკად უსწორდება.

არსებობს ორი თარიღი – 14 და 18 აპრილი, 14 აპრილს პოლიტპატიმრები მასშტაბურ შეკრებას გეგმავენ, 18 აპრილს კი პოლიტიკოსები, კერძოდ, კახა კუკავას პარტია. ორივე აქცია ერთ მიზანს ემსახურება, ახალი ხელისუფლებისგან მოითხოვენ სააკაშვილის რეჟიმის ოფიციალურ გასამართლებას, პოლიტიკური, იურიდიული და მორალური შეფასება სწორედ საპარლამენტო უმრავლესობამ უნდა მისცეს სააკაშვილის რეჟიმს. ეს იქნება ნაციონალების ხელისუფლების გასამართლებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი. ამას საზოგადოება ელოდება. ამით კოჰაბიტაცია ჩაიშლება, საზოგადოებაში არსებობს აზრი, რომ კოჰაბიტაციას რაკი დასავლეთი ითხოვს, ქართული ოცნება მის სურვილს მიჰყვება, ხოლო ვისაც სააკაშვილის გასამართლება უნდა, ისინი უფრო რუსეთის ინტერესებს იცავენ.

კოალიცია ქართული ოცნების წევრები ჩვენთან პირად საუბარში ამბობენ, რომ კუკავას პარტია კრემლის ინტერესების დასაცავად 18 აპრილს დაწყებულ აქციას მეორე დღესაც გააგრძელებს და არ არის გამორიცხული, მოხდეს რვა თებერვლის მსგავსი ინციდენტი, ან კიდევ უფრო მასშტაბური ფიზიკური დაპირისპირება. სამოქალაქო ომის პროვოცირება ვერ მოხდება იმიტომ, რომ ნაციონალებს ამის რესურსი არ გააჩნიათ, მაგრამ მცირე შეტაკებაც კი საკმარისია იმისათვის, რომ ნაციონალების რეაბილიტაციისკენ კიდევ გადაიდგას ნაბიჯი. პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილებებით ეს უკვე დავინახეთ, ახლა კი რიგი იმ არასაპარლამენტო ოპოზიციაზეა, რომელიც ნაციონალების საჯაროდ გაწკეპვლაზე არ იტყვის უარს.

ფაქტია, რომ ოპოზიციას უფლება აქვს გამოხატოს თავისი აზრი, გამართოს მიტინგი, აქცია და დემონსტრაცია, სხვათა შორის, რესპუბლიკელების ინიციატივით პარლამენტში მალე განიხილება ცვლილება კანონში მოქალაქეთა შეკრების შესახებ. ვარაუდობენ, რომ აქციის გამართვის შესაძლებლობა გამარტივდება. ესეც ნაცმოძრაობის ინტერესებში შედის. დღეს ის ხომ უკვე აღარ არის ხელისუფლებაში.




პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში დავით დარჩიაშვილი აცხადებს, რომ პოლიციელის მიერ ძალის გადამეტება კი არ არის ქვეყნის პრობლემა, არამედ პოლიციელის უმოქმედობა და პასიური მეთვალყურის როლში ყოფნა, არადა 2009 წლის აპრილში, გაერთიანებული ოპოზიციის აქციების დროს, პოლიციელები სწორედ უმოქმედოდ იყვნენ, უფრო ზუსტად, ნაციონალების ლიდერებს გავახსენებთ, რომ პარლამენტის წინ არც ერთი პოლიციელი არ იდგა. წესრიგის უზრუნველყოფა და საკუთარი თუნდაც ოპოზიციური მოსახლეობის დაცვის ნაცვლად, პოლიციელები იქაურობას გაარიდეს და გადამალეს. ქართული ოცნება რომ განსხვავდება ნაცმოძრაობისგან, მას ამის მტკიცება 1 ოქტომბრის შემდეგ მუდმივად მოუწევს. რეალობა ასეთია, ნაცმოძრაობა მონსტრი იყო, კოალიცია ასეთივე მონსტრად არ უნდა ჩამოყალიბდეს.

სამართლიანობის აღდგენა ისე უნდა დაიწყოს, რომ ქუჩაში ვინმეს ხელი არ წაუცდეს ნაციონალების ლინჩის წესით გასამართლებისკენ. ირაკლი ღარიბაშვილი რვა თებერვლის შემდეგ ნაციონალებმა დაადანაშაულეს უმოქმედობაში. 19 აპრილს კი პოლიციელების უპრეცედენტო მობილიზება პარლამენტის წინ უნდა მოხდეს, ნაციონალების მიტინგმა განსაკუთრებულად უნდა ჩაიაროს, სრულ სიმშვიდეში, პოლიციელებმა კი რკალი უნდა შემოავლონ რომ მომიტინგეებს ვინმემ რაიმე არ დაუშავოს. ნაციონალებისადმი ზიზღი უკანონობასა და და ძალადობას არ ამართლებს.

ნაცმოძრაობამ, ჩვენი ინფორმაციით, რეგიონებში დაიწყო მომხრეების მობილიზება, როგორც გავიგეთ, თბილისის გარდა სხვა ქალაქებშიც უნდა ჩაატარონ მსგავსი აქციები.

# ჯუმბერ თავართქილაძე: „ბუნებაში იდეალური მთავრობა არ არსებობს"

გულიკო ბალაძე

## ინტერვიუ ხალხის პარტიის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე ჯუმბერ თავართქილაძესთან

***– ბატონო ჯუმბერ, თქვენი აზრით, როგორია საქართველოს დღევანდელი მთავრობის საკადრო პოლიტიკა?***

– ყველა პრობლემა ერთბაშად ვერ მოგვარდება. რთული გზა გავიარეთ. სააკაშვილის დიქტატორული რეჟიმის წყალობით, კიდევ უფრო დაძაბული ვითარება შეიქმნა ქვეყანაში არჩევნების შემდგომ პერიოდში. შექმნილმა ვითარებამ არაკეთილნაყოფიერი ზეგავლენა მოახდინა ქვეყნის განვითარების ყველა სფეროზე. მათ შორის, საკადრო პოლიტიკაზეც. თუმცა, დღეს ქვეყანაში ამ კუთხითაც ერთი ათად უკეთესი ვითარებაა (განსაკუთრებით ცენტრალური ხელისუფლება გვყავს მხედველობაში), ვიდრე ყოფილი ხელისუფლების მოღვაწეობის პერიოდში. რეგიონებში არის ხარვეზები, მაგრამ ეს ხარვეზები გამოსწორდება და კადრების შერჩევა-დანიშვნები სხვადასხვა თანამდებობებზე კვალიფიკაციითა და დამსახურებით მოხდება. არ უნდა იქნენ დავიწყებული ის ადამიანები, რომლებიც შეურიგებლად ებრძოდნენ სააკაშვილის სისხლიან დიქტატორულ რეჟიმს, რაც პირადად მათზე და მათ ოჯახებზე აისახა რეპრესიების სახით. მაგალითად, ხალხი, რომელიც 9 წლის განმავლობაში მდევნიდა – მთელი ოჯახი დამიპატიმრა, არაერთხელ დამაპატიმრა, ჩემს ოჯახსა და სანათესაოს წაართვა ყველაფერი მხოლოდ იმის გამო, რომ ვიყავი ოპოზიციაში, გაბედულად ვუპირისპირდებოდი სააკაშვილის დიქტატორულ რეჟიმს, დღესაც რჩება თანამდებობებზე. ორი პიროვნება დააწინაურეს კიდეც. ბეშუმში ბატონ ივანიშვილის ყოფნის დროს, არეულობის დამგეგმავებიც დააწინაურეს. თუმცა, გარდამავალი პერიოდია და საზოგადოება გარდამავალ პერიოდს გაგებით უნდა მოეკიდოს. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ხელისუფლება დიდ ძალისხმევას გამოიჩენს და ამ პრობლემას დროულად მოაგვარებს. ეს ჩვენი საზოგადოების დაკვეთაა.



***– დღევანდელ სოციალურ პოლიტიკას როგორ აფასებთ?***

– სამწუხაროდ, დღევანდელ ხელისუფლებას მემკვიდრეობით ერგო ძალიან რთული სოციალური მდგომარეობა. პრაქტიკულად ნულის ნიშნულის ქვემოთ ვართ. მიუხედავად დადებითი ტენდენციებისა, დღეს საქართველოში სოციალური მდგომარეობა მეტად მძიმეა. ხელისუფლებამ კიდევ უფრო მეტად უნდა მიხედოს სოციალურ პოლიტიკას. არსებული სოციალური პოლიტიკა ვერ პასუხობს საქართველოში არსებულ სოციალურ მდგომარეობას. სასწრაფოდ რეფორმებია საჭირო. უნდა შეიქმნას ისეთი მექანიზმი, რომელიც უფრო მეტი სიზუსტით მოახდენს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შესწავლას. აუცილებელია შეიცვალოს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის შეფასების კრიტერიუმები. ვგულისხმობ ე.წ. ქულებს. მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა არ უნდა ფასდებოდეს უძრავ-მოძრავი ქონებით, რომელიც შესაძლებელია შეძენილი ჰქონდა გარკვეული წლების წინ, პირუტყვის ყოლა – არყოლით. მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა უნდა ფასდებოდეს არსებული რეალური შემოსავლების შესაბამისად და მათთვის ხელმისაწვდომი იყოს ყველა საშუალება, რაც აუცილებელია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის. შეიძლება სახელმწიფოს არ გააჩნდეს ფულადი რესურსი, მაგრამ უნდა მოხდეს სხვადასხვა სფეროებიდან მობილიზება და სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის ფულადი დახმარება, რომელიც უნდა შეადგენდეს საარსებო მინიმუმს.

***– სამართლიანობის აღდგენის პროცესი როგორ მიდის?***

– პირადად ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია ე.წ. კოჰაბიტაციურ რეჟიმში შესვლა იმ დამნაშავე, ასე ვეტყოდი, კრიმინალურ დაჯგუფებასთან, რომელიც ჩვენს ქვეყანას ცხრა წლის განმავლობაში მართავდა მიხეილ სააკაშვილის მეთაურობით. ვერ დამისახელებთ ვერც ერთი დემოკრატიული სახელმწიფოს ხელისუფლებას, რომელიც თანამშრომლობს კრიმინალურ დაჯგუფებასთან. სამართლიანი იქნება საზოგადოების დაკვეთის შესრულება – არა კოჰაბიტაციურ რეჟიმში თანამშრომლობა, არამედ ამ რეჟიმის სამართლიანი გასამართლება. ცხრაწლიანი ბრძოლის პერიოდში ყველა ერთად ვაღიარებდით, რომ ხელისუფლებაში მოკალათებული იყვნენ სისხლისმსმელები, კაცის მკვლელები. თუ მაშინ მერაბიშვილი, სააკაშვილი, ადეიშვილი და ძმანი მათნი, ხელისუფლებაში ყოფნის დროს კრიმინალები იყვნენ, ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ რა შეიცვალა? რა, აღარ არიან მკვლელები? თუ აღარ უნდა ვთქვათ? როგორ შეიძლება მკვლელებთან კოჰაბიტაცია? ქართველი ხალხის მოთხოვნაა, კრიმინალური სისტემის და მისი შემქმნელი დაჯგუფების გასამართლება. ხალხმა ქართულ ოცნებას ხმა იმიტომ მისცა, რომ სამართლიანობის აღდგენა სურდა, რაც ჩვენი წინასაარჩევნო დაპირება იყო. ხალხის დაკვეთა უნდა შესრულდეს რაც შეიძლება სწრაფად, რომ შემდეგ თავად ხალხმა არ აიღოს ხელში სამართლიანობის აღდგენის უფლება და არ მოხდეს სამოქალაქო დაპირისპირება. შეიძლება ამ საკითხში რადიკალური ვარ, მაგრამ მე და ჩემს ოჯახს საკუთარ თავზე გვაქვს ჩემს თანამებრძოლებთან ერთად გადატანილი 7 ნოემბერი და 9 წლიანი დიქტატორული რეჟიმის უსამართლობა, რაც სუფევდა საქართველოში 2004 წლიდან 2012 წლის 1 ოქტომბრამდე, ანუ ბატონ ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამდე. ვინც დაულალავად ვებრძოდით რეჟიმს, მიუღებელია იმ რეჟიმთან კოჰაბიტაცია.

***– ახალი ხელისუფლების ჯანდაცვის პოლიტიკა თუ მოგწონთ?***

– ჩვენი ერის გადარჩენისთვის ისეთი ჯანდაცვის პროგრამები უნდა შეიქმნას, რომლებიც სრულიად უზრუნველყოფს ჩვენი მოქალაქეების ჯანმრთელობის დაცვასა და გამრავლებას. საჭიროა სხვადასხვა მიზნობრივი პროგრამების შემუშავება. ყველა მუნიციპალიტეტში უნდა იყოს მუნიციპალური საავადმყოფოები, რომლებიც სახელმწიფოს პატრონაჟის ქვეშ იქნება. საყოველთაო დაზღვევის პაკეტი უნდა ითვალისწინებდეს, პირველ რიგში, პირველად გამოკვლევებს. როცა პირველადი გამოკვლევები ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება, ადრეულ ეტაპზე შეძლებენ დაავადების გამოვლინებას და გაცილებით იოლად აღმოვფხვრით პრობლემას. ასეთი მიდგომით სახელმწიფოსაც ნაკლები სახსრები დასჭირდება ჯანმრთელობის დაცვის კუთხით. დღეს ჩვენი სადაზღვევო პაკეტი ითვალისწინებს გაუარესებული ჯანმრთელობის კუთხით დახმარებას. თუ ჩვენი ჯანდაცვა შეეცდება აქცენტების გაკეთებას (პრევენციულ ღონისძიებებს ვგულისხმობ), მინიმუმამდე დავიყვანთ დაავადებულთა რაოდენობას. ეს იქნება ყველაზე სწორი და ნაკლებად დააწვება სახელმწიფოს. კარგია, რომ 1 ივნისიდან მშობიარობა საქართველოში ხდება უფასო, მაგრამ ერის გამრავლებისთვის აუცილებელი პირობაა, სახელმწიფომ იზრუნოს ორსულობის 9 თვის სტადიაზე. ასევე სადაზღვევო კომპანიებში დაზღვეულ ადამიანებს უფლება უნდა ჰქონდეთ საქართველოს ნებისმიერ ტერიტორიაზე, ნებისმიერ კლინიკაში მიიღონ სამედიცინო მომსახურება. სადაზღვევო კომპანიებს უნდა დაეკისროთ ვალდებულება საქართველოს ტერიტორიაზე ნებისმიერ კლინიკაში დაუფინანსონ ბენეფიციარებს სადაზღვევო პაკეტით გათვალისწინებული მომსახურება. მათ თავს არ უნდა მოახვიონ და არ აიძულონ ადამიანები, მიიღონ მხოლოდ და მხოლოდ მათ საკუთრებაში არსებული კლინიკების სამედიცინო მომსახურება, რის შესახებაც ჩვენს მოქალაქეებს არაერთხელ მოუმართავთ ჩემთვის. ეს არღვევს და ზღუდავს მოქალაქეებისა და მომხმარებლების უფლებას. გამოსავალი არის. სასწრაფოდ შევქმნათ ანტიმონოპოლიური სამსახური, რომელიც გააკონტროლებს აღნიშნულ პრობლემას და არც ერთ სადაზღვევო კომპანიას არ მიეცემა საშუალება, ბაზარზე მოახდინოს სადაზღვევო მონოპოლია, რაც ხელს შეუწყობს კონკურენციას. კონკურენცია კი, როგორც წესი, დახვეწს სისტემას და გააუმჯობესებს მომსახურებას.

***– თანდათან იკვეთება თურქეთთან დაკავშირებული პრობლემები. თქვენ როგორ აფასებთ ამ მხრივ შექმნილ სიტუაციას?***

– დღევანდელი ხელისუფლება სიფრთხილით უნდა მოეკიდოს თურქულ ინვესტიციებს. აჭარის რეგიონში საქმე გვაქვს არა ინვესტიციებთან, არამედ მცოცავ ექსპანსიასთან. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დამოკიდებულება და ინტერესი გააჩნია ამ სახელმწიფოს აჭარის მიმართ. ამასთან დაკავშირებით მე და ჩემმა კოლეგებმა არაერთხელ გავაჟღერეთ ფაქტები, თუ რას ასწავლიან თურქეთის მე-11 კლასელებს სახელმძღვანელოებით ბათუმთან დაკავშირებით. ამაზე წინა ხელისუფლებას რეაგირება არ მოუხდენია, თურქეთის სახელმწიფოსთვის ახსნა-განმარტება არ მოუთხოვია. ერთ-ერთ ფესტივალზე საქართველო და აჭარა ცალ-ცალკე იყვნენ მიწვეული, როგორც საქართველოს რესპუბლიკა და, როგორც აჭარისტანის დელეგაციები. თურქეთმა ამ ფაქტზე მოიბოდიშა და გაუგებრობა უწოდა. როგორც წესი, ასეთი გაუგებრობები სახელმწიფოებს შორის არ ხდება და არც უნდა ხდებოდეს. თუმცა, ვერავის ავუკრძალავთ გულისნადების გამჟღავნებას საჯაროდ. მე ვახსენე სიტყვა „ექსპანსია". თუ გადავხედავთ იმ ინვესტიციებს და მიზანმიმართულ პოლიტიკას რეგიონების მიმართ ზემოთ აღნიშნული ფაქტების კონტექსტში, მას დავამატებთ წინა ხელისუფლების დროს თურქებისთვის შექმნილ ფუფუნებას, სწორედ ფუფუნებაში მყოფმა ბიზნეს გარემომ მოგვცა დღეს აჭარაში 25 ათასამდე თურქეთის მოქალაქე ორმაგი მოქალაქეობით. ეს გამოწვეული იყო სტრატეგიული ობიექტების მიყიდვითაც. ყველაფერი ხდებოდა იმ ფონზე, როცა ჩვენი ბიზნესმენებისთვის, ბიზნესგარემო არ არსებობდა. სააკაშვილის ხელისუფლების ხელდასმით თურქები, კანონით თუ უკანონოდ, ლეგალურად თუ არალეგალურად, კერძო პირებისა და სხვადასხვა კომპანიების მეშვეობით, აბანდებდნენ ფულს ამ რეგიონში. ასე გაგრძელების შემთხვევაში რამდენიმე წელში რეგიონში ქართველები უმცირესობაში აღმოვჩნდებით ჩვენსავე მიწაზე. სამაგიეროდ, ჩვენი მოქალაქეები არც ერთ ჩვენს მეზობელ ქვეყანაში ისე დაუცველი არ არიან, როგორიც თურქეთის რესპუბლიკაშია. მეგობარი ქვეყნის მოქალაქეებს ისე არ უნდა ექცეოდნენ, როგორც ექცევიან. ამიტომ დღევანდელი ხელისუფლება ძალიან დიდი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს ამ პრობლემას და ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგას. ჩვენს მოქალაქეებს მეორეხარისხოვან მდგომარეობაში ყოფნა არ უნდა უხდებოდეთ და სხვა ქვეყნის მოქალაქეებს არ უნდა მივანიჭოთ უფრო მეტი პრივილეგიები. ქართველ ერს ვერავინ ასწავლის მეგობრობას, სტუმარ-მასპინძლობას, მაგრამ ნურავინ შეეცდება მასპინძლის მანტიის მოსხმას. სამწუხაროდ, ამ პრობლემის წინაშე დაგვაყენა სააკაშვილის დამნაშავე რეჟიმმა. საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება უნდა გამკაცრდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ექსპანსიის პრობლემა და ქართველების უმცირესობაში აღმოჩენა გარდაუვალია.

***– დღევანდელ მთავრობას?***

– იდეალური მთავრობა არ არსებობს. ყველაფერი შედარებითია. თუმცა, დღევანდელი მთავრობის შედარება წინა ხელისუფლებასთან სირცხვილი და შეურაცხმყოფელია, რადგანაც დღეს მთავრობა გვყავს. 6 თვის წინ ხელისუფლებაში მოკალათებული იყო კრიმინალური დაჯგუფება სააკაშვილის მეთაურობით. იმედია, უახლოეს თვეებში ის ნაკლოვანებები გამოსწორდება, რაც აქვს დღევანდელ მთავრობას. მისი ნაკლოვანებაა სააკაშვილის რეჟიმთან კოჰაბიტაცია, რაც აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, სამართლიანობის აღდგენას და წინასაარჩევნო დაპირებების შესრულებას. სამინისტროებსა და სხვადასხვა სამსახურების ქვედა რგოლებში მოკალათებული არიან, ხშირ შემთხვევაში არაპროფესიონალი, სააკაშვილის კადრები. ისინი ხელს უშლიან „ოცნებას" და დღევანდელ მთავრობას წინასაარჩევნო დაპირებების შესრულებას. ის კადრები დღესაც ემსახურებიან თავიანთ ბელადს, სააკაშვილის. თუ დღევანდელი ხელისუფლება გააგრძელებს ასეთ კოჰაბიტაციურ მუშაობას, ქვედა რგოლებში საკადრო პოლიტიკას არ გადახედავს და დამნაშავე პირები კანონით არ დაისჯებიან, შეფერხდება ქვეყნის ეკონომიკურ-სამართლებრივი წინსვლა, რისი დიდი სურვილიც გააჩნია მიხეილ სააკაშვილს და მის კრიმინალურ დაჯგუფებას. ამიტომ მთავრობამ უნდა გადადგას სამართლიანი და რადიკალური ნაბიჯები.

***– ნეპოტიზმზე რას იტყვით?***

– 21-ე საუკუნეში უფლება არ უნდა მივცეთ ვინმეს, დანერგოს და დაამკვიდროს ფეოდალური წყობილებისთვის დამახასიათებელი გვაროვნული მმართველობა. ჩვენ ეს მმართველობა 90-იან წლებიდან 2004 წლამდე გავიარეთ. რა შედეგიც მივიღეთ, რაც მოხდა, მაგალითად, აჭარაში, ყველამ კარგად ვიცით. სააკაშვილის კრიმინალური რეჟიმის მიერ ჩამოყალიბებულ რეჟიმს, 2012 წლის 1 ოქტომბერს ქართველმა ერმა ვუთხარით არა. ვინც ასეთ მეთოდს იყენებს სახელმწიფო მმართველობაში, ნათლად ავლენს თავის ვიწრო მსოფლმხედველობას და აზროვნებას. ამიტომ მათგან ახალს არ უნდა ველოდეთ, მათი მიზანია წარსულში დაბრუნება. ერთი გამოსავალია – მათ საზოგადოებამ უარი უნდა უთხრას. კადრების შერჩევისას ხელისუფლება საზოგადოების აზრს პატივს უნდა სცემდეს. ხელისუფლებაში მყოფი პირებისთვის მთავარი ამოცანა, კვალიფიცირებული კადრების შემოკრება, ხალხის სამსახური და არა ნათესაურ-კლანური არაპროფესიონალი კადრების შეთავაზებაა. საქართველო პატარა ქვეყანაა და ყველა ყველას რაღაც სახით შეიძლება ნათესავი აღმოჩნდეს, მაგრამ ეს შეუძლებელია მასობრივად ხდებოდეს.

***– ნაციონალები 19 აპრილით იმუქრებიან. როგორია თქვენი რეაქცია?***

– 19 აპრილით სააკაშვილი ქართველ ხალხს დასცინის.

# „თბილისის კონცერტინო“ 25 წლისაა

ეკა ირემაშვილი

კამერული ორკესტრი „თბილისის კონცერტინო“ იუბილარია. ის დაარსებიდან 25 წლის იუბილეს კონსერვატორიაში სხვადასხვა ღონისძიებით აღნიშნავს. საიუბილეო კონცერტები 2 აპრილს დაიწყო და 29 აპრილს დასრულდება.

იუბილარი „თბილისის კონცერტინო“ 25 წლის წინ კომპოზიტორმა და დირიჟორმა შავლეგ შილაკაძემ კონსერვატორიის სტუდენტთა ორკესტრის ბაზაზე დააარსა. თავდაპირველად „თბილისის კონცერტინო“ საქართველოს კულტურის ფონდის ეგიდით ეწეოდა საქმიანობას. დაარსებისთანავე ორკესტრმა მონაწილეობა მიიღო თელავის პრესტიჟულ საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალში „ქება ვაზისა“, რაც ახალშექმნილი ორკესტრის აღიარების დადასტურება იყო. მნიშვნელოვანი ფურცელი ორკესტრის ბიოგრაფიაში იყო ამავე წელს დაწყებული ურთიერთობა გერმანიასთან, რომელსაც საფუძველი ცნობილმა ქართველმა კინორეჟისორმა ნანა ჯორჯაძემ ჩაუყარა.

– 1990-2005 წლებში „თბილისის კონცერტინო“, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშემსრულებლო ანსამბლი, შედიოდა საქართველოს ახალგაზრდა შემოქმედთა გაერთიანებაში, რომლის გენერალური დირექტორი ციური გარუჩავა იყო. ამჟამად ორკესტრის ძირითადი ბირთვი 12 მუსიკოსისაგან შედგება, მათგან 6, აგრეთვე ხელმძღვანელები, შავლეგ და გიორგი შილაკაძეები, „თბილისის კონცერტინოს“ წევრები არიან დაარსების დღიდან. სწორედ ამ ორკესტრში მიიღო პროფესიული ნათლობა ბევრმა ახალგაზრდა მუსიკოსმა, რომლებიც ახლა წარმატებით მუშაობენ საქართველოსა და უცხოეთის ორკესტრებსა და ანსამბლებში, – აცხადებს ორკესტრის დამაარსებელი.

„თბილისის კონცერტინოსთან“ უთანამშრომლიათ ქართველ და უცხოელ მუსიკოსებს. მათ შორის არიან ლიზა ბათიაშვილი, ოლგა ბალაკლიცი, მიხაელ ბოში, ედუარდ ბრუნერი, ნატო გაბუნია, ჯულიან გალანტი, მანანა ეგაძე, ლივიუ ვარკოლი, ლუდოვიკ არმინ კორა, იური კოჩნევი, ედგარ მანიაკი, ხუან ხოსე მენა, ვალერი მიხალიუკი, ანდრი ტუჩაპეცი, ჰელმუტ ფრანკე, ეთერ ჯაყელი, ტიმ ჰოუზი და სხვები. მრავალი წელია, ორკესტრის ერთგული და გულუხვი პარტნიორია შვეიცარიული ფონდი და მისი პრეზიდენტი, ქალბატონი მარინა მილცი.

– „თბილისის კონცერტინოს“ უკვე 10 წელზე მეტია, საინტერესო შემოქმედებითი პარტნიორული ურთიერთობა აქვს გერმანული კულტურის ინსტიტუტთან, რასაც საფუძველი ჩაუყარა ინსტიტუტის მაშინდელმა დირექტორმა ილზე იაოანა ჰაინლემ. თბილისის მუსიკალური ცხოვრებისთვის მნიშვნელოვანია ორკესტრის თანამშრომლობა აგრეთვე ევანგელიურ-ლუთერულ შერიგების ეკლესიასთან, რაც აწ განსვენებული ეპისკოპოსის, პროფესორ დოქტორ გერტ ჰუმელის მხარდაჭერით დაიწყო და დღესაც გრძელდება. 5 წელზე მეტია, „თბილისის კონცერტინო“ აგრძელებს საკონცერტო მოღვაწეობას, როგორც თავისუფალი საშემსრულებლო ანსამბლი, – განმარტავს „თბილისის კონცერტინოს“ დამაარსებელი.




„თბილისის კონცერტინოს“ რეპერტუარი მოიცავს XVII-XX საუკუნეების კომპოზიტორთა მნიშვნელოვან კამერულ-ინსტრუმენტულ და კანტატა-ორატორიული ჟანრის ნაწარმოებებს. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ბახის „საშობაო ორატორია“ და მრავალი კანტატა, ბრანდენბურგის კონცერტები, ჰენდელის „მესია“, შუტცისა და ჰაიდნის „ჯვარცმული მაცხოვრის შვიდი სიტყვა“, მოცარტის „რეკვიემი“, შონბერგის „გასხივოსნებული ღამე“, სტრავინსკის კონცერტი ინ, ბარტოკის დივერტისმენტი, ლუტოსლავსკის „სამგლოვიარო მუსიკა“, ჰაიდნის, მოცარტის, შუბერტის სიმფონიები, ინსტრუმენტული კონცერტები, სიმებიანი ორკესტრისათვის ადაპტირებული ბეთჰოვენის, შუბერტის, ბრამსის, მალერის, შოსტაკოვიჩის, ელგარის, შტრაუსის, სიბელიუსის, შმიდტისა და სხვათა ნაწარმოებები, აგრეთვე ქართული მუსიკა. ბევრი ნაწარმოები აჟღერდა საქართველოში პირველად სწორედ „თბილისის კონცერტინოს“ შესრულებით. ორკესტრს დაარსების დღიდან ჩატარებული აქვს 400-მდე კონცერტი საქართველოში და საზღვარგარეთ, მათ შორის, გერმანიაში, ესპანეთში, შვეიცარიასა და დიდ ბრიტანეთში.

– მნიშვნელოვანი იყო 1989 წელს „თბილისის კონცერტინოს“ მონაწილეობა თელავის პრესტიჟულ საერთაშორისო ფესტივალში „ქება ვაზისა“, რომლის დამაარსებელი და სამხატვრო ხელმძღვანელია გამოჩენილი პიანისტი ელისო ვირსალაძე. ხანგრძლივი და მჭიდრო ურთიერთობა დამყარდა გერმანიის სხვადასხვა მხარის ქალაქებთან, რაც 1990 წელს ცნობილი კინორეჟისორის ნანა ჯორჯაძის ხელშეწყობით დაიწყო. საინტერესო კონცერტები ჩატარდა ბადენ-ვიურტემბერგის, ბავარიის, ბრანდენბურგის მხარეში. ამ გასტროლების მოწყობაში დიდი წვლილი შეიტანეს „თბილისის კონცერტინოს“ პარტნიორებმა, დიტრამსცელის ბიურგერმაისტერმა ბენო ლიჰტენეგერმა, ინტერკონტინენტური კონტაქტების საზოგადოების თავმჯდომარემ, დოქტორმა ფრიდრიჰ ფოგელმა, პროექტის ხელმძღვანელმა ერნსტ ჰერცოგმა, ანდრეას ეკერტმა, პეტერ მარქსმა და სხვებმა. გერმანიაში ორკესტრი გამოდიოდა ფილინგენში, ლარში, რადოლფცელში, ბიბერახში, ბად ტოლცში, პოცდამში, გუბენში და სხვა ქალაქებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „თბილისის კონცერტინოს“ მონაწილეობა გერმანულ-სამხრეთკავკასიურ პროექტში, რომელიც ქართველი კომპოზიტორის გია ყანჩელის ინიციატივით განხორციელდა. სამხრეთკავკასიურმა ორკესტრმა კონცერტები გამართა გერმანიაში, ბრანდენბურგის მხარეში, მათ შორის ბერლინის ფილარმონიის კამერულ დარბაზში. „თბილისის კონცერტინომ“ ორი ხანგრძლივი ტურნე ჩაატარა ესპანეთში, რომელიც მოაწყო ევროპაკანტატის საბჭოს წევრმა ხავიერ კამენომ. ამ პროექტის ფარგლებში ორკესტრმა ჩაატარა 150-ზე მეტი საგანმანათლებლო და აკადემიური კონცერტი სარაგოსაში, ვიტორიაში, ბურგოსში, სამორაში, სიუდად როდრიგოში, სალვატიერასა და სხვა ქალაქებში. „თბილისის კონცერტინომ“ იმოგზაურა შვეიცარიაში. კონცერტები გაიმართა ზირნახში, ბოსვილში, რომანსჰორნში, ტალვილში. ამ კონცერტების ორგანიზატორი იყო ერთ-ერთი ფონდი და მისი პრეზიდენტი მარინა მილცი. ორი უმნიშვნელოვანესი კონცერტი ჩაატარა ორკესტრმა დიდ ბრიტანეთში, ლონდონში – დედოფალ ელისაბედის დარბაზში და ედინბურგში. ამ კონცერტების ორგანიზატორები და სოლისტები იყვნენ პიანისტები ოლგა ბალაკლიცი და ჯულიან გალანტი, – აღნიშნავს შავლეგ შილაკაძე.

გარდა აკადემიური კონცერტებისა, „თბილისის კონცერტინოს“ მრავალი საგანმანათლებლო კონცერტი აქვს ჩატარებული, მათ შორის სამუსიკო სკოლების მოსწავლეთა მონაწილეობით. ბევრი მათგანი დღეს აღიარებული შემსრულებელია.

– ძალზე მნიშვნელოვანი იყო „თბილისის კონცერტინოს“ მონაწილეობა ახალგაზრდული კონკურსების ევროპის ფედერაციის წევრის, საქართველოს ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელთა ღია კონკურსში. ამ კონკურსებს ატარებდა „ახალგაზრდა შემოქმედთა გაერთიანება“ მისი გენერალური დირექტორის ციური გარუჩავას ხელმძღვანელობით, – განმარტავს ორკესტრის ხელმძღვანელი.

ამჟამად ორკესტრი სისტემატურად მართავს კონცერტებს თბილისის საუკეთესო დარბაზებში, აგრეთვე ევანგელიურ-ლუთერულ შერიგების ეკლესიაში, სადაც, გარდა ცალკეული საორკესტრო პროგრამებისა, დიდი ადგილი ეთმობა საზეიმო საშობაო და სააღდგომო კონცერტებს სოლისტებისა და გუნდის მონაწილეობით. ამ პროგრამებში „თბილისის კონცერტინოსთან“ სისტემატურად თანამშრომლობს კამერული გუნდი პროფესორ გივი მუნჯიშვილის ხელმძღვანელობით და მომღერლები ნინო ჩაჩუა, ნინო დოლენჯაშვილი, ქეთევან ქემოკლიძე, თამაზ საგინაძე, ზაზა ხელაია, სოფი გორდელაძე, გია მახარაძე და სხვები.

– „თბილისის კონცერტინოსა“ და თბილისის გერმანული კულტურის ინსტიტუტის პარტნიორული თანამშრომლობის საფუძველზე არაერთი კონცერტი ჩატარდა როგორც თვით ინსტიტუტში, ასევე კონსერვატორიის დიდ დარბაზში, – აღნიშნავს ორკესტრის დამფუძნებელი.

2010 წელს „თბილისის კონცერტინომ“ თავისი დამაარსებლის შავლეგ შილაკაძის 70 წლის იუბილე აღნიშნა. ამ თარიღთან დაკავშირებით კონსერვატორიის მცირე დარბაზში საიუბილეო შემოქმედებითი კონცერტი გაიმართა. რა თქმა უნდა, საღამოზე უკრავდა „თბილისის კონცერტინო“, რომელსაც დირიჟორობდა იუბილარი მაესტროს ვაჟი გიორგი შილაკაძე. წარმოდგენილი იყო შავლეგ შილაკაძის ოთხი ნაწარმოები, რომელთაგან სამი პირველად შესრულდა. ასევე მონაწილეობდნენ კიევიდან ჩამოსული საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი სოლისტები ბოგდანა პიდნენკო და ანდრი ტუჩატესი. ორგანყოფილებიანი კონცერტის დასკვნით ნაწილში შესრულდა ორი რომანსი ანა კალანდაძის ლექსებზე, რომლებიც ახალბედა მომღერალმა მეგი ჩიხრაძემ იმღერა.

ამჯერად კი კონსერვატორია „თბილისის კონცერტინოს“ დაარსებიდან 25 წლის საიუბილეო ფესტივალს ზეიმობს. საკონცერტო სერიების პირველ კონცერტზე დიდ დარბაზში წარმოდგენილ იქნა ლუტოსლავსკის „სამგლოვიარო მუსიკა“, ბრამსის სიმებიანი კვარტეტი (საორკესტრო ვერსია) და თავად შავლეგ შილაკაძის კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის. „თბილისის კონცერტინოს“ თავად შავლეგ შილაკაძე დირიჟორობდა, ხოლო სოლისტის ამპლუაში ლელა მჭედლიძე წარდგა შეკრებილი მსმენელის წინაშე.

საიუბილეო ფესტივალი 10 აპრილს გაგრძელდება. „თბილისის კონცერტინოს“ გიორგი შილაკაძე უდირიჟორებს, სოლისტები იქნებიან ქეთევან შანიძე (ფლეიტა) და ნინო გურევიჩი (ფორტეპიანო). საკონცერტო პროგრამაშია სტანკოვიჩის კამერული სიმფონია №3, მალერის ადაჟიეტო მეხუთე სიმფონიიდან და ბრამსის საფორტეპიანო კვინტეტი (ვერსია ფორტეპიანოსა და ორკესტრისთვის).

ფესტივალის ფარგლებში შემდგომი კონცერტი 19 აპრილს არის დაგეგმილი. ორკესტრს უდირიჟორებს გიორგი შილაკაძე, საიუბილეო კონცერტში კი მონაწილეობას მიიღებენ სოლისტები ნუცა კასრაძე (ფორტეპიანო), ნინო ჟვანია (ფორტეპიანო), დავით ველიჯანაშვილი (დეკლამატორი) და სალომე ჯიქია (სოპრანო). საკონცერტო პროგრამაში წარმოდგენილი იქნება ვებერნის საფორტეპიანო კვინტეტი (სიმებიანი პარტიები დამუშავებული გიორგი შილაკაძის მიერ), შონბერგის ოდა ნაპოლეონ ბონაპარტს (სიმებიანი პარტიები დამუშავებული გიორგი შილაკაძის მიერ), ბერგის სამი სიმღერა 7 ადრეული სიმღერიდან და მალერის ადაჟიო მეათე სიმფონიიდან (დამუშავებული 15 სიმებიანი საკრავისთვის ჰანს შტადლმაირის მიერ).

„თბილისის კონცერტინოს“ 25 წლის იუბილეს ფარგლებში დაგეგმილ ფესტივალს დაასრულებს გალაკონცერტი 29 აპრილს, რომელზეც პირველად შესრულდება ნადარეიშვილის ლიტანია, შტრაუსის მეტამორფოზები 23 სოლო ხემიანი საკრავისთვის და ბარტოკის მუსიკა სიმებიანი საკრავების, დასარტყამებისა და ჩელესტასთვის. დასკვნით საიუბილეო კონცერტზე „თბილისის კონცერტინოს“ გიორგი შილაკაძე უდირიჟორებს.

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● კოსმეტოლოგი ლამარა თოდუა თავის მრავალწლიანი გამოცდილებით და მამა-პაპური გამოცდილების მცენარეული რეცეპტურით კანის უამრავ დაავადებას არჩენს. სახის კანის გაწმენდა ხდება ახალი და ძველი რეცეპტურით. მყავს ათასობით მადლიერი პაციენტები. ვარჩენ გამონაყარს, მეჭეჭებს, დამწვრობას, სებორეას, ჰაიმორიტ-ფრონტიტს, თმის ცვენას, ქერტლს, ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ სოკოს, ქავილს, ჩაბრუნებულ ფრჩხილებს, მაზოლებს, ძირმაგარებს, ნაიარევს. ახალნამშობიარებ დედებს მოვურჩენ მასტიტს, გამაგრებას. ნებისმიერი კანისთვის ვამზადებ მკვებავ და დამცავ კრემებს. მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ დ№1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

# საქართველოს თასზე განმეორებითი მატჩებია

დღეს საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის განმეორებითი მეოთხედფინალური მატჩებია. გადაწყვეტილი არც ერთ მატჩში არაფერი არ არის, თუმცა წყვილებში ფავორიტები უკვე შეიმჩნევა.

თბილისის „დინამო“ შინაურ არენაზე ლანჩხუთის „გურიას“ დაუხვდება. პირველ მატჩში გუნდები ერთმანეთს უგოლოდ დაშორდნენ და, აქედან გამომდინარე, ფავორიტად დინამოელები მიიჩნევიან, თუმცა ისედაც გაცილებით ძლიერი გუნდი ჰყავს და გასაკვირი უფრო პირველი მატჩის ფრე იყო.

დინამოელებს ეროვნულ ასპარეზზე ლანჩხუთელთა წინააღმდეგ 21 მატჩი აქვთ გამართული. ურთიერთშეხვედრებში დინამოელები კოლოსალურ უპირატესობას ფლობენ – 17 მოგება, 3 ფრე და ერთი მარცხი. ბურთების შეფარდება 66:11. დედაქალაქელებმა „გურია“ ექვსბურთიანი სხვაობით ოთხჯერ დაამარცხეს. სამჯერ 6:0 მოუგო, 1999 წლის 15 მაისს, ეროვნული ჩემპიონატის მეათე გათამაშებისას კი მეტოქე 7:1 დაამარცხეს.

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ „გურია“ მეოთხედფინალში თავისი ბრძოლისუნარიანობით გავიდა და ორმატჩიან დუელში „ზესტაფონი“ ისე გამოთიშა, რომ ორივე მატჩი სტუმრად ეთამაშა. რამდენად შეეძლებათ გურულებს კიდევ ერთი სენსაციის „გამოცხობა“, ამას დღევანდელი მატჩი გვიჩვენებს.

ქუთაისის „ტორპედო“ ეროვნული თასის მეოთხედფინალში ბოლნისის „სიონის“ წინააღმდეგ ორმატჩიანი დუელის გამარჯვებულის ბედს ქვეყნის საფეხბურთო ნაკრების საწვრთნელ ბაზაზე გაარკვევს. საპასუხო მატჩის წინ გუნდის მთავარი მწვრთნელი გია გეგუჩაძე გადაწყვეტილად არაფერს მიიჩნევს, მით უფრო, რომ მის გუნდს საკმარისი უპირატესობა აქვს დაბევებული – ქუთაისში „ტორპედომ“ 3:1 მოიგო.

**გია გეგუჩაძე:**

– მორიგ რთულ თამაშს ველოდებით. ფეხბურთელებმა უნდა გაითავისონ, რომ საქმე მომთავრებული ჯერ არ გვაქვს და „სიონი“ თავისას შეეცდება, მით უმეტეს, რომ მის რიგებში საკმაოდ გამოცდილი და კვალიფიციური მოთამაშეები არიან. ამდენად, ყველას მოგვეთხოვება, მაქსიმალური ყურადღება და მონდომება გამოვიჩინოთ, სწორად შევაფასოთ ჩვენი შესაძლებლობა, მოწინააღმდეგის ძლიერი და სუსტი მხარეები, ვფიქრობ, მთავარი სწორედ ეს იქნება. რა თქმა უნდა, ვეცდებით, ჩვენთვის დამახასიათებელი თამაში ვაჩვენოთ და სასურველ შედეგს მივაღწიოთ.

გორის „დილა“ შინ საჩხერის „ჩიხურას“ დაუხვდება. ივანწმინდაში „ჩიხურამ“ თასის გორელები 3:0 დაამარცხა. თავისთავად შთამბეჭდავი ანგარიშია, თუმცა უფრო მნიშვნელოვანი სხვა რამაა. ჯერ კიდევ პირველ მატჩამდე გავრცელდა ხმები, რომ გორელები „ჩიხურას“ თასის ნახევარფინალში გაიყვანენ, სამაგიეროდ, საჩხერელები ჩემპიონატში 6 ქულას „აჩუქებენო“. ვერ გეტყვით, საიდან აგორდა ეს ჭორი, მაგრამ, როცა ივანწმინდის სტადიონის ატალახებულ მინდორზე გორელთა ლიტველმა მთავარმა მწვრთნელმა ვალდას ივანაუსკასმა 9 ისეთი ფეხბურთელი გაიყვანა, რომლებიც წინა თამაშში სათადარიგოთა შორის ირიცხებოდნენ ან სულ არ იყვნენ განაცხადში, ეჭვები მართლაც გამოიწვია, მაგრამ, ისიც უნდა ითქვას, რომ გორელებს მალევე მეტად პრინციპული მატჩი უწევდათ „დინამოსთან“.

გორელებს თავიანთი შემადგენლობით ძალუძთ ამ ჰანდიკაპის აღმოფხვრა, მაგრამ რთული საქმე ნამდვილად იქნება.

პირველ მეოთხედფინალურ მატჩში რუსთავში „მეტალურგმა“ საკუთარ მოედანზე ბოლოსკენ გატეხა კერკეტი ცხინვალელები. გოლი ალექსანდრე ინწკირველმა გაიტანა. ეს ერთადერთი გოლი კი რუსთაველებს მშვიდად ყოფნის საშუალებას ნამდვილად არ მისცემს და „სპარტაკიც“ შეეცდება ნახევარფინალში გასვლას.

# თორნიკე თარხნიშვილი კრეატიულობაზე ფიქრობს

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი თორნიკე თარხნიშვილი უცხო არ არის მათთვის, ვინც რეგულარულად ადევნებს თვალს ეროვნულ ჩემპიონატს. თორნიკე ჩვენს ჩემპიონატში შესამჩნევი ფიგურა ქუთაისის „ტორპედოში“ გახდა, მაგრამ მალევე თბილისის „დინამომ“ გადაიბირა, თუმცა იქ კონკურენცია გაუჭირდა და გუნდმაც ბოლნისის „სიონში“ გაანათხოვრა.



თარხნიშვილი დიდხანს არც ქვემოქართლურ კლუბში გაჩერებულა და ლატვიურ „ვენტსპილსში“ ჩაირიცხა. ქართველმა ნახევარმცველმა სადებიუტო მატჩშივე გამოიჩინა თავი და მისი ინტერვიუც უმალვე გამოქვეყნდა კლუბის ვებგვერდზე.

***– ჩემპიონატში ჩატარებული პირველი მატჩი გოლით აღნიშნე.***

– პირველსავე მატჩში გოლის გატანა ძალიან კარგია. თუმცა, მთავარია, რომ „ვენტსპილსმა“ გაიმარჯვა. გუნდმა მოიგო, მე – გავიტანე. ეს ორმაგად სასიხარულოა.

***– გოლი „ქართულად“ გაიტანე – ტექნიკურად. ყველამ ნახა და ისიამოვნა. ეს ეპიზოდი შენ რით დაგამახსოვრდა?***

– ედიკ სუხანოვმა იდეალური პასი მომცა. მსგავს პასებს ინგლისსა და ესპანეთში აკეთებენ. მეკარესთან პირისპირ დავრჩი, გვერდი ავუარე და ცარიელ კარში ბურთი შევაგორე.

***– როგორი შთაბეჭდილება დაგრჩა სადებიუტო მატჩზე?***

– დარწმუნებული ვარ, „ვენტსპილსმა“ დამსახურებულად გაიმარჯვა. ჩემპიონატის სტარტზე მოგება ძალიან გვსურდა, მოვინდომეთ და კარგად ვითამაშეთ. ბურთს ვაკონტროლებდით, ბევრი საგოლე მომენტი შევქმენით, შეგვეძლო, მეტიც გაგვეტანა. ვფიქრობ, ფეხბურთელებმა მწვრთნელის დავალება შეასრულეს. რა თქმა უნდა, იდეალურად არა, მაგრამ, ჩემი აზრით, კარგად ვითამაშეთ.

***– კარგად ითამაშე, მაგრამ ეს ის არ არის, რაც სინამდვილეში შეგიძლია. თუ ვცდები?***

– არა, ეს სიმართლეა. კიდევ უნდა მოვუმატო. ყოველ ვარჯიშზე თავი უკეთ უნდა გამოვავლინო, თამაშებზე რომ არაფერი ვთქვა. მაქსიმუმი არა საკუთარი თავისთვის, არამედ გუნდისთვის უნდა გააკეთო. ეს ყველაზე მთავარია.

***– მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე გუნდის მთავარმა მწვრთნელმა იურგის პუჩინსკასმა აღნიშნა, რომ შენგან მეტ კრეატიულობას ელის.***

– ეს სწორი ნათქვამია. ისეთ პოზიციაზე ვთამაშობ, რომელიც მეტ კრეატიულობას მოითხოვს. ბევრი ფანტაზია და არასტანდარტული გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო. ეს ჩვენი თავდამსხმელებისთვის აუცილებელია, რათა გოლები გაიტანონ. რა თქმა უნდა, ამ მხრივ უნდა მოვუმატო.

***– როგორ მოგეწონა „ვენტსპილსის“ ორ საშინაო მატჩში ტრიბუნებზე არსებული ატმოსფერო?***

– ძალიან მომეწონა. ვფიქრობ, მთავარ სტადიონზე უკეთესი ატმოსფერო იქნება. ყოჩაღ, გულშემატკივრებო, მხარს საუცხოოდ გვიჭერდნენ.

***– ვფიქრობ, გუნდსაც ადვილად შეეგუე.***

– ძალიან. საუცხოო ბიჭები არიან და პირველი დღიდან კარგი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა. თავს ლეგიონერად არ ვგრძნობ. მწვრთნელებიც მეხმარებიან, მხარს მიჭერენ და სასარგებლო რჩევებს მაძლევენ. ყველაფერი კარგადაა.

***– ქალაქი მოგწონს?***

– ვენტსპილსი მშვიდი და მყუდრო ქალაქია, ხმაურიანი თბილისისგან განსხვავებით. ხალხი თავაზიანია, თავიანთ საქმეს აკეთებენ და საუცხოოდ იქცევიან. ბიჭები მიყვებოდნენ, რომ ზაფხულში ვენტსპილსში ძალიან კარგია. ისღა დამრჩენია, ზაფხულს დაველოდო.

***– წარმომიდგენია, სითბოს მოყვარული ქართველისთვის ამჟამინდელი გაზაფხული როგორი ასატანი იქნება.***

– თუ მუდმივად პლუს 5 გრადუსი იქნება, ეს უკვე თითქმის სრული ბედნიერებაა!

***– ადაპტაცია მალე გაიარეთ?***

– ჩემი აზრით, სრულიად ადაპტირებული ვარ. ვიცი, მწვრთნელი რას მთხოვს და კიდევ ბევრი უნდა ვიმუშაო, რომ ეს მოთხოვნები მოედანზე იდეალურად შევასრულო. ყოველ ვარჯიშზე უკეთესი უნდა გავხდე, ვიდრე მანამდე ვიყავი.

***– მომავალ ტურში „ვენტსპილსი“ ქვეყნის ჩემპიონს „დაუგავას“ ეთამაშება. საინტერესო მატჩი იქნება.***

– რთული და საინტერესო თამაში იქნება. არ ვიცი, როგორ განვითარდება მოვლენები, მაგრამ მჯერა, რომ თითოეული გამარჯვებისთვის ყველაფერს გავაკეთებთ. ცხადია, „ვენტსპილსს“ მოგება ძალიან უნდა.

***– გამარჯვების შემთხვევაში, ჩემპიონს 5 ქულით გაასწრებთ. ეს დიდი სტიმულია?***

– მართალია, მაგრამ, ჩემი აზრით, ამაზე არ უნდა ვიფიქროთ. მთავარია, ჩვენი ფეხბურთი ვაჩვენოთ და ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ერთ-ერთ მთავარ კონკურენტს მოვუგოთ. მოედანზე უნდა გავიდეთ და რაც შეგვიძლია, ყველაფერი გავაკეთოთ.

**პ.ს.** „ვენტსპილსმა“ მართლა იბრძოლა „დაუგავასთან“ მატჩში და, იმის მიუხედავად, რომ 77-ე წუთზე უკვე 1:3-ს აგებდა, დარჩენილ 13 წუთში 3 ბურთი გაიტანა, 4:3 მოიგო და ჩემპიონობისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა.

# კალათბურთის ფედერაციას ოპონენტები მოუმრავლდა

ახლად შექმნილმა საკალათბურთო ორგანიზაცია „კალათბურთელთა კავშირმა“ 2013 წლის ოქტომბერში დაგეგმილი საქართველოს კალათბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მზადების მიზნით, წინასაარჩევნო კამპანიის დაწყება გამოაცხადა.

ამის შესახებ კავშირმა მასმედიისთვის გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა განცხადება. აქედან გამომდინარე, საზოგადოება „ქართული კალათბურთის“ შემდეგ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ბესიკ ლიპარტელიანს უკვე მეორე კონკურენტი გამოუჩნდა. თუმცა, განსხვავება ის არის, რომ „კალათბურთელთა კავშირი“, „ქართული კალათბურთისგან“ განსხვავებით, ვადამდელ არჩევნებს არ ითხოვს და ყველაფერი წესისა და ვადის ფარგლებში სურს. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ფედერაციის დღევანდელი ხელმძღვანელობის ორივე ორგანიზაცია მანამდე გაერთიანებული იყო, მაგრამ მათი აზრები ერთმანეთს არ დაემთხვა და გაიყვნენ.

პრესკონფერენციას „კალათბურთელთა კავშირის“ ხუთივე დამფუძნებელი ესწრებოდა: ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების პრიზიორი გურამ მინაშვილი, ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის ზურა გრძელიძე, მოქმედი მწვრთნელი, საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი წევრი დავით თორთლაძე და ვეტერანი კალათბურთელები – მიშა ახვლედიანი და ლევან გეგეშიძე.

„კალათბურთელთა კავშირის“ დაარსების მიზნები:

ქართული კალათბურთის ღრმა კრიზისიდან გამოყვანა; ბავშვთა კალათბურთში შექმნილი მდგომარეობის გაუმჯობესება; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღდგენა-რეაბილიტაცია და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა; ეროვნული ჩემპიონატის მდგრადობის უზრუნველყოფა; ქალთა კალათბურთის რეანიმაცია; საქართველოს კალათბურთის ფედერაციის წესდების და საარჩევნო გარემოს კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის ფიბა-ს რეკომენდაციებთან შესაბამისობაში მოყვანა;

„კალათბურთელთა კავშირის“ პროგრამა:

კალათბურთის მასიურობა და პოპულარიზაცია; ბავშვთა ლიგა, ეროვნული ჩემპიონატი; ქალთა კალათბურთი, მსაჯები, მწვრთნელები; ინფრასტრუქტურა, კალათბურთი რეგიონებში; სპონსორები, საჯარო ფინანსები, კალათბურთის ეკონომიკა; კალათბურთის მენეჯმენტი, მარკეტინგი; დემოკრატიული წესდება და სხვ.

„კალათბურთელთა კავშირის“ წარმომადგენელთა თქმით, კალათბურთის განვითარების პროგრამის შექმნაში ეყრდნობოდნენ საერთაშორისო ფედერაციების, კომიტეტებისა თუ ინსტიტუტების გამოცდილებას.

„კალათბურთელთა კავშირი“ ასევე ეხმიანება საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ინიციატივას და მზად არის, აღნიშნული ფედერაციის წესდებისა და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ითანამშრომლოს. კავშირს შემუშავებული აქვს გრძელვადიანი სისტემა, რომელიც საფუძველს ჩაუყრის საქართველოში კალათბურთის განვითარებას.

**მიშა ახვლედიანი:**

– საზოგადოება „ქართულ კალათბურთს“ სურს, საქართველოს კალათბურთის ფედერაციაში ცვლილებები ვადამდელი არჩევნების ჩატარებით მოახდინოს, რასაც არ ვიზიარებ. ჩვენი შეხედულებები ერთმანეთს არ ემთხვეოდა. ამის გამო ჩვენი ურთიერთობა ერთი თვეც არ გაგრძელებულა და ერთმანეთს დავშორდით. თუმცა, მიზანი ერთი გვაქვს – საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობის შეცვლა, რომელიც 12 წელია მუშაობს. ჩვენი მიზნებიდან უმთავრესია, ქართულ კალათბურთს ახალი საძირკველი ჩავუყაროთ, რომელიც ბავშვთა კალათბურთის განვითარებით უნდა დავიწყოთ. გვინდა, ამ სფეროში ფუნდამენტური ცვლილებები განვახორციელოთ. თუმცა, პირველი ამოცანაა წესდება შეცვლა, რადგან ის არჩევნების ობიექტურად ჩატარების საშუალებას არ იძლევა. ჩვენი იურისტი გიორგი ანთაძე და მოქმედი კალათბურთელი, „არმიას“ წევრი დათო საყვარელიძე ამ საკითხზე უკვე მუშაობენ. ეს უკანასკნელი არაოფიციალურადაა ჩვენი წევრი, რადგან მოქმედი კალათბურთელია და არ აქვს უფლება, „კალათბურთის კავშირის“ წევრი იყოს.

**ლევან გეგეშიძე:**

– ფიბა-ს წესდებაში გარკვევით წერია, თუ ვინ უნდა იყოს საპრეზიდენტო არჩევნებში დელეგატი. დელეგატთა რაოდენობა 25-ს არ უნდა აღემატებოდეს.

**დავით თორთლაძე:**

– საქართველოს ბავშვთა კალათბურთი მთლიანად მშობლების ფულზეა დამოკიდებული. ნიჭიერ, მაგრამ უფულო ბავშვებს არ აქვთ საშუალება, კალათბურთს გაჰყვნენ. სამწუხაროდ, კალათბურთი ელიტური სპორტი გახდა და პრობლემებიც ამის შემდეგ დაიწყო.

**გურამ მინაშვილი:**

– ქართულ კალათბურთში სავალალო სიტუაციაა შექმნილი. როდესაც ლიპარტელიანმა პირველად გადაწყვიტა პრეზიდენტობა, მისი კონკურენტი ოლიმპიური ჩემპიონი მიხეილ ქორქია იყო, რომელსაც მხარს ვეტერანი კალათბურთელები ვუჭერდით, ლიპარტელიანმა და ფიბა-ს მსაჯმა როლანდ ხომერიკმა სხვა და სხვა ხერხებით შეძლეს არჩევნების მოგება. და ამით ყველაფერი არ დასრულებულა, თუ ადრე ორი ვადით იყო შესაძლებელი პრეზიდენტობა, ლიპარტელიანმა ეს წესდება შეცვალა, უვადო გახადა და პრეზიდენტის პოსტს ვერაფრით ელევა. საქართველოს კალათბურთის ფედერაციის აღმასკომის ბოლო სხდომაზე მე მოვუწოდე ლიპარტელიანს, რომ პრეზიდენტობაზე ზედიზედ მეოთხედ კენჭი აღარ იყაროს. ლიპარტელიანმა მითხრა, რომ არავის ეკითხება, რას გააკეთებს. თუ აღმასკომის წევრის აზრს პრეზიდენტი ანგარიშს არ უწევს, მაშინ მე იქ რა მესაქმება, ამიტომ კრება და აღმასკომი იმ დღესვე დავტოვე. უნდა დავუბრუნდეთ ძველ წესს და პრეზიდენტი მხოლოდ ორი ვადით უნდა ავირჩიოთ. ცალკე მინდა ვთქვა საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელ იგორ კოკოშკოვზე. მისი ხელმძღვანელობით საქართველოს 20 თამაშს ვუყურე. კოკოშკოვმა ჩვენი ორი ცენტრი – ზაზა ფაჩულია და გიორგი შერმადინი, ერთდროულად ერთ შეხვედრაშიც კი არ დააყენა, რაც, ჩემი აზრით, დიდი შეცდომაა. არც ევრო-2011-ის ფინალურ ტურნირზე დაკავებული მე-12 ადგილია ჩვენი ნაკრებისთვის კარგი შედეგი. შემადგენლობიდან გამომდინარე, ჩვენს ნაკრებს ლიტვაში უკეთესი ადგილის დაკავება შეეძლო. ჩემი აზრით, საქართველოს ნაკრები კოკოშკოვზე ბევრად უფრო კარგ მწვრთნელს იმსახურებს. თქვენი, ჟურნალისტების დახმარებას დიდი მნიშვნელობა აქვს და ამიტომ გვჭირდებით. არაფერი ზედმეტი. დაწერეთ, რაც იცით და რასაც ფიქრობთ.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# შედეგები

## ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

მანჩესტერი-სიტი ........................ 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 31 | 25 | 2 | 4 | 71:33 | 77 |
| 2.სიტი | 31 | 19 | 8 | 4 | 57:27 | 65 |
| 3.ჩელსი | 31 | 17 | 7 | 7 | 61:33 | 58 |
| 4.ტოტენჰემი | 32 | 17 | 7 | 8 | 55:40 | 58 |
| 5.არსენალი | 31 | 16 | 8 | 7 | 61:34 | 56 |
| 6.ევერტონი | 31 | 13 | 13 | 5 | 49:37 | 52 |
| 7.ლივერპული | 32 | 13 | 10 | 9 | 59:40 | 49 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 32 | 13 | 5 | 14 | 42:43 | 44 |
| 9.სუონსი | 32 | 10 | 11 | 11 | 43:42 | 41 |
| 10.ფულემი | 31 | 10 | 9 | 12 | 43:47 | 39 |
| 11.საუთჰემპტონი | 32 | 9 | 10 | 13 | 46:53 | 37 |
| 12.ვესტ ჰემი | 31 | 10 | 7 | 14 | 35:44 | 37 |
| 13.ნიუკასლი | 32 | 10 | 6 | 16 | 42:56 | 36 |
| 14.ნორვიჩი | 32 | 7 | 14 | 11 | 30:49 | 35 |
| 15.სტოკი | 32 | 7 | 13 | 12 | 28:39 | 34 |
| 16.ასტონ ვილა | 32 | 8 | 9 | 15 | 35:59 | 33 |
| 17.სანდერლენდი | 32 | 7 | 10 | 15 | 34:45 | 31 |
| 18.უიგანი | 31 | 8 | 7 | 16 | 37:57 | 31 |
| 19.ქპრ | 32 | 4 | 12 | 16 | 27:52 | 24 |
| 20.რედინგი | 32 | 5 | 8 | 19 | 36:63 | 23 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

სევილია-ბილბაო ........................ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 30 | 25 | 3 | 2 | 95:33 | 78 |
| 2.რეალი | 30 | 20 | 5 | 5 | 77:29 | 65 |
| 3.ატლეტიკო | 30 | 19 | 5 | 6 | 51:25 | 62 |
| 4.სოსეიდადი | 30 | 14 | 9 | 7 | 55:39 | 51 |
| 5.ვალენსია | 30 | 14 | 7 | 9 | 44:42 | 49 |
| 6.მალაგა | 30 | 13 | 8 | 9 | 43:32 | 47 |
| 7.ბეტისი | 30 | 14 | 5 | 11 | 44:43 | 47 |
| 8.ხეტაფე | 30 | 12 | 8 | 10 | 38:44 | 44 |
| 9.რაიო | 30 | 14 | 2 | 14 | 40:49 | 44 |
| 10.სევილია | 30 | 12 | 5 | 13 | 45:42 | 41 |
| 11.ლევანტე | 30 | 11 | 7 | 12 | 35:46 | 40 |
| 12.ესპანიოლი | 30 | 10 | 9 | 11 | 37:39 | 39 |
| 13.ვალიადოლიდი | 30 | 9 | 8 | 13 | 38:43 | 35 |
| 14.ბილბაო | 30 | 10 | 5 | 15 | 34:53 | 35 |
| 15.ოსასუნა | 30 | 8 | 7 | 15 | 26:35 | 31 |
| 16.გრანადა | 30 | 7 | 7 | 16 | 28:45 | 28 |
| 17.სარაგოსა | 30 | 7 | 6 | 17 | 28:46 | 27 |
| 18.დეპორტივო | 30 | 6 | 8 | 16 | 38:64 | 26 |
| 19.სელტა | 30 | 6 | 6 | 18 | 29:45 | 24 |
| 20.მალიორკა | 30 | 6 | 6 | 18 | 32:63 | 24 |

**იტალია. სერია ა**

რომა-ლაციო ........................ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 31 | 22 | 5 | 4 | 61:20 | 71 |
| 2.ნაპოლი | 31 | 18 | 8 | 5 | 57:29 | 62 |
| 3.მილანი | 31 | 17 | 7 | 7 | 55:34 | 58 |
| 4.ფიორენტინა | 31 | 15 | 7 | 9 | 56:39 | 52 |
| 5.ლაციო | 31 | 15 | 6 | 10 | 40:37 | 51 |
| 6.ინტერი | 31 | 15 | 5 | 11 | 50:43 | 50 |
| 7.რომა | 31 | 14 | 6 | 11 | 61:52 | 48 |
| 8.კატანია | 31 | 13 | 7 | 11 | 40:37 | 46 |
| 9.უდინეზე | 31 | 11 | 12 | 8 | 41:39 | 45 |
| 10.პარმა | 31 | 10 | 9 | 12 | 39:39 | 39 |
| 11.კალიარი | 31 | 10 | 9 | 12 | 37:49 | 39 |
| 12.ბოლონია | 31 | 10 | 7 | 14 | 41:40 | 37 |
| 13.ატალანტა | 31 | 11 | 6 | 14 | 34:45 | 37 |
| 14.სამპდორია | 31 | 10 | 7 | 14 | 36:38 | 36 |
| 15.ტორინო | 31 | 8 | 13 | 10 | 39:41 | 36 |
| 16.კიევო | 31 | 10 | 5 | 16 | 32:48 | 35 |
| 17.სიენა | 31 | 8 | 9 | 14 | 31:42 | 27 |
| 18.ჯენოა | 31 | 6 | 9 | 16 | 31:49 | 27 |
| 19.პალერმო | 31 | 5 | 12 | 14 | 28:44 | 27 |
| 20.პესკარა | 31 | 6 | 3 | 21 | 22:63 | 21 |

**შენიშვნა:**
**სამპდორიას დაკლებული აქვს 1 ქულა**
**ტორინოს დაკლებული აქვს 1 ქულა**
**ატალანტას დაკლებული აქვს 2 ქულა**
**სიენას დაკლებული აქვს 6 ქულა**

**იტალია. სერია ბ**

პადოვა-ვარეზე ........................ 1:1

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ჰერტა-ბრაუნშვაიგი ........................ 3:0

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ლე ავრი-კანი ........................ 1:1

**ჰოლანდია. 1 დივიზიონი**

დორდრეხტი-კამბური ........................ 0:3

**პორტუგალია. ა ლიგა**

პორტუ-ბრაგა ........................ 3:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

მორდოვია-კრასნოდარი ........................ 0:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

იანინა-აეკი ........................ 2:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ბურსა-ბეშიქთაში ........................ 3:0

**ჩეხეთი-გამბრინუსლიგა**

იიჰლავა-ბრნო ........................ 2:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ვიძევი-პოლონია ........................ 3:2

**დანია. სუპერლიგა**

ოლბორგი-სილკებორგი ........................ 1:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

ნორჩიოპინგი-გეფლე ........................ 2:1
ესტერი-ჰელსინბორგი ........................ 1:1

**არგენტინა. პრიმერა დივიზიონი**

სარანდი-ესტუდიანტესი ........................ 1:0

## ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

ბოსტონი-კაროლინა ........................ 6:2
ტორონტო-რეინჯერსი ........................ 4:3
კოლორადო-კალგარი ........................ 1:3
ანაჰაიმი-ედმონტონი ........................ 2:1
ვანკუვერი-ფინიქსი ........................ 2:0

# საქართველო და ებრაელები — მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა გრძელდება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ზიას ნაწარმოების მიხედვით დადგმულ სპექტაკლ „აკრძალული თამაშების“ ჩვენება, რომლის რეჟისორი მანანა ბერიკაშვილია.

**გიორგი კალანდია, მუზეუმის დირექტორი:**

— ეს გამოფენა ქართულ-ებრაული კულტურის დღეების ფარგლებში საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა. მისი სახელწოდება „საქართველო და ებრაელები“. გამოფენა მიზნად ისახავს ქართულ-ებრაული კულტურული ურთიერთობების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების წარმოჩენას სასცენო ხელოვნების ყველა დარგში, თეატრში, მუსიკაში, კინოსა და ქორეოგრაფიაში. გამოფენაზე წარმოდგენილია 100-ზე მეტი უნიკალური ექსპონატი. ექსპოზიციაშია ცნობილი ებრაელი მხატვრების ნამუშევრები ქართულ თეატრსა და კინოში, მარქსების თეატრის უნიკალური ფოტოქრონიკა. ასევე გამოიფინა მუზეუმის კოლექციაში არსებული გამოჩენილი ებრაელი საზოგადო მოღვაწეების მაია პლისეცკაიას, ჯოკომო მეიერბერის, სერგეი ეიზენშტეინისა და სხვათა პირადი ნივთები და მემორიალური ფოტოები. დამეთანხმებით, რომ ბიბლიური მეფე დავითი ქართველებისთვის საოცრად ახლობელია. ეს გამოფენა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქართულ-ებრაული ურთიერთობები ღრმაა და ამიტომაც არის ეს ექსპოზიცია მნიშვნელოვანი. აქ წარმოდგენილია ამ ორი ერის ურთიერთობები უძველესი დროიდან დღემდე. ასეთი მასშტაბური გამოფენა ქართველებსა და ებრაელებზე ჯერ არ ჩატარებულა. საქართველოში მცხოვრები ებრაელებისთვის იმით არის ეს გამოფენა საინტერესო, რომ ბევრ მნიშვნელოვან ფაქტს აღმოაჩენენ. კიდევ ერთხელ დარწმუნდებიან, თუ რამდენად ღრმაა ქართულ-ებრაული კულტურული ურთიერთობები. მოგეხსენებათ, ჩვენთვისაც საოცრად ძვირფასია წმინდა მიწა და ამიტომაც არის, რომ ქართველებისა და ებრაელების მეგობრობა საუკუნეებია გრძელდება.

**გურამ ოდიშარია, კულტურის მინისტრი:**

— ქართველებსა და ებრაელებს ბევრი რამ გვაქვს საერთო. მარტო ის 26-საუკუნოვანი მეგობრობაც საკმარისია. მართალია, დღეს ბევრი ებრაელი დაუბრუნდა თავის სამშობლოს, მაგრამ მათ მეორე სამშობლო, საქართველო, ისევ ძალიან ენატრებათ. მათ ორი სამშობლო აქვთ — საქართველო და ისრაელი. ჩვენ ჩვენი წიგნებით, მხატვრობით, დრამატურგიით, მუსიკით ვეფერებით ერთმანეთს და მჯერა, რომ ეს კიდევ დიდხანს გაგრძელდება. ეს სულების გადასმაა ერთმანეთის სხეულში, რომელიც დღეს ასე ძალიან გვჭირდება. მჯერა, კიდევ ბევრი ასეთი დღე გვექნება, რომლებიც სითბოთი და სიყვარულით იქნება გამთბარი.

**მანანა ბერიკაშვილი, კულტურის მინისტრის მოადგილე:**

— ეს ნამდვილად არ არის პირველი გამოფენა, რომელიც ქართველი და ებრაელი ხალხების საუკუნოვან მეგობრობას ეძღვნება, თუმცა ეს გამოფენა შთამბეჭდავია თავისი მასშტაბურობითა და მრავალფეროვნებით. ძალიან მნიშვნელოვანი ექსპოზიციაა, უნიკალური მასალებია დამთვალიერებლის სამსჯავროზე გამოტანილი. თითოეული ექსპონატი კიდევ უფრო მძაფრად შეგვაგრძნებინებს, თუ როგორი თბილი დამოკიდებულება აქვთ ამ ორი ერის ხალხებს ერთმანეთში. ქართულ თეატრში უდიდესი ადგილი უკავია ებრაულ დრამატურგიას, მარტო „ურიელ აკოსტა“ რომ ავიღოთ, ამითაც უკვე ყველაფერია ნათქვამი. დიდი მადლობა გიორგი კალანდიას ასეთი საინტერესო გამოფენის ორგანიზებისთვის.



**გივი შაჰნაზარი, პოეტი:**

— ნამდვილად არ ველოდი, თუ ასეთი საინტერესო გამოფენა დამხვდებოდა. აქ გამოიფინა უნიკალური ექსპონატები და, რაც მთავარია, ჩვენ მოვაწყვეთ ახალგაზრდა პოეტის დავით აჯიაშვილის ლექსების კრებულის პრეზენტაცია. მიუხედავად იმისა, რომ ის საქართველოში არ იმყოფება, მის ლექსებში უდიდესი მონატრება და სიყვარული იგრძნობა. საოცარი ლექსები აქვს, შეუძლებელია, გულგრილი დაგტოვოს მისმა შემოქმედებამ. საქართველო ბევრი ებრაელისთვის არის სამშობლო და ეს ლოგიკურია. ბევრი ებრაელი, რომელიც დღეს უკვე ისრაელში ცხოვრობს, წლების განმავლობაში საქართველოში მოღვაწეობდა, თავს მაინც ქართველად მიიჩნევს და ეს ჩვენთვის ნამდვილად საამაყოა.

**როინ მეტრეველი, ისტორიკოსი:**

— ეს გამოფენა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია ქართველი და ებრაელი ხალხის ცხოვრებასა და ურთიერთობაში. ეს ყველაფერი კი დაიწყო 26 საუკუნის წინ და დღემდე წარმატებით გრძელდება. ეს სითბო და სიყვარული დღემდე არ განელებულა. ეს ორი ერი ყოველთვის ერთად მოდიოდა და ასე მოაღწია დღემდე. მართალია, ებრაელების დიდი ნაწილი წავიდა საცხოვრებლად ისრაელში, მაგრამ მათ არ გაუწყვეტიათ კავშირი საქართველოსთან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ისინი პატივს სცემენ საქართველოს. ჩვენი ქვეყანა მათი მეორე სამშობლოა და, ვისაც როგორ შეუძლია, ისე გამოხატავს თავის სიყვარულს. ეს პირველი ნაბიჯია და არ უნდა გავჩერდეთ.

საქართველო-ისრაელის ბიზნესპალატის პრეზიდენტმა იციკ მოშემ საქართველოში ვიზიტად მყოფ ისრაელელი ბიზნესმენების დელეგაციას სიტყვით მიმართა. 8 აპრილს ისრაელი და მსოფლიო ებრაელობა ჰოლოკოსტის შედეგად დაღუპულთა ხსოვნას პატივს მიაგებენ, იციკ მოშემ კი თავის გამოსვლაში სწორედ ამ ტრაგიკულ მოვლენაზე გაამახვილა ყურადღება. მან საქართველოსა და ისრაელის კულტურის სამინისტროებს კონკრეტული წინადადებებითაც მიმართა.

— ისრაელის ბიზნესმენები, რომლებიც უცხოეთში მოღვაწეობენ, ძლიერი ისრაელის ამაყი წარმომადგენლები არიან. ისრაელის აქტიურობა უცხოეთში ნიშნავს ძლიერ ისრაელს და ეს არის ერთადერთი ნიშანი ჰოლოკოსტზე გამარჯვებისა. ბიზნესმენებს მოაქვთ სიკეთე, ინიციატივა, ინვესტიციები და ამით აშენებენ ახალ ხიდებს ქვეყნებს შორის. ბიზნესსაქმიანობა მნიშვნელოვანია ჩვენთვის, განსაკუთრებით მეგობარ ქვეყანა საქართველოში. ვუთხრათ ამ ერს, რომ ჩვენმა მეგობრებმა მსოფლიოში არ დაივიწყონ კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის ლაქა, არ დაივიწყონ 6 მილიონი ებრაელის ძახილი სიკვდილის ბანაკებში გადარჩენისთვის — „შმა ისრაელ“. მსოფლიომ უნდა მოახდინოს რეაგირება ისრაელის წინააღმდეგ არსებულ ახალ საფრთხეებზე. ისრაელი დღესაც წარმოადგენს ფრონტის წინა ხაზს და ცოცხალ ღობეს მსოფლიოს დასაცავად იმ მკვლელი ნაწილისგან, რომელიც ხვალ მსოფლიოსთვის და, პირველ რიგში, ევროპისთვის კატასტროფად იქცევა. ჩვენ არ გვაქვს უფლება, დავივიწყოთ! ჩვენ არ გვაქვს უფლებამოსილება, ვაპატიოთ! ჩვენ ვალდებული ვართ, სიკეთე მოვუტანოთ სამყაროს ჩვენი ქმედებებით, საქმიანობით და ავაშენოთ მეგობრობის მყარი ხიდები. დღეს უნდა გვახსოვდეს 6 მილიონი ებრაელი. უნდა გვახსოვდეს ჰოლოკოსტის დღე. უნდა გვახსოვდეს, რომ მათი „ცოდვა“ იყო ის, რომ ებრაელებად დაიბადნენ, — განაცხადა იციკ მოშემ.



მან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივით მიმართა:

— თბილისში, სახელმწიფო მუზეუმში შეიქმნას „ხასიდე უმოთ აოლამის“ კუთხე, სადაც ნებისმიერი ქართველი მოსწავლე თუ ისრაელელი ტურისტი დაინახავს ქართულ-ებრაული ურთიერთობების უნიკალურობას. ეს იქნება ნამდვილი ხიდი, რომელიც გაზრდის საქართველოსა და ქართველ ებრაელთა კავშირს საქართველო-ისრაელისა და მსოფლიო ებრაელობის მომავალ ურთიერთობებში. უნდა გვახსოვდეს ის ქართველებიც, რომლებმაც მეორე მსოფლიო ომის დროს და მანამდეც ებრაელები სიცოცხლეს გადაარჩინეს. საუბარია გრიგოლ ფერაძეზე, საბა კლდიაშვილსა და მიხეილ კედიაზე. თეოლოგმა და სასულიერო პირმა გრიგოლ ფერაძემ 1942 წლის დეკემბერში ოსვენციმის ტყვეთა ბანაკში ერთ-ერთი მრავალშვილიანი ებრაელის გადარჩენის მიზნით მისი „დანაშაული“ საკუთარ თავზე აიღო და ამ უკანასკნელის გადასარჩენად სიცოცხლე გაწირა. რაც შეხება ალექსანდრე (საბა) კლდიაშვილს, მან 1905 წელს დარბევას გადაარჩინა ოდესელ ებრაელთა ოჯახი, რის გამოც იგი შავრაზმელებმა მოკლეს. მიხეილ კედია კი „ქართველი შინდლერის“ სახელითაა ცნობილი. მან მეორე მსოფლიო ომის დროს საფრანგეთის ოკუპაციის დროს საქართველოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ყოფილ მოადგილე იოსებ ელიგულაშვილთან ერთად სიკვდილს უამრავი ქართველი და არამარტო ქართველი ებრაელი გადაარჩინა. მე ასევე ინიციატივით მივმართავ ისრაელის კულტურის სამინისტროს, რომ იერუსალიმში მდებარე ჰოლოკოსტის მუზეუმში საპატიო ადგილი დაეთმოთ იმ ქართველებს, რომლებმაც ებრაელების სიცოცხლე გადაარჩინეს, — განაცხადა საქართველო-ისრაელის ბიზნესპალატის პრეზიდენტმა იციკ მოშემ.

## სპორტი

## აბიდალი მეორედ დაბრუნდა

ლა ლიგის 30-ე ტურში, „მალიორკასთან“ მატჩის (5:0) 70-ე წუთზე ერიკ აბიდალმა ჟერარდ პიკე შეცვალა. დარჩენილი 20 წუთი ფრანგმა უპრობლემოდ ითამაშა. 33 წლის ფეხბურთელმა კიდევ ერთხელ დაამარცხა ვერაგი სენი და მოედანს ჯანმრთელი დაუბრუნდა.

რა თქმა უნდა, „კამპ ნოუზე“ შეკრებილი გულშემატკივრები მხურვალე ტაშით ეგებებოდნენ ფრანგს, რომელმაც გმირობა ჩაიდინა.

წელიწადზე მეტი გავიდა მას მერე, რაც „ბარსელონას“ ფრანგმა მცველმა ფეხბურთი ითამაშა. შემდეგ ერიკს ღვიძლი გადაუნერგეს, თუმცა მაინც შეძლო ფეხბურთში დაბრუნება.

მატჩის შემდეგ აბიდალმა მაისურზე წარწერა გამოაჩინა, რომელშიც მადლობას თავის ბიძაშვილს უხდის. სწორედ მას, ვისი ღვიძლიც გადაუნერგეს ფეხბურთელს.

ერიკ აბიდალი:

— ეს იყო განსაკუთრებული საღამო ჩემთვის. წელიწადზე მეტია, ფეხბურთი არ მითამაშია. მადლობა ჩემს ბიძაშვილს, რომლის გარეშეც მე აქ ვერ ვიქნებოდი. უნიკალური მომენტია, მინდა გამოვიყენო და მადლობა გადავუხადო ყველა მხარდამჭერს, ყველა ახლობელს, იმ ხალხს, ვინც საავადმყოფოში გავიცანი, თუმცა, პირველ რიგში, მადლობა ჩემს ბიძაშვილს.

მ. ჟ.

## ხატია დეკანოიძე: „სასკოლო სახელმძღვანელოები სახელმწიფო ბიუჯეტს ძალიან ძვირი დაუჯდება“

განათლების ყოფილი მინისტრის ხატია დეკანოიძის განცხადებით, უფასო სასკოლო სახელმძღვანელოები სახელმწიფო ბიუჯეტს ძალიან ძვირი დაუჯდება.

„პირველი რადიოს“ პრესკლუბში“ გამართულ პრესკონფერენციაზე დეკანოიძემ განათლების მინისტრის გიორგი მარგველაშვილს ამ ნაბიჯს პოპულისტური უწოდა და გამომცემელთა უფლებების დარღვევაზე ისუაბრა.

მისი თქმით, უფასო სახელმძღვანელოები ცუდი არ არის, თუმცა ამან გამომცემლები მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო.

როგორც დეკანოიძე აღნიშნავს, გამომცემლები, რომლებიც სამინისტროს ამ ინიციატივით დაზარალდნენ, სასამართლოში სარჩელს შეიტანენ.

„სამინისტროს ეს ინიციატივა იმოქმედებს წიგნის ხარისხზე და ის სახელმწიფოს ბიუჯეტს საკმაოდ ძვირი დაუჯდება. წიგნი, რომელიც დარჩება სკოლაში, რა თქმა უნდა, გაფუჭდება და 2 წლის შემდეგ ის გამოუსადეგარი იქნება. წინა მთავრობაც ზრუნავდა ბავშვებზე და სოციალურად დაუცველ მოსწავლეებს წიგნებს უფასოდ ურიგებდა. ვიფქრობ, ჩემი და სოციალურად დაუცველი ოჯახის შვილი ერთნაირი შეღავათით არ უნდა სარგებლობდეს“, — აღნიშნა განათლების ყოფილმა მინისტრმა და დასძინა, რომ საინტერესოა, რა კრიტერიუმებით შეირჩა ოთხი სტამბა, რომელსაც სამინისტრო სახელმძღვანელოების დაბეჭდვას დაუკვეთავს

მედიანიუსი

## რეგულარული სეზონი დასრულდა

**ხარები — ლელო 18:13**

ლელოს გამარჯვების შემთხვევაში კიდევ ჰქონდა შანსი რეგულარული სეზონი პირველი ადგილით დაესრულებინა და ბათუმელთა იმედად ყოფილიყვნენ, მაგრამ მოგებული პირველი ტაიმის შემდეგ უპირატესობა გაანიავეს და, საბოლოოდ, მეორე ადგილს დასჯერდნენ.

ამ გამარჯვებას არც რუსთაველთათვის მოუტანია მნიშვნელოვანი ცვლილება — ქვემო-ქართლელებმა სეზონი მერვე ადგილით დაასრულეს.

**არმაზი — ჯიქები 20:31**

ეს მატჩი რეპეტიციად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან გუნდებმა 3-4 ადგილები დაიკავეს და პლეი ოფში ერთმანეთს შეხვდებიან.

რეპეტიცია კი ჯიქების გამარჯვებით დასრულდა.

**ლოკომოტივი — აკადემია 20:5**

„ლოკომოტივს“ შერჩენილი ჰქონდა შანსი ქუთაისში თამაში აეცილებია, მაგრამ ეს მარტო მათზე არ იყო დამოკიდებული. რკინიგზელებმა თავისი საქმე კი გააკეთეს, მაგრამ ჯიქებმა არ დაასრულებინეს.

**აია — ყოჩები 63:5**

ანგარიშიდანაც ჩანს, რომ მასპინძლებმა იოლად იმარჯვეს. ქუთაისლებმა 11 ლელო გაუტანეს მეტოქეს და პრემიალური ქულაც მიითვალეს, თუმცა მესამე ადგილს მაინც ვერ ასცდნენ.

**ბათუმი — არმია 0:80**

არმიელებს რეგულარულ სეზონში პირველი ადგილის დასაკავებლად პრემიალური ქულით წაგებაც აწყობდათ, მაგრამ მეტოქეს შავი დღე აყარეს და გაანადგურეს.

ამრიგად, პლეი ოფში 13 აპრილს „ჯიქები“ და „არმაზი“ გაარკვევენ ურთიერთობას, ხოლო 14 აპრილს „აია“ ქუთაისში „ლოკომოტივს“ დაუხვდება.

მ. ჟ.

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არმია | 18 | 16 | 0 | 2 | 608:251 | 75 |
| 2.ლელო | 18 | 15 | 0 | 3 | 470:248 | 70 |
| 3.აია | 18 | 13 | 2 | 3 | 555:245 | 64 |
| 4.ჯიქები | 18 | 10 | 0 | 8 | 351:273 | 47 |
| 5.არმაზი | 18 | 10 | 0 | 8 | 341:325 | 44 |
| 6.ლოკომოტივი | 18 | 8 | 2 | 8 | 367:344 | 42 |
| 7.ბათუმი | 18 | 6 | 0 | 12 | 324:444 | 30 |
| 8.ხარები | 18 | 5 | 0 | 13 | 254:393 | 26 |
| 9.აკადემია | 18 | 4 | 0 | 14 | 191:544 | 18 |
| 10.ყოჩები | 18 | 1 | 0 | 17 | 231:625 | 7 |

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. იაპონიაში განთავსებული მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ატომური ელექტროსადგური; 2. მე-17 საუკუნის ქართველი დიპლომატი ქალი; 3. ჩინური ფინიკი; 4. ჰიპერმარკეტი თბილისში; 5. შევარდენისნაირთა ოჯახის მტაცებელი ფრინველი; 10. სასიმღერო ხმა მრავალხმიან ქართულ ხალხურ სიმღერაში; 11. დასავლეთ საქართველოში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის სუფრის ჯიში; 12. სამხედრო გემების დიდი შენაერთი; 15. წყლის საათი; 16. კუნთების კრუნჩხვითი შეკუმშვა; 17. გიორგი კობახიძის მოკლემეტრაჟიანი კინოკომედია; 20. ყოველკვირეული ქართული ჟურნალი.

**თარაზულად:** 6. მონასტერი ბოლნისის რაიონში; 7. მდინარე ნიუ იორკში; 8. აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი; 9. კომბინაცია პრეფერანსში; 13. ხელოვნების ერთ-ერთი დარგი; 14. პატიოსნება, სინდისი; 18. ხილის წვენებით, კარტოფილის ფქვილითა და შაქრით მომზადებული ტკბილეული; 19. აკვიატებული შიში; 21. მზის სისტემის პლანეტა; 22. რეგიონი კახეთში; 23. ღვინის დუქანი ძველ თბილისში; 24. ირანის ძველი სახელწოდება.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. მარჩვიბი; 2. ონაგატა; 3. მძივი; 4. ერქვანი; 5. „მეეზოვე“; 10. სოლოლაკი; 11. თაყაიშვილი; 12. პროექტი; 15. პანიტერია; 16. ჩხოუში; 17. ჩაფხუტი; 20. დრაჟე.

**თარაზულად:** 6. საკანდელიძე; 7. დროზერა; 8. არიზონა; 9. „ლინატე“; 13. „ლელო“; 14. ჰამერი; 18. პერინიონი; 19. კანიო; 21. გრილი; 22. ფიზიკა; 23. ციხისძირი; 24. ტრაილერი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბაღდათი; 2. ამნისტია; 3. ანჩისხატი; 4. ავენიდა; 5. ბაკხანალია; 10. შაბათი; 11. საქსაული; 12. ბაიყუში; 13. ფრიკასე; 16. ბანდერასი; 17. ბოლერონი; 19. ავტობანი; 21. „ულისე“; 23. ქანდა.

**თარაზულად:** 6. კატამარანი; 7. გვარდია; 8. ჩავესი; 9. ესთეტიკა; 14. თრიალეთი; 15. ტრიპიტაკა; 18. „სილვა“; 20. კოფეინი; 22. ტექსელი; 24. ალონსო; 25. ტანგენსი; 26. სედანი.

# სომხეთში პრეზიდენტ სერჟ სარგსიანის ინაუგურაცია გაიმართა

სომხეთში მეორე ვადით არჩეული პრეზიდენტის, სერჟ სარგსიანის ინაუგურაცია გაიმართა. ამის შესახებ სომხური მედია იტყობინება.

პრეზიდენტის ინაუგურაციის საზეიმო ცერემონია კარენ დემირჩიანის სახელობის საკონცერტო კომპლექსში გაიმართა.

ცერემონიის დასრულების შემდეგ სერჟ სარგსიანი ერაბლურის პანთეონს ეწვევა და სომხეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრ ვაზგენ სარქისიანისა და სხვა ეროვნული გმირების საფლავებს გვირგვინით შეამკობს.

ამის შემდეგ სერჟ სარგსიანი პრეზიდენტის რეზიდენციაში დაბრუნდება, სადაც სამხედრო აღლუმი გაიმართება.

სომხეთის პრეზიდენტის ინაუგურაციას 2 ათასი მიწვეული სტუმარი დაესწრო, მათ შორის საქართველოდანაც.

„ეხო კავკაზას“ ცნობით, პრეზიდენტის ინაუგურაციის ცერემონიაში მონაწილეობას არ იღებენ ოპოზიციური პარტიები, ვინაიდან ისინი აცხადებენ, რომ მოხდა არჩევნების შედეგების გაყალბება.

18 თებერვლის საპრეზიდენტო არჩევნებში სერჟ სარგსიანი 58,64%-ით პირველ ადგილზე გავიდა. მეორე ადგილზე გავიდა რაფი ოვანისიანი 36,74%-ით. ოვანისიანი არჩევნების შედეგებს არ აღიარებს და ერევანის თავისუფლების მოედანზე „ალტერნატიული“ ინაუგურაციის ჩატარებას გეგმავს.

სერჟ სარგსიანი სომხეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრია. მისი ოფიციალური დანიშვნა 2007 წლის 4 აპრილს მოხდა; მანამდე ის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემრულებლის თანამდებობაზე 2007 წლის 26 მარტიდან მუშაობდა. პრემიერ-მინისტრად დანიშვნამდე, სარგსიანი სომხეთის თავდაცვის მინისტრი და ეროვნული უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე იყო. მან გაიმარჯვა 2008 წლის თებერვლის საპრეზიდენტო არჩევნებში სომხეთის რესპუბლიკური პარტიის მხარდაჭერით, რომლის ხელმძღვანელი თვითონაა.

სარგსიანი დაიბადა 1954 წლის 30 ივნისს სტეფანაკერტში, მთიანი ყარაბაღის ავტონომიური რესპუბლიკა, აზერბაიჯანის სსრ. 1971 წელს ჩაირიცხა ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1979 წელს სწავლა დაასრულა. 1971-1972 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიაში. 1983 წელს დაქორწინდა რიტა დადაიანზე. ჰყავს ორი ქალიშვილი, ანუში და სატენიკი და შვილიშვილი, მარიამი. სერჯ სარგსიანი არის სომხეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი. მშობლიური ენის გარდა სრულყოფილად ფლობს რუსულ ენას.

სარგსიანის კარიერა იწყება ერევნის ელექტრო-ხელსაწყოების ქარხნიდან, სადაც 1975 წლიდან ზეინკლად მუშაობდა. 1979 წელს აირჩიეს სტეფანაკერტის კომუნისტური პარტიის ახალგაზრდული ასოციაციის კომიტეტის თავმჯდომარედ. შემდეგ ამავე პარტის ახალგაზრდული ასოციაციის მეორე მდივნად, პირველ მდივნად. ამის შემდეგ სარგსიანი სტეფანაკერტის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდის სამმართველოს უფროსი ხდება. საბოლოოდ კი სერჟი მთიანი ყარაბაღის რეგიონული კომიტეტის პირველი მდივნის, ჰენრიკ პოღოსიანის თანაშემწე ხდება.

მთიან ყარაბაღში სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის არსებულ დაპირისპირების დროს, სარგსიანი მთიანი ყარაბაღის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარედ და შემდგომ სომხეთის უმაღლესი საბჭოს წევრად აირჩიეს. მისი ორგანიზებულია რამდენიმე ბრძოლა მთიანი ყარაბაღის ომში და ითვლება სომხეთის შეიარაღებული ძალების დამფუძნებლად.

1993 წელს გახდა სომხეთის თავდაცვის მინისტრი. 1995 სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტის ხელმძღვანელია, ხოლო 1996 ეროვნული უსაფრთხოების მინისტრი გახდა. 1999 წელს რობერტ ქოჩარიანის ადმინისტრაციაში მუშაობდა, ამის შემდეგ გახდა ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი, თავდაცვის მინისტრი და 2007 წლიდან პრემიერ მინისტრი.

სარგსიანი, პრეზიდენტ ქოჩარიანის მხარდაჭერით, 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ სომხეთის პრეზიდენტობის ძლიერ პრეტედენტად განიხილებოდა. არჩევნების ოფიციალური შედეგების მიხედვით სარგსიანმა მიღებულ ხმათა 53%-ით, მთავარი მოწინააღმდეგე ლევონ-ტერ პეტროსიანი დიდი უპირატესობით დაამარცხა. შედეგების გამოცხადებამ პეტროსიანის მომხრეთა უკმაყოფილება გამოიწვია. მალე სომხეთის დედაქალაქი არეულობამ მოიცვა. პირველ მარტს ხელისუფლებამ ძალადობრივად დაშალა. დაიღუპა 10 ადამიანი (8 მომიტინგე, 2 პოლიციის თანამშრომელი). ქვეყანაში გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, რომელიც 20 დღე გაგრძელდა და 2012 20 მარტს გაუქმდა.



სერჟ სარგსიანმა საპრეზიდენტო ფიცი 2008 წლის 9 აპრილს, ოპერის შენობაში დადო. თავის მიმართვაში ის აქციებსაც შეეხო და განაცხადა: "ყველას მოვუწოდებ, ერთად ვეძიოთ შერიგების გზები, სომხეთის მომავლისა და განვითარებისათვის".

ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა პრემიერ მინისტრად ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ტიგრან სარქისიანი დანიშნა.

სარგსიანმა გააგრძელა 1915 წლის სომხების გენოციდის საერთაშორისო აღიარებისთვის ბრძოლა, ამავდროულად დაიწყო ზრუნვა თურქეთთან ურთიერთობის ნორმალიზებისთვის.

## ჩრდილოეთი კორეა სამხრეთს მოუწოდებს, ქვეყნიდან უცხოელების ევაკუაცია მოახდინოს

ჩრდილოეთ კორეამ, სამხრეთ კორეა გააფრთხილა ომის შემთხვევაში ქვეყნიდან უცხოელების ევაკუაცია მოახდინოს.

ამავდროულად, ჩრდილოეთ კორეა მორიგი ბირთვული ცდისთვის ემზადება, რაც პირდაპირ საფრთხეს უქმნის იაპონიას, ამერიკას და სამხრეთ კორეას.



თავის მხრივ, იაპონიამ ტოკიოში სამ ადგილას თავდაცვითი ანტისარაკეტო ბატარეები განალაგა, რათა დედაქალაქის 30 მილიონიანი მოსახლეობის უსაფრთხოება დაიცვას. გასულ კვირას კი წყნარ ოკეანეში ორი სამხედრო გემი სრულ მზადყოფნაში მოიყვანა, რათა ჩრდილოეთ კორეას მხრიდან ნებისმიერ სარაკეტო იერიშს მომზადებული შეხვდნენ.

აშშ-მ კი რაკეტსაწინააღმდეგო სისტემები უკვე განალაგა ორ სამხედრო ბაზაზე.

შეგახსენებთ, რომ ჩრდილოეთ კორეა ოპონენტებს ბირთვული იარაღის გამოყენებით ემუქრება.

როგორც ტოკიოში მყოფი „ბი-ბი-სის“ კორესპონდენტი აღნიშნავს, იაპონიაში არ სჯერათ რომ ჩრდილოეთ კორეა მართლა არის მზად თავდასხმისათვის. თუმცა, ამ ქვეყნებს ანტისარაკეტო სისტემები, საკუთარი მოსახლეობის დასაცავად, მობილიზებული აქვთ.

შეგახსენებთ, რომ ფხენიანი 1951 წელს შეიჭრა სამხრეთ კორეაში შეერთების საბაბით, რამაც გამოიწვია სამწლიანი ომი. შეიქმნა დემილიტარიზებული ბუფერული ზონა გაეროს მეთვალყურეობის ქვეშ. ჩრდილოეთ კორეა არ ცნობს ამ ზონის არსებობას და პერიოდულად აქვს მცდელობები ორი კორეის გაერთიანებისა სამხედრო გზით. 1991 წლიდან გაეროს წევრია.

## მარგარეტ ტეტჩერს სამხედრო პატივით დაკრძალავენ



დიდი ბრიტანეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრს მარგარეტ ტეტჩერს სამხედრო პატივით დაკრძალავენ.

ბი-ბი-სის ცნობით, ტეტჩერს მომავალ კვირას, ლონდონში წმინდა პავლეს ტაძარში დაკრძალავენ.

დაკრძალვის სამგლოვიარო ცერემონია პარლამენტის შენობიდან წმინდა პავლეს ტაძრისკენ მსვლელობით გაიმართება.

მარგარეტ ტეტჩერისათვის საზეიმო დაკრძალვის მოწყობის გადაწყვეტილება დიდი ბრიტანეთის დედოფალთან ელისაბედ მეორესთან შეთანხმებით მოხდა.

მარგარეტ ტეტჩერი გუშინ ლონდონის ერთ-ერთ სასტუმროში 87 წლის ასაკში, ინსულტით გარდაიცვალა.

შეგახსენებთ, რომ ბარონესა მარგარეტ ჰილდა ტეტჩერი გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობას იკავებდა 1979-90 წლებში. იგი „რკინის ლედის“ ზედმეტსახელითაა ცნობილი. ტეტჩერი ბრიტანეთის კონსერვატიული პარტიის ლიდერი იყო. მისი პოლიტიკა და ეკონომიკური იდეოლოგია შემდგომში ცნობილი გახდა, როგორც ტეტჩერიზმი. 1990 წელს დატოვა პარტიის ლიდერის და შესაბამისად პრემიერ-მინისტრის პოსტი.

ტეტჩერის პრემიერობა ყველაზე ხანგრძლივი იყო მე-20 საუკუნეში. გადადგომის შემდეგ დაწერა წიგნი „სახელმწიფოს მართვის ხელოვნება“. 1992 წლის ივნისში ბარონესის ტიტული მიანიჭეს.

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე მარგარეტ ტეტჩერს იხსენებს. ტექსტს ყოფილი პრეზიდენტის პრესსამსახური ავრცელებს. „მარგარეტ ტეტჩერი იყო 20-ე საუკუნის ერთ-ერთი გამოჩენილი პოლიტიკოსი. ბედნიერება მქონდა რამდენჯერმე შევხვედროდი მას. აღასანიშნავია, დიდი ბრიტანეთის საშუამავლო როლი საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის დარეგულირებაში, საერთოდ ცივი ომის დასრულებაში. სწორედ „რკინის ლედის“ პოზიცია გახლდათ გადამწყვეტი ამ პროცესების დაჩქარებაში.

მახსენდება ჩემი პირველი ვიზიტი ლონდონში საბჭოთა კავშირის საგარეო მინისტრის რანგში.

მოლაპარაკებების შემდეგ ქალბატონმა ტეტჩერმა შემომთავაზა მეორე დღეს დავსწრებოდი მის გამოსვლას პარლამენტში. მე, რა თქმა უნდა მივიღე ეს მოულოდნელი მიპატიჟება, რადგან ეს სტუმრობა პროტოკოლით გათვალისწინებული არ ყოფილა.

შეხვედრა მიმდინარეობდა „კითხვა-პასუხის“ ფორმატში.

ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მისმა უნარმა ვრცელი აზრი სულ რამდენიმე წინადადებაში გამოეხატა და ამით საკითხი ამოეწურა“, — ნათქვამია განცხადების ტექსტში რომელიც „ივერონს“ შევარდნაძის პრესსამსახურიდან მიაწოდეს.

## სერბეთში 60 წლის მამაკაცმა 13 ადამიანი დახოცა



სერბეთიდან დაახლოებით 50 კმ-ს დაშორებით უცნობმა მამაკაცმა 13 ადამიანი მოკლა. აღნიშნულთან დაკავშირებით ადგილობრივ მედიაზე დაყრდნობით „ბიბისი“ იუწყება.

გავრცელებული ინფორმაციით, დაღუპულთა შორის ექვსი მამაკაცი, ექვსი ქალი და ერთიც ბავშვია. შეიარაღებული თავდასხმის შემდეგ, უცნობმა საკუთარი ცოლის მოკვლაც სცადა, თუმცა ქალი გადარჩა.

მომხდართან დაკავშირებით მიმდინარეობს მოკვლევა. გამოძიებიდან გამომდინარე დამნაშავის ზუსტი ვინაობა არ სახელდება. ცნობილია, მხოლოდ ასაკი. უცნობი მამაკაცი დაახლოებით 60 წლის არის. დანაშაულის ჩადენის მოტივი ჯერ-ჯერობით დაუდგენელია.

როგორც საავადმყოფოს თანამშრომლები აცხადებენ, იგი მეუღლის მოკვლას და თვითმკვლელობასაც შეეაცადა. ორივე მათგანი მძიმე მდგომარეობაში იმყოფება.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

## სამგლოვიარო განცხადებები

ჰეპატოლოგიური კლინიკა ჰეპას კოლექტივი სამძიმარს უცხადებს ბ-ნ სულხანსა და ლაშა პაპაშვილებს მამის

**ანზორ პაპაშვილის**

გარდაცვალების გამო.

ღრმა მწუხარებით ვიუწყებით და ვუთანაგრძნობთ ოჯახს ჰუმანური, კეთილშობილი, ინტელიგენტი პიროვნების

**მინდია უჩანეიშვილის**

გარდაცვალებას.

*კუსუნა მზარელუა*

ვახტანგ, გია და მამუკა ჯანაშვილები შვილებით, შვილიშვილებით, ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**აკაკი გრიგოლის ძე გობრონიძე**

პანაშვიდი: 10 აპრილს, 17 საათზე.
დაკრძალვა: 11 აპრილს, 14 საათზე.
პანაშვიდი და გამოსვენება ფურცელაძის ქუჩაზე მდებარე პატარა სამების ეკლესიიდან.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

**ოთხშაბათი 10 აპრილი**

06.30 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა“ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.10 „მოამბე“ 11.00 „სამოთხის ვაშლები“ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი“ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე“ (პ/ე) 15.00 ტ/სერ „როსელა“ 17.00 დ/ფ „სახელგანთქმული თვითმფრინავები“ 18.00 „პეპე და მეგობრები“ 19.05 ტ/სერ „დავქორწინდეთ“ 21.00 ტ/სერ „როსელა“ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან“ 22.40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. განმეორებითი მეოთხედფინალი: (პ/რ) შესვენებისას: „ვიქტორინა“ 00.30 მხ/ფ „პოსეიდონი“ (კ. რასელი) 02.30 ტ/სერ „ნაფიცი მსაჯულები“ (ტიტ.)

08.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ“ რუსულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00 „ბრიფინგის დრო“ 11.00 დ/ფ „ფერების სამყარო“ 2 (სამშ. გ/ჩვ) 14.00 დ/ფ „ანატოლიის გარგარი“ 16.00 დ/ფ „ფერების სამყარო“ 3 ნაწ. 19.00 ტ/სერ „საიდუმლო გამოძიებანი“ 12 სერ. 00.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ“ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „დაუვიწყარი“ 6 სერ. 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი“ 13.00 სერ. „24 – 6“ 14.40 ღამის შოუ (გ/ჩ) 16.00 სერ. „დამალული სიმართლე“ 17.50 სერ. „თილისმა“ 18.50 სერ. „აკრძალული სიყვარული“ 2 სერ. 21.00 სერ. „მარტოსული“ 22.00 ფულთან თამაში 23.00 მხ/ფ „კასანდრას ოცნება“ (კ.ფარელი) 01.15 მხ/ფ „კეთილი ჯონი“ (ა.საიფრედი) (ტიტ.) 03.00 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია“ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი“ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე“ 17.00 სერ. „ვნების უფსკრული“ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი“ 20.05 სერ „ერთგულების ძალა“ 22.00 ნანუკას შოუ. 22.40 ჩემპიონთა ლიგა. 00.50 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.25 მხ/ფ „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი“ 10.00, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 ჩვენი ფონდი 11.00 ქრისტიანული ხელოვნება 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.05 ამინდი 12.10 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.15 დროის ჩანაწერები 13.25 ქრისტიანული სწავლება 13.40 კონცერტი - ჯემალ სეფაშვილი II ნაწ. 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 15.55 მხ/ფ „მობიდიკი“ I სერია 16.55 კვირიაკე 18.05 დიდ ხარ შენ,უფალო 18.30 დეკორატიული ფლორა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „კროსვორდის ამოხსნის მოყვარულთათვის“ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ „ერთი ოჯახის ისტორია“ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „ამისტადი“ I ნაწ.

მაესტრო 7.00, 5.35, 6.00 ახალი ამბების კოლაჟი 7.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 5.55, 6.35 უცხოეთის ამბები 7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ+ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 0.00 ახალი ამბები 8.10, 9.10, 10.15 მაღვიძარა(დილის პროგრამა) 11.30, 22.00, 1.20 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, 4.00 თავისუფალი დრო (შუადღის პროგრამა) 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 0.30 თოქ- შოუ „სუბიექტური აზრი“ 20.00 ამბები მოკლედ 20.05, 1.40 თოქ-შოუ - „არგუმენტები“ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.20, 2.30 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი“

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

10 აპრილი

| ვალუტა | კურსი |
| --- | --- |
| აშშ დოლარი | 1,6498 |
| ევრო | 2,1485 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,5262 |
| 100 რუსული რუბლი | 5,2185 |

## ამინდის პროგნოზი 10 აპრილისთვის




# ძიუდოისტებმა გერმანული წვრთნა დაასრულეს

დღეს გერმანიიდან საქართველოში დაბრუნდება ძიუდოისტთა ნაკრები. ირაკლი უზნაძის შეგირდები იქ ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებოდნენ, რომელიც 25-28 აპრილს გაიმართება უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში.

უზნაძემ გერმანელებთან ერთობლივი წვრთნისთვის 9 ძიუდოისტი იახლა. ახალი წესებით, ევროპის ჩემპიონატზე თითოეულ ქვეყანას 9 სპორტსმენის გაყვანის უფლება ექნება და, სავარაუდოდ, ჩვენი ნაკრების თავკაცის ჩანაფიქრი, თუ ვის დააყენებს ევროპირველობაზე, ნათელია.



გერმანულ წვრთნებში მონაწილეობა მიიღეს ამირან პაპინაშვილმა (60 კგ), ლაშა შავდათუაშვილმა (66 კგ), ნუგზარ ტატალაშვილმა, ზებედა რეხვიაშვილმა (ორივე 73 კგ), ავთანდილ ჭრიკიშვილმა, ლევან წიკლაურმა (ორივე 81 კგ), ვალერი ლიპარტელიანმა (90 კგ), დავით ლორიაშვილმა (100 კგ) და ადამ ოქრუაშვილმა (მძიმე).

გერმანული შეკრებიდან დაბრუნებული ნაკრები ევროპირველობისთვის მოსამზადებელი ციკლის დასკვნით ეტაპს ბორჯომის ბაზაზე გაივლის.

**მ. ჟ.**

## ყველამ გაითვალისწინეთ! წარმატებული დღეა

## ასტროპროგნოზი 10 აპრილისთვის

**ვერძი** – ფული გაქვთ, გახარებული ხართ. **კურო** – კითხვებზე პასუხებს მალე იპოვით. **ტყუპები** – გზიდან ფულსა და საჩუქარს მიიღებთ. **კირჩხიბი** – იყავით მიმტევებელი, ასე აჯობებს. **ლომი** – ახალი პროექტი გაამართლებს, ფული გექნებათ. **ქალწული** – არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **სასწორი** – შეხვედრაზე ნუ დაიგვიანებთ, გაკვირდებიან. **ღრიანკალი** – მალე ყველაფერი გაირკვევა, გაგიმართლებთ. **მშვილდოსანი** – ფული გაქვთ, ოცნებას ისრულებთ. **თხის რქა** – დაისვენეთ, გაერთეთ, ეს დღე თქვენია. **მერწყული** – ეს დღე ცოდნის შეძენასა და რამე ამდაგვარს დაუთმეთ. **თევზები** – მოუსმინეთ მშვიდ მუსიკას, სახლში იტრიალეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. ყველაზე ღრმა ტბა მსოფლიოში; 2. ფრანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 3. ჯუნა მიქატაძის ქანდაკება თბილისში; 4. თაღლითი, მატყუარას ძველი ქართული სახელწოდება; 5. ქართველი პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 10. ამერიკული ავიაკოსმოსური კონცერნი; 11. ძალიან პატარა, სპეციალური სარბოლო ავტომობილი; 12. სასიამოვნო სურნელება; 13. ღვინისა და დროსტარების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 16. ფსონების ამკრეფი ტოტალიზატორში; 17. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 19. სახელმწიფო ევროპაში; 21. ერთ-ერთი მთავარი ღვთაება ინდუიზმში; 23. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი.

**თარაზულად:** 6. საფრანგეთის ჰიმნი; 7. ძვირფასი მაჯის საათების მწარმოებელი ფირმა; 8. ჩხიკვის მეორე სახელწოდება; 9. ტროპიკული ლერწმისგან დამზადებულ მასალაზე შესრულებული ეგვიპტური ხელნაწერი; 14. სხეულის რომელიმე ნაწილის გახვრეტა სამკაულის დასამაგრებლად; 15. სამონასტრო კომპლექსი მცხეთის მახლობლად; 18. დაუსაბუთებლად, ბრმად მიღებული დებულება; 20. ნიჟარაში ბინადარი უხერხემლო რბილსხეულიანი ცხოველი; 22. არომატიზებული დასპირტული ღვინო; 24. ჩინეთის საინფორმაციო სააგენტო; 25. ებრაელთა უბანი ძველ თბილისში; 26. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



# კულტურის სამინისტრო: „იშხანი საფრთხეშია!“

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო საგანგებო განცხადებას ავრცელებს, სადაც ნათქვამია, რომ იშხანი საფრთხეშია. ამ განცხადების გაკეთების საფუძველი სამინისტროს მისცა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლების მიერ თურქეთიდან, იშხანში მიმდინარე სამუშაოების შესახებ ჩამოტანილმა ანგარიშმა. მისი გაცნობის შედეგად, კულტურის სამინისტროში საგანგებო თათბირი გაიმართა. საკითხის განხილვას კულტურის მინისტრი გურამ ოდიშარია, მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი მერაბ ბოჭოიძე, მისი მოადგილე პაატა გაფრინდაშვილი, სააგენტოს წევრები და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სპეციალისტები ესწრებოდნენ.



შეხვედრაზე დაიგეგმა ვიზიტი ტაო-კლარჯეთში. იშხნის ტაძარზე მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოების ადგილზე გასაცნობად თბილისიდან დარგის სპეციალისტებისგან შემდგარი დელეგაცია გაემგზავრება საქართველოს კულტურის მინისტრის პირველი მოადგილის მარინე მიზანდარის ხელმძღვანელობით. სამინისტრო გეგმავს საქართველოში თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მურათ ბურჰანის მოწვევას. დიპლომატთან შეხვედრამდე კი კულტურის სამინისტროდან უკვე გაიგზავნა წერილი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, სადაც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო მაია ფანჯიკიძის უწყებას თურქულ მხარესთან შუამდგომლობას სთხოვს იშხანში მიმდინარე სამუშაოების დროებით შეჩერებასთან დაკავშირებით.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა მერაბ ბოჭოიძემ და მისმა მოადგილე პაატა გაფრინდაშვილმა კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრ გურამ ოდიშარიასა და მის პირველ მოადგილე მარინე მიზანდარს იშხნის სამონასტრო კომპლექსში ქართული მხარის ჩართულობის გარეშე, დარღვევებით მიმდინარე სამუშაოები გააცნეს. მასალა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ძეგლთა ატრიბუციის სამსახურის კოორდინატორმა გიორგი პატაშურმა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-თან ურთიერთთანამშრომლობით მოამზადა.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით შეხვედრაზე დაიგეგმა, უახლოეს დროში თურქეთში გაიმართოს ორი ქვეყნის წარმომადგენლობითი დელეგაციების გადაუდებელი სამუშაო შეხვედრა.

ამ დროისთვის იშხნის სამონასტრო კომპლექსში წარმოებული სამუშაოები დარღვევებით მიმდინარეობს. ქართული მხარის მთავარი ამოცანაა, თურქეთის მხარემ დაიცვას საერთაშორისო კონვენციებით დადგენილი პრინციპები, რომელიც ყველა ქვეყანას მის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვას ავალდებულებს.

საერთაშორისო ნორმების შესაბამისად, ძეგლის დაცვა და მისი პირვანდელი სახით აღდგენა უნდა ეფუძნებოდეს ზუსტ სამეცნიერო კვლევებს, რომელთა საფუძველზე შესაძლებელი გახდება, სიძველეს შეუნარჩუნდეს ყველა ის მახასიათებელი, რომელიც ძეგლის უნიკალურობასა და მხატვრულ ისტორიულ ღირებულებას განაპირობებს.

მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით საგანგებო განცხადება გაავრცელა პატრიარქის ქორეპისკოპოსმა, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა თეოდორემ თურქეთის ელჩის სახელზე. საგანგებო მიმართვაში ნათქვამია, რომ მიტროპოლიტი, მცირე დელეგაციასთან ერთად, 7-8 აპრილს იმყოფებოდა თურქეთის რესპუბლიკაში, სადაც მოინახულა ქართული ტაძრები და მონასტრები:

„სამწუხაროდ, ძალიან მძიმე მდგომარეობაში დაგვხვდა იშხნის მონასტერი, სადაც დაწყებულია ტაძრის გაწმენდითი სამუშაოები, გამოტანილია დიდი რაოდენობით მიწა და ქვები, რომლებიც გარეთ უწესრიგოდ არის მიმოფანტული. სამუშაოებს, სამწუხაროდ, არ ესწრებიან ქართველი არქეოლოგები და ხელოვნებათმცოდნეები, რაც, ჩვენი სიტყვიერი შეთანხმებიდან გამომდინარე, სრულიად მიუღებელია და ასევე გაუგებარი, რამ დააჩქარა სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარება საბოლოო შეთანხმების მიღებამდე. ვიმედოვნებთ, გულისხმიერად მოეკიდებით აღნიშნულს და მიიღებთ ზომებს, რათა დროებით შეჩერდეს სამუშაოები და უზრუნველყოფილ იქნეს ქართველი სპეციალისტების მონაწილეობა შემდგომ საქმიანობაში, – აღნიშნულია წერილში.

ანალოგიური წერილები პატრიარქის ქორეპისკოპოსმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს და კულტურის მინისტრსაც მისწერა. იშხანში სარეაბილიტაციო სამუშაოების დროებით შეჩერება თურქეთის მხარისგან უკვე მოითხოვა ოფიციალურად საქართველოს კულტურის სამინისტრომ. ქართველი სპეციალისტების ჩასვლა ტაო- კლარჯეთში 11 აპრილს არის დაგეგმილი.

საგანგებო განცხადების გავრცელებისთანავე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია სომხეთში გაემგზავრა. კულტურის მინისტრი საქართველოდან ჩასულ დელეგაციას უხელმძღვანელებს, რომელიც სომხეთის პრეზიდენტის სერჟ სარქისიანის ინაუგურაციას დაესწრება. სომხეთის პრეზიდენტის ინაუგურაცია ერევანში თავისუფლების მოედანზეა დაგეგმილი, რომელზეც ოფიციალურად მოწვეული არიან სხვადასხვა ქვეყნის მეთაურები და ხელმძღვანელი პირები. ერევანში ასევე დაგეგმილია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრ გურამ ოდიშარიას შეხვედრა სომეხ კოლეგასთან. გურამ ოდიშარიას სომხეთის კულტურის მინისტრი ჰასმიკ პოლოსიანი უმასპინძლებს.

# საქართველო და ებრაელები – მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა გრძელდება

ეკა ირემაშვილი

ქართულ-ებრაული კულტურის დღეების ფარგლებში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერითა და საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის თანადგომით საზეიმოდ გაიხსნა გამოფენა „საქართველო და ებრაელები“. ექსპოზიცია მიზნად ისახავს, წარმოადგინოს ქართულ-ებრაული კულტურული ურთიერთობების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები სასცენო ხელოვნების ყველა დარგში, მათ შორის თეატრში, მუსიკაში, კინოსა და ქორეოგრაფიაში.

ხელოვნების სასახლეში გამართულ გამოფენაზე წარმოდგენილია 100-ზე მეტი უნიკალური ექსპონატი. უნიკალურ ექსპონატებში შესულია ცნობილი ქართველი მხატვრის პეტრე ოცხელის ნამუშევრები ებრაულ თემატიკაზე – სპექტაკლები, გერზელ ბააზოვი „მუნჯები ალაპარაკდნენ“, ათან ზარხი „ჯოი სტრიტი“, კარლ გუცკოვი „ურიელ აკოსტა“, ისრაელის ბიბლიური მეფის დავითის ფრესკისა და მინიატურების ასლები უძველესი ქართული ხელნაწერებიდან და ტაძრებიდან.




ექსპოზიციაზე ასევე წარმოდგენილია ებრაელი ცნობილი მხატვრების ნამუშევრები ქართულ კინოსა და თეატრში, მათ შორის ლეონ ბაქსტის, სერგეი ეიზენშტეინის, ბორის მესერერის, ირინა შტენბერგის, ვიქტორ შრეთერის, ე.წ. მარქსების თეატრის უნიკალური ფოტოქრონიკა და სხვა უნიკალური მასალები.

სპეციალურად ამ დღისთვის გამოიფინა მუზეუმის კოლექციაში არსებული გამოჩენილი ებრაელი საზოგადო მოღვაწეების მაია პლისეცკაიას, ჯოკომო მეიერბერის, სერგეი ეიზენშტეინისა და სხვათა პირადი ნივთები და მემორიალური ფოტოები.

გამოფენა „საქართველო და ებრაელები“ გახსნა მუზეუმის დირექტორმა გიორგი კალანდიამ. ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია, მინისტრის მოადგილეები, მოწვეული სტუმრები და სამთავრობო სექტორი. გამოფენაზე წარმოდგენილი ექსპონატები დიდი ყურადღებით დაათვალიერეს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელმა მაყვალა გონაშვილმა, ისტორიკოსმა როინ მეტრეველმა, პოეტმა გივი შაჰნაზარმა. ღონისძიებაზე პიესის ნაწყვეტი „ვალი“ წაიკითხა ქართველ-ებრაელმა დრამატურგმა და მწერალმა გურამ ბათიაშვილმა, დავით აჯიაშვილის პოეტური კრებულის პრეზენტაცია კი მწერალმა და მთარგმნელმა გივი შაჰნაზარმა წარმოადგინა. ღონისძიებაზე რამდენიმე მუსიკალური ნომერიც შესრულდა.

სპეციალურად ამ კულტურული დღეებისთვის თბილისის მუსიკალური კომედიისა და დრამის თეატრში გაიმართა ებრაელი დრამატურგის ედნა მა-

გაგრძელება მე-10 გვერდზე